 უნდა ამხედვებულ, რომ იგი ქვეითი არჩებს სივს, მაგარს თეთრო-  
 ვს არჩებს და ამდღებებს ქვეყანას. ამიტომ უკველი მოვლენა მისი  
 სიკლის სქარაშ უნდა გავტარებ და ამ ძალის განხედვლობით აღი-  
 ვასა საზოგადოებრივი ცხოვრება, რა ძალის ნახვსა და გარსავადების  
 უნარსა ფლობს.

დამპყრებლის ნაწილ სწორად არ წარმოუდგენიათ საერთარი  
 მოსო, როცა მხოლოდ ცხოვრების ცალკეულ მხარეებს ამხედვს,  
 მხოლოდ მანქარებზე ამხედვლებს უნდა აღვლებს და თან იმდენად  
 ვგვახედვებულ, როგორც ვარდობებულ შემოს სიკვება ხოლმე,  
 წყრებს პირველკარებზე, თოქროს, ვანა ჩვენი ცხოვრების თემს,  
 წყრებს სარკობის ვამაგს ნაკლებად და კოლმურების თაჟმედონ-  
 თისა — უკოლმურებისა, წყრებს შეკრამებზე და ვამხედვლობს  
 და უკოლმურ ამს აკეთებებს შეშლულ აღუსტარების ხერხით, ზე-  
 დამართულად ვაგროვებულად, დღებობისა და პრავრებულად  
 შევარდობებს ვარშეშე.

დამპყრეობის თმა შეტწილად სხვა უნდა იყოს, ისეთი მო-  
 ვლენა, რომლებს ერისათ ისევე ავლებებს, როგორც მლიონებს.  
 რა თემებს ეს?

არ, თუდევ საკლემურების სიტყვებს პირადობისა და საზო-  
 გადობებრივი ინტერესების შემხების პირობებს. ფაქტია, რომ კო-  
 ლმურების მშობე პერიოდში საბჭოთა კოლმურების სამეურნეო  
 თანონობა ზღვდება შეტწილად ჰქონდა ქაშის განხედვლების ხა-  
 ლისა ეს ერთმედია, მჩობის უკლა არ შეტწილ, ასეთია ფუნჯი-  
 რიანს მღვდელად დაფურთა და ქალაქი.

სხვა მდგომარეობა აღმა. საზოგადოებრივ საფუძველზე ვარშელ  
 პირად სამეურნეო თანონობას მშენებლობენ განქანა მიხედვით, თუქვა  
 ქრ კოლმე მოწილენ არაა მისაღებელ, იხადება ქიხავა; რაგონ არ  
 ტენება ამ თემს დამპყრებებს, რაგონ ღმირად და გულმართლად  
 არ წყრებს ასეთ თამაშებზე და რომ დაწერის, თუტარბი მოსულე მარ-  
 ურებელად დაწერების, მიორჩებს და მოკლენ.

იგივე საქობის სამრეწველო სფეროს, ცოდნობა, რომ ცინო-  
 მოწილსა ვამარნებებს სამრეწველო საქობის ჩწილად ვამორწი-  
 თობს, რომლებსაც პირდაპირს ვამორწიებს ვებმა, მაგარს სათავად  
 აწყარის არ ეწილად მისაღვობის ენეტარეობი მოთხოვნების  
 ვარდობე დღეს ამიტომ მრავალ პირობებზეა ჩაწევა, ვამდობა  
 არჩებულს, დამადადა საბჭოთა კანდალა, ვინცა სიძულვილი.

მატარება და ხელისუფლებამ ეტყვეტე დონობების მშობია.  
 წარმოება ვადობის ცინომორთ თუთარბარშე; ვამორწი ისეთი  
 პირდაპირ და იმდენი, რომ არგონოსიყად შეტწილდოს, უნდა ნა-  
 წარმის ხარისხსა შენივე ცინომორთ მოკვეთების დონე ვინ-  
 ვანსაღვრობის, ასეთია მოკვეთამ შესაწიწივად ვარშად ჩვენი ცინო-  
 მორთობა და წყარბარბი პოტენციობა, მაგარს ამ მხარეზე მებტია  
 ვასკოლმობელი.

იხადება ქიხავა, — რაგონ არ ეწერის პიეტებს ამხედვ, რაგონ  
 ვეზობებულად არ უწერის ხალხს იმს, რომ საზუსტე იგი შეტწილ-  
 ზობდა მოთხოვნს. საქმარბისა დამაგებებებს სწორი თვალით და-  
 ნახელი მართალ ვადლობა ვეწყარ, რომ თუტარი აიხება მარეტრებ-  
 დობი, დარჩის დაწერებს დამაგებობებს და ქვლავ ვაძლიერდება  
 მისზე თუტარბის შემოქმედების ძალა.

აღილო თუდევ სულღირის ცხოვრების საქობებზეც, კოლონტარ-  
 ბიზნის ეტქიპია ვარტლებად მანქარის მოთხოვნა, რომ ჩვენსა თათ-  
 ბის სიციხელმურზე მარეწველა ისეთი მდგომარეობისადაც, როცა  
 აღარ იქნებოდა ეროვნულ ენების და მათ მავტრ შემოქმედება გიბი  
 რომსდელად საერთო ენა. ვანა ვს მდარბი პირს არ თუო რომსდელ  
 დამპყრებზეა აღილი ეს სიმცსარე თათის შემოქმედების სწილდა?  
 არაღს.

სხვადა სხვათა ისეთი საქობის, რომელი თუტარბედურ საზოგ-  
 დობობისაა აღლებებს. ხალხს სწილებს, აფებებს, ვანა ეს მღვდ-  
 ლად საქობებს არააა ვანა მას მთლიან ვალსუყობით არ მიტარება  
 მარეტრებზე დამპყრებებზე უნდა უყრდინე პირობებზე. წყრ-  
 დებე ღმირად მარეტრებზე, რათა უყრდინე მოიგობოს აფებობობა.  
 ჩვენ დედმდე არა ვავსეს ქალსობრივი ანტეკონომის განრქვე  
 ისეთი პიეტებს, რომლებიც აფებულ იქნება არა ატაკობურ, არა-  
 მდე თუტარბი-ინტელექტუალურ მარეწველბა ფიქსე, ამ მხარე  
 არც ატირებელღირსი პირობანდაა დაფინანსება სასურველ წია-  
 დაზე. თუტარბი ვერ ნახავ სიქველეს, რომ რაღვადიერ კუტობის  
 წარმოამდებელსა და თანამედროვე საბჭოთა მოკვეთებს შობის და-  
 მარტრებელი მარეწობა წარმოებებს, სიციხელსტარ იდის აფამბინ

მოდამ ვამარტებულად ვამორწივებს რაღვადიერ რწმენობას შემობრ-  
 სობობა, მაგარს ამარტებებს მოსაგებელსა უკოლმურად უკოლმურ-  
 რი ტექნოლებს ვარტრებ, დამაგებობის ნებობა მარეწველობა კი  
 ვამარს დაწერებს შეტწილად, როცა არაა ვარდობა მარეწველობა  
 ჩვენინებს ვამარტებობებს, ამისათვის საქართველ დამპყრებები არ  
 თითონ დღესდღე მოღვინებენ საქართველს და დატარებენ და ეს თუ-  
 კლებობას სახელმწიფოებლისა მარბარბი შეტწილ, არ ეწილდობენ  
 მათსა დაღობს, თუტარბედ დიქსიებს.

მარეტრებულა და მწიწნებს სწილდა მობისმდა და ნახოს თათ-  
 ბის თანამედროვე აფამბის მხარეებელად წარმოსახული ცხოვ-  
 რება. ამს დღეს საყრდენობ დარბარბი, სიციხარბზე, თუტარბი,  
 უნარბე დავიციებებს არ ვარტრებს, რომ სწილდა ის სიტყვებები  
 იტრებენ მარეტრებელსა უნარბობისა, რომლებსო ჩვენი დღების  
 თბარბის მარეტრული, თანამედროვეობა და იდებობა, ფორბის ხა-  
 სიხელ და მრავალმხარეობა, ინტერკონინობისა და ეროვნუ-  
 ლობისა — არ, რა აღუდებს, იხადებს და იტრებს ხალხს, აესებს თუტარ-  
 ბის დარბობებსა და ეტლტობის ხალხებს. მხოლოდ ის წარმარე-  
 ბები იტრებს საბჭოელი მარეტრების ეტლსტობის, რომლებსო  
 დიდი არა და გარბონება, სადაც მარბარბი სიტყვა ვასხვებს მარ-  
 ტრული ნაშეშეშეობის, მარტრებზე და მართო ფორბა აღება  
 რაგობობისა და მასობის, შემსწარბობისა და მარტარის ნახე-  
 ლობს, ფორბით ეწილდებს და წინარბობის სიციხელსტარ იდის  
 მარტრებზე წყარბობა.

ჩვენს ქვეყანაში ცალკე რილად დიდი ძალისა და სიღრმის გრავ-  
 ნულად ფორბის მანქილბობა, ეს უნებნებელად ქართველ მხარტრებს  
 არაკონკრეტული მარდობა დედებდა, რადგან თოქობის კომო-  
 ურებულზე უკოლმე ქართველად მარეწვრისა და მოქანდაკის, ვარ-  
 შიუსისათვის თუ ტექნოლოსისა სიხელზე წეს გრავნული ფორბის  
 წარმოსახვული ენის და სტრუქტურ, ეროვნულობის გამოამრწევა  
 ფერა და ნახი, მაგარს, თუ ზოგჯერ უკოლმობის ასე არაა, მარტრ  
 სხვაშია, — დროისა და მოდის ვგავდობის, — დედებარტრებისა და  
 მესკალურ ტრადიციას წყლობის ზოგამ მხარტარზე ზოგჯერ აქეთ  
 მშობლობური მოვებისა და ეტლებს სიოს და სხე შეტწილსა ზღვის  
 იქიდად მარტარებ შეტწილ, რომლებზე სხვა ერების დესტოქობი-  
 ტარეობი იტრებუბები უფრო მებტია, ვინცა საერთო საკანობის ფერ-  
 მრეტყველობა, მაგარს მოდამ და იმის შეტწილობისა, რომ უკველი  
 მრად რომლებიც ერთი გრავნულ საფუძველზე ეწილდობა — რაგონ  
 უნდა აქილოს საკლემურებელ ხანებებს ფულტარობი ამცნებულე-  
 ლად და ანგლო-საქსიური სწილთა ვანგოთარბებულ ქაშტრ ვრავლ  
 უფრო მშენებლობად ფაქტობად, მათს სიკვება, ვინც ქართველ  
 კონკრეტულად თუ „მარტრ-კახი მობინებს“.

სახლებრივად უკვე ბევრი კარგი მხარტარი ვავებს, ვინც მოდამ  
 ხიხობს იტრებია და ძველს ვამორტრებზე ერთ ამს სიძულვილი  
 მოკლულიებს წყარბობისა, ამ ძალის ფერმწერებს ეტრობის დღეს  
 ვადეპოლს, უნარტრებზე, დღეს ვარდობობს, რომებრ სტრუქტურ,  
 ზურამ ნებდას, თუტარბ მარტრებელს, ვან მარტარობულ, კლ ნა-  
 ქვალად, ზურამ მარტრებელ, თმობრბ ერისობა, ვეო თოქობი, ნა-  
 ქვალად თუღადაწილდობა, რაგონდამ მარტრებელს ამ ძალის მოქან-  
 დებობა და ტექნოლოგების ვინცს აესებს ნაგობებს კანდალაკი,  
 ეტარება ამარტრებ, მერამ მარტრებრივობი, რაგონი და რაგონი  
 თუტარბები, მიმინა აფებობული, ამინობს გარავაზე, ვულდა კლავრ  
 ეტრებს ღმირაწილად და ეტრებს აღილი, ვინც ერის მშენებელს ეტრ-  
 და ერთ სიტყვისა და ეტრებობობის მიმდებარს ამ არან, მაგარ  
 ამ ეტრულა ქართველ კლემურებელად. მშობლობური აქტე-  
 რული მარეწველებს სვეტარს მისაწილად და ვერანე იტრებს, რომ  
 მის ხმას დატარება მოამხედვობისა და ზეშოქმედების ძალა. ვა-  
 დატეხილი თინდას უნარსხელო წლის მობინარებს და დარწმუნ-  
 დობით, რომ მასზე მხარტარის ისეთივე სისად და სიხედვებ  
 იტრებოს, როგორც მის პირდაპირდ მობინარებობის იხილმობად  
 სასიღობი ვამარტრება, — მშენებრის კომპროსიორი პიეტობა, რომ-  
 მელმდე ერთი თვალის მუღვლობისა კი დანახავს საქართველობის  
 მის წარსულს და ასეთსადე აღამა მამადასად, ვანა წილბი, სუე-  
 ტობობა, მაგარს ის ხდება, რომსდელად დატეხილი თელოობისა,  
 არსობებს ამ მოწილდა საქართველოში, არ მისიქლებობას ჩვენი  
 ქვეყნის შობისა და ქვა-ღირადი სახმარე იხილობის ფერდობებს  
 პლასტარობობია და ვარციობა ვამორტრებელ ვაკვაცობი, პიეტობისა  
 და რომდელი შეტწილობით ვას დატარება წყარბობების რომ  
 შეტწილსა, უკვეტრებს ამ მარტრებს და ასე ვგვინა მათი დატარ-  
 ბული შეტწილობა მარტრ მარტრებზე, ვან ვარტრებ შეტწილად და რომ-  
 მელად უნარტრებს ასე დატარებობობს, რომ მხარტარის მობინა-  
 რაგონდამ არ ხატვას, შემოქმედე თეთროს იწიებს ვულდად ნახებს,  
 დანახებს, შესისხლობებობობს და ჩას ვასარბობს, რომ უკველი  
 ეს შემოქმედებელს მისხავდ ვამორტრებ იტრებად იქებს. დიხა თუ-  
 ტობობისა თუთი მხარტარებს ვებდობა, რადგან ეს კომპროსიო-  
 ლიტებარტრული ნაწილი არაა, არამდე საერთარი გარბონობობია  
 და წარტრების აფობობარტრები.

მისაშელოს შემოქმედების მის ეროვნულ დამარტრებობობაში,  
 ხედვობის მხარტარის, ვინც ნახავს, თინდას უტარებულ კომპროსიო-  
 ციაში უნებნებია მოკლენების დღავტრობის სტებს, მაგარს დამა-







# ქიხილ ჭიკურელი

70

ოთარ სეფიაშვილი



იყვარული არ არის უსაგნო. რაც გიყვარს — უნდა არსებობდეს.

ამ ოთხმოციოდე წლის წინათ არ შეიძლებოდა ვისმე ყვარებოდა კინო. მიწეში უბრალოა: კინემატოგრაფი არ არსებობდა. იგი უფრო გვიან მოეწვინა ადამიანებს საოცრებად.

ჩემი თაობისთვის კი კინემატოგრაფი საოცრება აღარ ყოფილა. დაგვხვდა კი-

ნოც და მისდამი ჩვეულებრივი სიყვარულიც.

მაგრამ ასეთი სიყვარული ზოგადია. უფრო კონკრეტულია, როცა გიყვარს ერთი რომელიმე სურათი.

შესაძლოა კი? კინო ცდუნებაა მრავალსახიანი. ამასთან, იმ ერთი ძველი თქმისა არ იყოს, — ხელოვნება გრძელია.

მაგრამ არც სიციცხლეა ისე მოკლე,

რომ ერთი სიყვარული იკმაროს.

და ეჭიშპება ერთმანეთს შენს სიყვარულში რამდენიმე ნაწარმოები კინოსი.

იმ რამდენიმეშია „არსენაკი“. ჩემთვის ამ ფილმთან შეხვედრა და „დედაჩემის“ პირველი გადაფურცვლა თითქმის ერთმანეთს ემთხვევა: კინოში ხომ ადრე იწყებენ სიარულს.

ასეთ ასაკში ტიტრებს არ კითხულო-

ბუნ, არ იყნობენ მხატვრებს, შეიმოქმედთ. იციან სახელები ფილმის, გმირების. დარწმუნება მათ ნამდვილობაში, დაუბატობაში, გამოუგონლობაში — შეუვალია.

ახლა — სურათთან მივდივართ ადრე, მხატვრებთან — გვიან.

და ჩვენც იმ დროს ვიქცნობდით არაჩინას — ოძელანთ დევიკაცს, ჩანგრეულ ხიბს რომ მეჭვს შეუდგამს და ზედ ზარბაზნს გაატარებს, გასამრჯელოდ მიდევნულ ოქროს ფუღს კი თითით გაღუნავს...

და არ ვიცოდით — მიხეილ ჭიაურელი.

\* \* \*

ახლა კი ვკითხვობ სერგეი ვიზენ-შტინის წერილს, სწორედ იმხანად რომ დაუწერა „არსენას“ გამო და გამოუქვეყნებია ერთ გაზეთში. „კავშირისანი პოეტოკრების“ გვიანლური შემოქმედი ასე იწყებს:

„ჭიაურელი, უპირველეს ყოვლისა, გიყვარს.“

ზრე ფიქრობ იმაზე, რომ იგი კარგი ხელოვანია, შესანიშნავი ოსტატია, იღებს კარგ ფილმებს, გონებაშაზვილი ადამიანია და ა. შ.

მაგრამ იგი, უპირველეს ყოვლისა, გიყვარს.

რისთვის?

ნამდვილად იმისათვის, რომ მის ჩვევებს და სატყველში, სიმღერებში, მის ნამოთბში, ჩანაფიქრში, მასთან საუბარში ცხოველმყოფელად, გატაცებით და მთარულად გლერს საქართველოს შეაჩვენება, თბილისის კოლორიტი და გზება, მეოცნებე და შეკარი კავკასიონი.

სწორედ ამითაა გამსჭვალული მისი ფილმები.

და ამისთვის გიყვარს ჭიაურელიც და მისი სურათებიც.

არის ნაწარმოებები, რომელთაც მიიღებ ან არ მიიღებ, აღიარებ ან არ აღიარებ, იწონებ ან არ იწონებ.

ჭიაურელის სურათები კი, უპირველეს ყოვლისა, გიყვარს“.

\* \* \*

არის რაღაც კანონზომიერება: ჯერ უნდა შეგიყვარდეს სურათი, შერეე ეს სიყვარული მიგიყვანს მხატვართან.

როცა „არსენა“ ეკრანზე გამოვიდა, მის შემოქმედზე უკვე ბევრს წერდნენ... მიხეილ ჭიაურელის დაბადების 70-ე წლისთავის საიუბილეო საღამოსათვის კი საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკაში შეადგინეს სპეციალური ბიბლიოთეკა. ეს იუბილეზე სულდასამწვერებლად მოტანილი თღუნვი კი არა, ტყეშმა-



ცხველოლ ბუღოვკინი, მიხეილ ჭიაურელი, სერგეი ვერასიმოვი

რიტი საქმეა — საჭირო, კეთილშობილური, უპრეტენზიოდ რემინგტონზე გადაბეჭდილი ეს წიგნი გახარებით, რომ უკვალოდ არაფერი ქრება. და გიდასტურებთ — ჭიაურელზე მართლაც ბევრს წერდნენ: „არსენამდეც“, შემდეგაც. მის შემოქმედებას მზარს უჭერდნენ, ეწინა-

აღმდეგებოდნენ, იღებდნენ, ვგამათებოდნენ; იყო მეგობრული რჩევაც, პანევირიკებიც, მართალი გულისტყვილიც და გულსტაკარებელი აღფრთოვანებაც. ვინ ცდებოდა და ვინ იყო მართალი, ალბათ, დრო განსჯის. მაგრამ ეს ყველაფერი იყო.



დომიტრი მოსტალოვი და მიხეილ ჭიაურელი



მხიელ ჭიურელი დედასთან და სოფიკო ჭიურელიანს

ბენე ფალიაშვილი. 1927.



შემთხვევითია?  
„არსებნადე“ ჭიურელს გამოქვეყნდა  
ქონდა მრავალმხრივი და საინტერესო,  
წინააღმდეგობრივი, ძიებებითა და გა-  
ტაცებებით აღსავსე შემოქმედის გზა —  
მხატვრობაშიც, თეატრშიც, კინოშიც.

\* \* \*

როგორ იქმნებოდა ქართული ფილმი,  
სად იღებდა წყაროს თვალა?

კინო შექმრები, სინთეტური ხელოვნებააო. ეს თქმა ტრევიალური გახდა. მაგრამ მის დასტურად უკეთესი მაგალითი, ვიდრე ჭიურელის მხატვრული შემოქმედებაა, ალბათ ძნელად მოიძებნება.

მიხიელ ჭიურელი იყო მხატვარიც, მოქანდაკეც, მომღერალიც, თეატრის მსახიობი და რეჟისორიც.

იგი იმთავითვე გაიტაცა პოლიტიკურ ჯახილთა, დროის დრამატულ კოლიზიანთა ხელოვნებაში გამოხატვის გინება. რევოლუციამდელ ქართულ სატირულ-იუმორისტულ ძეგრებში ნახავთ ბევრ სოციალურად და პოლიტიკურად გამაფრებულ კარიკატურას, გონებასხვიელ მარტს, რომლებსაც ხელს აწერდა — მ. ჭიურელი...

უკვე 1910 წელს კი გაზუთი „ტიფლისკი ლიტოკო“ აღნიშნავდა: მსახიობ ჭიურელის თეატრში გამოჩენას. 1914-ში კი „შემოღონში“ მისი თამაშის გამო „სახალხო ფურცელი“ წერდა: „ჭიურელის ყოველი სიტყვა, მიხრა-მოხრა, თვით დემოლიც ნაყოფი იყო ღრმა დაკვირვებისა და როლის შეგებისა. ეს ნიჭიერი ახალგაზრდა სცენისთვისაა დაბადებული და სამწუხარო იქნება სცენა და ის ერთმანეთს დაშორდნენ“. კინოში მოხვლამდე ნი-შე შეტი როლი შეასრულა ქართულ სცენაზე. დადგმული აქვს ბევრი სპექტაკლი, ხშირად თვითონვე შეუსრულებია სცენურ გმირთა გრიშისა და დეკორაციების ესკიზები. მომსწრეებს დღემდე არ ავიწყდებათ მისი ავერტიკა „რაც გინახავ, ვეღარ ნახავში“, მთავარი როლები შიუკაშვილის „სულელში“, ახმეტელის „ბირო ზმანიაში“, რომლის გამო ვახტანგ გარიკი წერდა ერთ გაზეთში: „მას აქვს ზომიერების გრინობა, გულწრფელობა, სინატიფით მასწვდა გმირის ემოციურ განცდებს. აქვს მევეთრი და კეთილშობილური ინტონაცია. არტიკის სცენაზე თავი ღამაზად უჭირავს, მოძრაობა პლასტიკური აქვს. როლს ორიგინალურად და ძალიან თავისებურად სახავს“...

დიდი დეაწლი დასთო ჭიურელმა ქართული საოპერეტო თეატრის შექმნას...

ბევრი მას მოქანდაკის ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდა. 1922 წელს გერმანიაშიც გაგზავნეს

სკულპტურაში დახელოვნებისათვის. იმ დღეს კი, ჭიაურელის იუბილეს რომ იხსენიებდნენ, რუსთაველის თეატრის ფოიეში გამოფენილი იყო მისი ნაქანდაკებიც: ვ. ი. ლენინის პლასტიკური და საოცარი ინტიმურობით აღბეჭდილი ფიგურა;

ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეა — ვახო სარაჯიშვილის, კოტე მესხის, ივანე ფალიაშვილის, ნიკო გოციონის, ვასო აბაშიძის, ვალერიან გუბაშას და სხვათა სკულპტურული პორტრეტები.

ეს არის დილეტანტური, მოყვარულის ნამუშევრები. მათში იგრძნობა ისტატის დაჯერებული ხელი, მოდელის შინაგანი სამყაროს ხილვისა და მისი თბიმი გამჟღავნების უნარი, გამხელელია შემოქმედის გარკვეული ინტერესები...



ჭიაურელს დღიური რომ ეწერა, მის პირველ ფურცლებზე აისახებოდა დილიში — მსატრის შშობლიური სოფელი, აქ გულხთა აჯანყებისა და მისი ჩანჩობის სურათები, წარუშლელი შთაბეჭდილება რომ მოუხდენიათ ხელოვანზე, ერთგვარ შთაგონებადაც კი ქვეყნად და ვინ იცის ჭიაურელისებულ რომელ კინოკადრსა თუ მიზანსცენაში იჩინეს თავი...

მერე — თბილისი, ქალაქელ ზელოსანთა დემოკრატიული გარემო; სემინარია, საბელოსნო სასწავლებელი; იაკობ ნიკოლაძის სამხატვრო-საქანდაკო სკოლა და იოანე გრძნობათა გამგელების სიხარული... მოსე თოიძის სამხატვრო სახელოსნო და იმპერიისინისტულ ფერთა სამყაროს ხილვა... მერე — მონაწილეობა ისტორიულ-არქეოლოგიურ ექსპედიციაში ეჭვთაზე თავადაშვილთან, ლადო გუდიაშვილთან ერთად თურქეთში, თორთუმ-ისპირში, ოშკის, ხახულის, აშნასის მონაბატულობათა პირების გადაღებას მუშაობა... მერე — ქართული დრამატული სასოფლოება, თეატრი, სხვადასხვა ეურნალ-გაზეთის რედაქციები და, რასაკვირველია, მთის ნაოლისი ყფილი საკვინით, ოციანი წლების იბოლში თავისებურ „ალონდა“ რომ ქველა. მას კიდევ ხშირად ასხენებენ უახლესი ქართული კულტურის მატარებელს, იმპატორს, რომ აქ ცხოვრობდნენ ერთად ანაფთარიძე და მიხეილ ჭიაურელი;

იმით, რომ აქ იბადებოდა მომავალი მიზანსცენები, გრაფიკული კომპოზიციები, დიდი. სახირობას იძინდა შემოქმედებითი ჩანაითობები, აქ გადიოდა ესა დადი ხელოვანისაკენ;

იმით, რომ აქ მოქმედებდა პირველი ფერტილოები ახალბოთა მხატვრებს. ყო ალიარება ფიროსმანის მოჯადო-



ვახო სარაჯიშვილი, 1925.

ებული 'ამყაროსი, ლექსი ცვლიდა მუსიკა — ხეოპოლიტანური სიმღერები, თბილისური ბაიათები;

იმით, რომ აქ ყოფილან მაიაკოვსკი და ნატო ვაჩაძე, სერგეი ესენინი და ტიციან ტამიძე, დოკუმენტური კინოს სინდისად აღიარებული ნიდერლანდელი იორის ივენსი, პაოლო იაშვილი და პეტრე ოცველი, რეჟისორი მიხეილ კულეშოვი, ნიკოლოზ შენგელაია და... ვინ არ ყოფილა აქ!

მიხეილ ჭიაურელს დღიური რომ ეწერა — კინოში მოსვლამდეც, შემდეგაც!




ჭიაურელი დაუცხრომლად ეძიებდა. დაუდგარი და დროის პულის მიყურებული მხატვარი ნაპირს ვერ ხედავდა. გული რაღაც სხვას, ახალს, ბევრსაგან გაუვლელს მიუღტკობდა.

კინო თანდათან ხდებოდა ხელოვნება. ჭიაურელის მრავალმხრივი ტალანტი, თითქმის, სწორედ კინოსთვის იყო მოწოდებული. და აკი ვერც ასცდა კინოს. თვითორვე იგონებს:



ნიკო გოციონე, 1927.



ვლერთან გუნია. 1917.

„საჭარველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წელია. ქალაქი ეს-ეს არის გათავისუფლდა მწიფე გიგანისაგან. „კავროსტას“ პლაკატებთან ერთად ქუჩები აჭრებულა აფიშებით — „იყურე, სვედავ, იყურე!“ ძალიან მიყვარდა მოწყობები... მომიახლოვდა მაღალი, გამანდარი კაცი მკვეთრი პროფილით: „რევისორის თანამემწე გახლავართ. ვიღებთ სურათს „გენერალ გრიანოვის მკვლელობა“.

პერესტიანი სასინჯ გააღებაზე მოსვლას გახფოთო. კინემატოგრაფის სიყვარული იმდენად დიდი იყო, რომ თეატრში რეპეტიციცა ჩაგვალე და მოსულს გავყვიო.“ და თუმცა იცნება მისობრივ სცენაში მონაწილეობას ვერ სცილდებოდა, მთავარი როლი შესთავაზეს. იდეა 1921. შალვა დადიანის სცენარით პერესტიანი იღებდა პირველ საბჭოურ ქართულ

ფილმს — „გენერალ ვერცხლანოვის მკვლელობა“. სურათს ჩვენს საბჭოურ ვრცელ — „არსენა ჯორჯიაშვილი“. ჭიაურელი თამაშობდა არსენას. ასეა: ჭიაურელი — კინოხელოვანი და ქართული საბჭოთა კინო თანატოლები არიან.

1922. თამაშობს ოსმან აღას ფილმ „სურამის ციხეში“. შემდეგ კიდევ რამდენიმე როლი წუწუნავას, პერესტიანის, პარსკის სურათებში. უკანასკნელად გამოჩნდა „ხანუმაში“. მაგრამ ეუფლება უკმარობის გრძობა. წვეტის კავშირს კინოსთან. უბრუნდება ძერწვას, თეატრს. „როსტას ფანჯარებში“ ისევ ჩნდება მისი კარიკატურები. იწოთობა მომავალი ჰამფეტისტის თვალი... გულისყურს არ ამორებს რუსულ რევოლუციურ კინემატოგრაფსაც, ფრანგ „ავანგარდისტთა“ ექსპერიმენტებს... კინო ძალუმაღ ეწევა თავისკენ.

და ჭიაურელი კვლავ მიდის კინოში, ამჯერად როგორც რეჟისორი.

დაამს ფილმს „უკანასკნელ საათს“. ამ პირველ დამოუკიდებელ კინონაწარმოებშივე იგრძნობა მხატვრის მისწრაფება პოლიტიკურ მოვლენათა არსში წვდომისა და კინოხელოვნების საშუალებებით მათი გამოხატვისაკენ. ეს ტენდენციცა მთელი ძალით გამოვლინდება ჭიაურელის შემდგომ ფილმებში, თითქმის განსაზღვრავს მის შემოქმედებას. მოვლიანებით მწერალი პავლენკო მისწრს ასეველად ვიშნესკის: „ჭიაურელი არის სტატიური ძალისა და გამძლეობის, ჯემაძე პოლიტიკური სცენისა და უტყუარი თვალის ხელოვანი“.

მაგრამ ამ შეფასების დონემდე ვერ ვერ ადის ვერც რეჟისორ ე. ძიგანთან ერთად დადგმული „პირველი კორნეტი სტრეშნევი“, ვერც დამოუკიდებლად შექმნილი „საბა“.

გარდატეხას იწყებს „ხაბარდა“, ასრულებს — კინოამფლექტი „უკანასკნელი მასკარადი“.

„არსენას“ შემდეგ კი ჭიაურელის შემოქმედებაში დაუკებლად მკვიდრდება დროის დიდ პოლიტიკურ ვენებათა გამოხატველი თემები. ზედიზედ ადიან ეგრანზე „დიდი განთიადი“, „კიორეი სააკაძე“, „ფიცი“, „ბერლინის დაქცევა“, „დაუეწყარი 1919 წელი“.

ჩვენში ამ ფილმებზე უარაგი დაიწერა. მათ ჰქონდა მსოფლიო პრესაც. გულგრილი არ რჩებოდა არც მტერი, არც მოყვარე. წერდნენ სურათის გამოსვლისთანავე, შემდეგაც ამერიკელი ჯონ-ჰოვარდ ლოუზონი წიგნში „ფილმები იდეათა ბრძოლაში“ აღნიშნავს: „იმ დროს, როდესაც სურათ „უდაბნოს მელაში“ პოლიეული სოტბას ასხმის ნაციტურ გმირს — პოლოკენიკ რომელს, საბჭოთა კინოხელოვანი ფილმით „ბერ-

მიხეილ ჭიაურელი, ჭეოტვან მაღალაშვილი, ლადო გუგიაშვილი



ლენის დაქმნა: საღად აფასებენ ნაციონალურ განდევნებას. ეს ფილმი აწვდის პატრონის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნის თანამშრომლობის ხაკლოვან მხარეს. საკითხი სწორად არის დასმული. იგი განიხილავს იალტის კონფერენციის და იმ დანაკლების შედეგს, რომელიც უნდა გამოიტყობათ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებს ჩერჩილის წინადადებაზე, რომელმაც უარყო მთლიან ფრონტის განხილვის აუცილებლობა. ამ კონფერენციას ძალიან თანამოქმედება, ადამიანთა ურთიერთობა, რუსულთა და სტალინის შორის მზარდი ურთიერთდაპირისმართების ჩვენება — ფილმის ისტორიული თხრობის შედეგად აქვს.

ფრანკ კინოსტორიკოსი ვორე საღად წერს: „მონუმენტური ფილმის ფილმი დიდ ისტატად ქართული მ ქართველი მოგვევლინა. ყოფილი მოქანდაკე, რეჟისორი ქართველი, მხატვრული სახის შემქმნისას ფელაფონისაგან იაიუვლია და ქმნის მართლ, სუფი ახალურ ტიპებს. როცა ვუკურებ თაკის მანშტაბით გიგანტურ ეპიკურ ფრანკს (ფაშისტური გერმანიის განადგურების ეპიზოდს), უნებურად მასხეხვთა ყოველგვარი ზემოქმედისაგან განთავსებული ფიგურები, ტყვიანის ცხარე ბრძოლების ამსახველი მკაცრი სურათები. ფილმის მეორე ნახევარში გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენს ბერლინის მტკბობის, არტილერიის მოქმედების, ქმნის ბრძოლების, ფიურერის სიკვდილის (გადმოქმეული გიოიასა და დომიეს მართლ), რაიხსტაგის აღების, გამარჯვებისა და მშვიდობის ზეიმის კადრები“.

ახლა, ისტორიული გამოცდილების შედეგ, ამ ფილმებში ასახულმა მოვლენებმა შესაძლოა, ფერი იცვალეს, მაგრამ კინოხელოვნებაში ამ სურათებით მხატვლი ქართველისეული ბევრი მხატვრული ფერი არ გახსენებულა. დღე აქტობის ვნებათა დღეებსა, საბურთის აე-კარგს. ქართველის შემოქმედებას ახლდა მუქიცა და ჩრდილიც. უნდა ვიფიქროთ, რომ მათ დრო უფრო გააყვარებენ. იქამდე კი — ბუნებრივი იტება კამათი.

როცა ქართველმა „ოთარაანთ ჭერი-ქს“ გადაღება დაიწყო, ზოგი მხრებს ძიქდა:

სად ილია ჭავჭავაძე და სად „ბურლინის დაქმნის“ დამდგმელი. თითქოს ქართველი არ შეეძინას არც „ხაბარდა“ და „უკანასკნელი მასკარადი“, არც „არსება“, არც „სააკაძე“;

სად ურანის პამფლეტისტი და სად მწერალი კლასიკოსიო. თითქოს ილიას არ დაეწეროს „კაცია ადამიანი“;

ქიურელის ფილმებში მუდან ააგრძნობი იყო ეროვნული ლიტერატურისა და მხატვრობის სიყოცხლის ძირები, ხალხურ თქმულებათა სამყაროში შეღწევის სურვილი, ფოლკლორული სახეებით გატაცება.

ეს თვისებები დაუკლებლად გამჟღავნდა ფილმშიც „რაც გინახავს, ვეღარ ნახავს“.

და კვლავ ვიცანით ქიურელი მხატვარი, რომელაც ასე უკვარს ფერები, ხალხური ხელოვნება, ხეობა-თამაშობანი, ენაკემატი თქმები, ხალხის ყოფის ფერთა აუღვარება...

დრო და სიახლის შემტევი ძალი იყ მოსრავს წარსულის ნაშთებს, რომ ალბათ მალე კინოშიც კი სანატორეული გაგვიხდება ძველი თბილისის ნატურის ხილვა.

გამოხდება ხანი და სასოებით ენახავთ ამ ფილმის ბეგრ კადრს, რომელშიც თითქოს პირველყოფილი უშუალოებით წარმოდგება ძველი თბილისის ნაირფერობა, სიტყველ და საოცარი კოლორიტი, მისი სიკეთე და ცოდვისმეილობა, სიმართლე და ხელმწირობა, გაურანდავი ხუმრობა და ალღი გული, ერთი სიტყვით — ძველი ჭალაქის მართალი სახეც და ფერუმარილიც.

მაგრამ ფილმში ყარაჩოხელთა პოეტური ბოქმის, მათი რანდელი სახეების გვერდით დგას უბრალო გლეხაკობაც — მიწის ამაგდარი, ცხოვრების ვუდე, დოვლაითის შემქმნელ-მომწვევი. და აქ ქიურელი ქართველი გლეხაკობის გაუტყვებელი ბუნების, მისი ენამზეობის, შაირობის, ხელგამლილობის, ბანზე შემომდგარი მექორწილეებისა თუ გზად მიმავალი მაყრიონის პოეტია.

და გვეპატის გამეორება ამ ფილმზე რევენიონდას, მაგრამ სურათის ბეგრი კადრი მართლაც ფირომანისა და გიგო გაბამეილის ტილოების ასოციაციას იწვევს. ხოლო თუ ზოგჯერ ეს ჭაბაბადც იყრანობა, ამ მხატვრობისადმი ჩვენი სიყვარული იყოს ანის გამართლება. ფილმისა და ხელოვანის გამართლება



ესლო ახამიძე. 1921.

კი, ალბათ, ახმინდებიან პოეტის სიტყვები, ქიურელს „ამამანისკენ“ რომ უძღვანა: „მიყვარს თბილისი... მიყვარს ეს პოეზიის ძველი აკვანი, ეს დარდიმანდული ბოქმა, ეს საქართველოს მთრთოლავებელი გული, ეს... დასაწყისი და დასასრული ჩემი არსებობისა“.

ოტე შესტი. 1910.





მიხეილ ჭიაურელი საიუბილეო საღამოზე



## გაგორჩენილი

## საკვითი კინოგაქმნის

## საიუბილეო საღამო

პეპს ჯინათი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ დრამატულ თეატრში გაიმართა სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, გამოჩენილი საბჭოთა კინორეჟისორის მიხეილ ჭიაურელის დაბადების 70 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

ჩვენი ეროვნული კინოხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებლის ეს მნიშვნელოვანი თარიღი თითქოს დაემთხვაო ქართული კინემატოგრაფის მოახლოებულ ნახევარსაუკუნეოვან იუბილეს.

იმ დღეს რუსთაველის თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ მიხეილ ჭიაურელის მრავალმხრივი ნიჭის თაყვანისმცემლები, უპრობო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები — მწერლები, მხატვრები, თეატრისა და კინოს მოღვაწეები, მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის კინემატოგრაფისტთა წარმომადგენლები.

საიუბილეო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ კუპრაჯამ.

მიხეილ ჭიაურელის კინოხელოვნებაში მოღვაწეობაზე მოხსენება გაკეთა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა კინორეჟისორმა რეზო ჩხეიძემ. იუბილარის თეატრალურ შემოქმედებაზე ილაპარაკა სა-



ქართველთა მწერალთა კავშირის მდივანმა კრიტიკოსმა ბესარიონ ელენჯა, ხოლო საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ ზურაბ ლევანამ თავისი გამოხვლა მიუძღვნა მ. ჭიაურელს როგორც მხატვარს.

იუბილარს მიესალმნენ და მოგონებებით გამოვიდნენ საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახლში არტისტი კინორეჟისორი სიკო დოლიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ვიგოლაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი მიხეილ ზუზუნია, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახლში არტისტი დოდო ანთაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ვახაძე, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო ბუნების დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი მოეტი იოსებ ნინეშვილი, მანუე წაიბოზა მ. ჭიაურელისადმი მიძღვნილი ლექსი.

მიხელ ჭიაურელს იუბილედ მიულოცეს: ვახუშთის კინემატოგრაფისტთა სახელით კინორეჟისორმა ა. კარსაკაბეშმა, სომხეთიდან — კინორეჟისორმა ს. კევრიკოშმა და კინოდრამატურგმა მ. ჩავნიანმა, აჭარაიდან — კინორეჟისორმა გ. სვიდ-ბელიძემ და შ. შვიციანმა, ურაინიდან — კინორეჟისორმა ა. მურატოშმა, მოსკოვის გორაკ სახელობის კინოსტუდიის სახელით ე. გოჩარიოშმა, კინორეჟისორმა გია დანდელიამ და სხვებმა.

სალამის დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის ვ. აბაშიძის, კ. მარჩანიშვილის, შ. რუსთაველის, ზ. ფალიაშვილის, ს. შაუშიაშის სახელობის თეატრების კოლექტივები, თელავისა და სოხუმის თეატრების მსახიობები. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიისა და კინოსტუდიის „ქართული ფილმის“ მსახიობები და სხვ.

საუბილო საღამოს ესრებოდნენ ამხანაგები: ვ. პ. მეთევანიძე, პ. ა. როდონოვი, დ. გ. სტურუა, შ. ი. ჭიანჭველიძე, გ. დ. ქავთაშივილი, ი. ტ. ჩერქეზია.





# იხსუვ კობალაქის იხაილა



რუსთაველის სახელობის თეატრის ბუფონი, დღი ქართველი რეჟისორის სანდრო ამბოტლის ხელმძღვანელობით ეტარა პირველი თეატრის სეზონის საქართველოს სსრ სახალხო არტისტი იხსუვ კობალაქი. რუსთაველის თეატრში მიიღო პირველი ნაშრომა, აქვე შეიხვეწა მისთვის დამახასიათებელი შემოქმედებითი თავისებურებები, რასაც დღემდე ინარჩუნებს კომედიკანტ წავიდა ორმოციოდ წლის წინ ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში და თან მოიტანა ტელევიზიულმა დაკვირვებულმა პერიოდულ-რომანტიკული თეატრის ტრადიციები, მასთან ერთად თავისი პირადი, კონკრეტული, გულწრფელი, ღაბაღა და შესანიშნავი თვისებები შემოქმედებასა და ცხოვრებაში. მის შემდეგ არ უღალატა ი. კობალაქის არჩეული ზუსთვის — დღემდე რჩება რესტავლაციის ერთ-ერთი საუფლოესი ტრადიციის აქტიორად: ოტდლოს, ოდიანოსისა და მთელი რიგი სხვა როლების ჩინებულ შესრულებლად, რომლისთვისა და მასთან შეხვედრა სისხეტაკე, უშუალოა, იგრასხება ღრმად წყდომის უნარი.

იხსუვ კობალაქის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საუბუბო სემინარი რუსთაველის სახელობის თეატრის მიერ დაარსაში დიდწინუწედილი იყო ჯერ ერთი იმით, რომ ეს იყო პირველი საღამო მოწვეული თბილისში რაიონის თეატრის მხარისთვის პატივისცემად ეს მეტად ურადხადები უფჯი და სასუფლოა, რომ თეატრალურმა საზოგადოებამ და კულტურის სამინისტრომ ეს შესანიშნავი წამოწევა შემდეგომაც გააგრძელონ, რადგან ამით კიდევ უფრო მჭიდროდ დაუახლოვდებიან ერთმანეთს რაიონებისა და დედაქალაქის თეატრები, ეს საღამო ბათუმის თეატრის ობიექტულ იყო. რადგან ი. კობალაქი ბათუმის თეატრის სახის, თავისებურების გამომხატველია თავისი ნაგრძლივი და ორგანიზატორული შემოქმედებით. ბათუმის თეატრის სცენაზე დიარსულად იმართეს იგი ქართული თეატრის, ქართული კულტურის განვითარებისთვის.

საუბუბო საღამოზე თავი მოიყარეს ქართული თეატრის მითვარეობაში, იხსუვ კობალაქის ნიჭისა და შემოქმედების თავანისცხეობაში, თბილისის თეატრების მხარისობაში, იმ მითვარეობაში, რომლებიც ქართული იხსუვ კობალაქის — შესანიშნავი მხარისობისა და შესანიშნავი მოქალაქის.

საუბუბო შესავალი ხატევა წამოიწევა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე დიდი ანთაქმე. ურადღებით იქნა მოსმნილი ხტლოვნების დამსახურებელი მოღვაწის ოთარ ვჯარის მოხსენება კობალაქის სცენური შემოქმედებაზე.

მისასლმებელი სიტყვებით მომარტეს იხსუვ კობალაქის ხტლოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დავით ზტიქემ, სქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხტლოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსმა ვახტანგ კუბელმა. რუსთაველის თეატრის მოავარება რეჟისორმა, სქართველოს სახალხო არტისტმა არჩილ ზნარტიშვილმა (იგი ამბდენიშე წლის მანძილზე მუშაობდა ბათუმის თეატრში ი. კობალაქისთან ერთად და კარგად იცნობს იუბილარს, როგორც შემოქმედელს და კარგ მამუღიშველს), სსრ სახალხო არტისტმა ვასო გიორგიშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, ბათუმის თეატრის მხარისობამ ნუნუ იფიჩაძემ, სქართველოს სახალხო არტისტმა დემურ ფხვბაძემ მიუძღვნეს საყურადღებო წერილები. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგმა პრიფ. შავლაი მრეფლოვილმა გაიხსენა ერთად გატარებული შემოქმედებითი ცხოვრების დამსახურების, თავისი გამოხტვა მან ასე დასა-

რულა: ბარაქადა ასე კარგად რომ მოიხტევა კული ქართველი სახლისა და ქართველი თეატრის წინაშე. ზეიმით დასრულდა კინორამატურული და კინოტრადიციული კარგად გოგინე შეხვო ი. კობალაქის მიუღვაწეობის მითვარეობის კინოს რეჟისორის თეატრის მოავარი რეჟისორი, ხტლოვნების დამსახურებელი მოღვაწე შოთა მესხი, სქართველოს სახალხო არტისტი ვიქტორ ნინიძე, დრამატურული ვასო პატარია, სქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის თამაზილემ გაიხტ იაქაშვილმა დამსწრეებს გააცნო ტესტირ იხსუვ კობალაქის სქართველოს კულტურის სამინისტროსა და თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის საპატიო სტეული დავილდოების შესახებ.

გულბობლი მილოცვებით აღუვებულმა იუბილარმა პირველ რიგში მადლობა გადაუხტა საღამოს მოწვევის მითვარეული და დამსწრე საზოგადოებას.

## მხატვარი მხატვარის


ამ ცირბან ნინის წინაშე სქართველოს მხატვართა რიგებს გამოაყვდა ნაწივური პეიზაჟისტი, რესტავრატორი და მასტერული მხატვარი დეზობინი ძამაძინი, რომლის მატარე საინტერესო, თვითმყოფელ შემოქმედებას კარგად იცნობს დავით საზოგადოებრიობამ. ორ ათეულ წელზე მეტია მისი ხალასი, ცხოველბატული პეიზაჟები ოთქების ყოველ — მითვარე თუ დიდ სამხტატო გამოფენებზე ღრმად გამომსახველობით და თავისებური სტრუქტურებით იზივადუნენ დამთვლოებრებს. მხატვარმა მივებებისა და ზრდის მეტად საინტერესო ვხა ვანკლი, ჩამოვლილად საყურადღებო ხტდვის ფერმწერისა და კვლავ მწილვარად, მოავარეობდა ვანკარობდა მეტეველი ფერწარული ხტრებისავე სწრაფვას, ცხვებას და ვქსატირებრებს ატლის მიხანებებას.

ეს დღესასტა პროდუქტობდა შემოქმედების ბოლო წლებში მრავალი ახალი ტილო შექმნა. დედუღილად მოგზავრობდა სქართველოს ყოველ კუთხეში, მომინებულბო და აუხანავი არ დარბა არც დედსტრინი. მისი ტილოებში ივინებენ თუ როგორ ვწადებობა და იგი ატლი მომავალში პერმანენტური გამოფენის მომსწრებდა, სტრად ხალხის სამსჯავროზე გაეგანა ახალი ქწილებუბი, რომლებშიც ჩაქსნა ახალი აზრები, მივინებუბი, ხალასი მოთბქილდებუბი მწიბილურ ბუნე-

ბაზე უსაზვროდ შეეყარებული შემოქმედებას.

მხატვრის ამ უყანასცნული დღი სტრეილი ვანსორცივება ოთავა სქართველოს სახალხო მხატვარმა დეუნდ ახტლოვლს მხარეებზე ლეო ძამაძინის შემოქმედების ღრმა პატივისცემის ნიშნად საყურადღებო ხტდვის ნიშნად და ბინაში მოწევი მისი უყანასცნული ნამუშევრების დღი გამოფენა. მე მას ვესტრებუბე საწეკარი სტრავლს — თქვა დეუნდემ გამოფენის გახსნისას — სასტეილო სატეილზე მან გულსწევებით მიხტბა, რომ ვეღარ იბილავ თავის პერსონალურ გამოფენას, რომელზეც ასე ელდა. მე მამინ ვუბატუბე: რა სისტეულეს ამბობ, ბებო, გამოფენასაც მოწევი და კიდევ მრავალ სხვა გამოფენას-მითვარე... დღეს ჩვენ, მის გარეშე, მას სტრეილი შევტრადილეთო...

გამოფენის გახსნაზე ლეო ძამაძინე გელთბილად მოივინეს და მისი შემოქმედებებზე ილპარაკეს მხატვართა კეგრობის თავმჯდომარე ზ. ლევაიამ. მხატვარმა რ. ვაჯრო-შვილმა, იმ საღამოს საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი მეტრობა მხატვრის სივინის პატივისცემაზე და მისი უყანასცნული ახალი ტილოების საჩახად, რამდენიმე კვირის მანძილზე ეს გამოფენის ორბამაზებს დამთვლოებრებელთა ახალი ნაყავებზე აესტდენენ.



პავლე მარკოვი

# თეატრბეძენა, თეატრის ისტორიკოსი და კრიტიკოსი

ციოთ, თუ არა რას ნიშნავს გაყვადეს მასწავლებელი პროფესიაში, უფრომანოდ გვეროფესიაში, ამჟამობდე მისით, იყო მისი მოძღვრების უსაზღვროდ ერთგული, აღიარებდე მის აზრებს? ბედნიერია, ესაც ცხოვრებაში ეს წილად ზედმოხია.

ზემი მასწავლებელი — პროფესორი პავლე ალექსანდრეს ძე მარკოვი, საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე, გამოჩენილი საბჭოთა თეატრმეოდნე, თეატრის ისტორიკოსი და თეატრალური კრიტიკოსია. მას დღეს 70 წელი შეუსრულდა. ამ თარიღს აღნიშნავს მთელი საბჭოთა თეატრი, რომლის ცხოვრებაში მარკოვის სახელი ძალიან ბევრს ნიშნავს. თანამედროვე თეატრალურ ხელოვნებაში არ არსებობს ისეთი სფერო, რომელსაც არ შეხებოდეს მარკოვის სიბრძნე. ის წერს მრავალი წეული, წერს ბევრს, უხვად და ნაყოფიერად ოციანი წლებიდან დაწყებული, ძველია მოინახოს საბჭოთა პერიოდიკის ისეთი გამოცემა, რომელშიც არ დაბეჭდილიყოს მარკოვის წერილები. ეს არის რეცენზიები სპექტაკლებზე, სესონების მიმოხილვები, მსახიობთა შემოქმედებით პორტრეტები, წერილები დრამატურგებზე, რეჟისორებზე, მთელ რიგ თეატრალურ კოლექტივებზე, თეატრალურ მიმართულებებზე, თეატრის ყველაზე მნიშვნელოვან პრინციპებზე და კრიტიკოსის ამ მრავალმხრივ გამოსვლებში — ყველგან და ყოველთვის თავს იჩენს მისი უცვლელი ერთგულება სამხატვრო თეატრისადმი! ამ თეატრის სამსახურს მიუძღვნა მან თავისი ცხოვრების მრავალი წელი. იგი ნემიროვიჩ-დანიელისა და სტანისლავსკის გვერდით მუშაობდა. სწორედ „მხატვის“ კოლექტივთან ასეთმა ურთიერთობამ ბევრად განსაზღვრა მისი საკუთარი ესთეტიკური თვალსაზრეობა, აღზარდა იგი რუსურ კრიტიკოსი-რეალისტი, როცა კარსაპოვა თეატრის განვითარების და აღმავლობის ცოცხალი პროცესების უკმარისობის და პირუთენელი შემატება.

მარკოვი — ეს თეატრის ცოცხალი ისტორია. მისი წიგნები: „თეატრალური პორტრეტები“, „ი. ი. ნემიროვიჩ-დანიელის რეჟისურა მუსიკალურ თეატრში“ და ბევრი სხვა უფასო საბჭოთა თეატრმეოდნის საბავილო წიგნებია. აღსანიშნავია მისი საკუთარი წიგნის მარკოვის თეატრის სიმართლე“ უკუდა და, მარტო, თითოჯნის სხვაგვარად არც შეიძლება დეტალურად თაყვის წიგნი

კრიტიკოსის, რომელსაც არასოდეს არ გადაუხვევია სიმართლისაგან ზელოვნებაში.

მარკოვის ბევრი რამ უნახავს, მან ბევრი რამ იცის. მთავარი კი ის არის, რომ ესმის თეატრი, ესმის ღრმად, ძირფესველად, მარკოვისებურად. მისი ცოდნის უსაზღვროება და მოვლენათა არსში წვდომის ძალა პირდაპირ პროპორციულია მისი მსჯელობის ვასაოცარ სისადაუნესთან, ლაკონურობასა და სიცხადესთან. ყველაზე რთულ ცნებებს მარკოვის კალამი აშუქებს უაღრესად გასაგებდ და მისაწვდომად. ამაშია მისი ოსტატობა, მისი ნიჭიერების მომხმებველობა.

მასწავლებელ! დღეს მასზე ვფიქრობ სიყვარულით, სინაზით და აღტაცებით. მაგონდება, როგორ გვასწავლიდა იგი ვიყოფილიყავით პატიოსანი, გულმართალი და არასოდეს არ დაგვეთმო ჩვენი პრინციპები, არ გველატება მათთვის. ის გვზრდიდა მკაცრ, მაგრამ თეატრზე უსაზღვროდ შეფერებულ ადამიანებად, რომელთათვის თანაბრად უცნობა სახტომენტლობაც და გულგრილობაც. ის გვიჩვენებდა სიცოცხლის, თეატრის და სიყვარულს.

თვითონ მარკოვი ყოველთვის ცხოვრების შუაგულში იმყოფება. ის ბევრს მოგზაურობს, დადის უცხოეთის ქვეყნებში. და ყოველი ეს მოგზაურობა მთავრდება თანამედროვე ხელოვნების აქტუალური პრობლემების კიდევ ერთი ღრმად და ბრძნული შეფასებით.

ჩემს მასწავლებელს 70 წელი შეუსრულდა. ის ბედნიერია. ბედნიერია არა ყოფილი კეთილდღეობით, არამედ იმით, რომ განვლთ რთული და მძლეადრე ცხოვრების გზა, რომ იყო და არის მუდამ პრინციპული, პირდაპირი და უკომპრომისო ხელოვნების საციხში. იგი ბედნიერია იმით, რომ ჰყავს ერთგული მიმდევრები და მოწაფეები, რომლებიც სიყვარულით უზღვიან სამაგიეროს, რომელთა შორის არც ერთია უმადური და გულგრილი მის მიმართ.

პ. ა. მარკოვი დღესაც აღსასვება შემოქმედებითი ძალღონით, ენუგრით, სიცოცხლისმოყვარეობით. საბჭოთა თეატრალური კრიტიკის განვითარება მხარს უსწორებს მარკოვის მარკოვის სახელი — მშვენიერებისადმი მაღალი სამსახურის ეტალონია.

ეთერ ბუბუშვილი



## „ბორის გოდუნოვი“ ქართულ საოპერო სენაზზე

მანანა ახმეტელი

ქ

არგა ხანია ქართული საოპერო რეჟისურის წინაშე მძაფრად წამოიჭრა პრობლემატურ საკითხთა მთელი წყება: როგორი მხატვრული პრინციპებით და გამომსახველობით ხერხებით უნდა გაიხსნას საოპერო პარტიკურა, რომ იგი ცხოველმყოფელი, ძლიერად და თანადროული იყოს? რა შემოქმედებითი პროცესებია ჩასატარებელი, რომ საოპერო ჟანრმა — ხელოვნების ერთ-ერთმა სრულყოფილმა სახეობამ, მაყურებელზე შემოქმედების ძალა არ დაკარგოს? სად არის ის ახალი გზები, რომელნიც საოპერო სცენის გამომსახველობას თეატრალური ხელოვნების მაღალ პოზიციებთან მიიყვანს და მის დღევანდელ მხატვრულ დონეს დაუკავშირებს?..

ნიმანდობლივია, რომ ეს საკითხებზე არა მარტო თანამედროვე საოპერო ნაწარმოებთა გასცენიურებამ, არამედ, ძირითადად, კლასიკური საოპერო შემკვიდრების სცენური წარმოსახვისათვის ახალი თეატრალური ფორმების ძიებამ წამოჭრა.

ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩვენს საოპერო სცენაზე ცნობილი მოსკოველი რეჟისორის, რსდსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ლ. მიხაილისის მიერ მუსორგსკის „ბორის გოდუნოვის“ დადგამა განსაკუთრებული ინტერესი აღძრა.

ჯერ კიდევ ორიოდე წლის წინ პროკოფიევის „სემიონ ცოტკოს“ დადგმით მიხაილივმა თბილისის საოპერო სცენაზე გაატარა თანამედროვე მუსიკალური რეჟისურის მხატვრული პრინციპები. ამ სპექტაკლის ბრწყინვალე წარმატებამ ცხადყო საოპერო სცენის გამომსახველობითი საშუალებების სამდიდრე, ცხოველმყოფელობა, შეუნელებელი პროგრესი და თანამედროვეობასთან შესატყვისობა. ამავე დადგამში მანამდე არნახულმა ძალით იფეთქა ჩვენი საოპერო კოლექტივის შემოქმედებითა პოტენციალი. ამჟერა გახადა, რომ თეატრში თვალსაჩინო ფოკალური და აქტიორული მონაცემების ნიჭიერი ახალგაზრდობაა. მას რთული მხატვრული ამოცანების გადაჭრა შესძლებია. იგივე დადასტურა საოპერო ლიტერატურის უნიკალური ქმნილებების — მოცარტის „დონ-ჟუანის“ საყურადღებო დადგამი (რეჟისორი პასინკოვი), და განსაკუთრებით მუსორგსკის „ბორის გოდუნოვის“ ახალმა, მიხაილისებურმა გადაწყვეტამ.

დღეს უკვე ეჭვგარეშეა, რომ ჩვენს საოპერო კოლექტივის შესწევს ძალა შეეძლოს სხვადასხვა მხატვრული სტილისა და მიმართულების საოპერო პარტიკურებს, სცენური სიციხელე მისცეს როგორც თანამედროვეობის ნოვატორულ ქმნილებებს, ისე საოპერო კლასიკის შედევრებს.



ნანს, ასევე ფიქრობდა ლ. მიხაილივი, როდესაც ჩვენს სცენა პუბლიკის პირველი რუსული კლასიკური ტრაგედიის ხაზები მუსორგსკის მონუმენტური მუსიკალური დრამის „პირის კოლონიას“ დადგმის გატაცებით შევადგა.

ლ. მიხაილივიანს საოპერო დასის ხელმძღვრელ შემხვედრა, მასთან მჭიდრო შემოქმედებით ურთიერთკავშირი საინტერესო პრესმენტუმი უსადავო როგორც მხატვრებს, ისე თეატრსა და მუსიკალურ საზოგადოებრიობას.

მიხაილის ჯერ კიდევ სპექტაკლზე მუშაობის დაწყებამდე უნდა ქონდა გააზრებული ნაწარმოების იდეურ-მხატვრული კონცეფცია, განზრდილი თავსებებურება, მუსიკალური მასალის სტილისტური რაობა. იგი პერსპექტივაში ხელდავლავს მისილიან კომპოზიციას, მხატვრულ ხანების, სპექტაკლის არქიტექტონიკას. უფრო მეტიც, იგი განზრდიდა მომავალ წარმოდგენას რიტმში, დინამიკაში, ფერში. ამატორმაყ დასთან სარეჟისერო მუშაობა რაციონალური და მიზანდასახული იყო. რეჟისერებზე იგი არ ეძებდა გამომსახველობით სამუშაოებს, მიზანთად ექსპერიმენტებსა და იმპროვიზაციებს. მთელი შემოქმედებით პროცესი მიმართულია იყო რეჟისერული პარტიკული უხსენად და შესატყვის სცენურ ხორმებსმიხსავენ. ამიტომაც სპექტაკლის გაყოფებზე რეჟისერის პირველადე დღიდან დაიწყო.

საოპერო დასთან ურთიერთკავშირის მჭიდრო კონტაქტში, შემოქმედებით წივისა და გატაცების, ამასთან მკაცრად და ხელოვნურ პროფესიულ ატმოსფეროში იმადებოდა უაღრესად სანტერესო და გამართული წარმოდგენა.

სცენაზე მოთავსებული მოედნებისტერი კონსტრუქცია წარმოდგენის უცვლელი დეკორატიული საფუველია. მასზე თანმიმდევრულად ვითარდება ოპერის დრამატული მოქმედება. კონსტრუქცია ყოველთვის ხელს უწყობს იმ ატმოსფეროს შექმნას, რომელსაც ოპერის ესა თუ ის სცენა მოითხოვს. მასზე წარმოსახული „მიონების“ ტაძრის ინტერიერი (რომელშიც პირისის მეფედ კრთივების საზეიმო ცერემონიალი სრულდება) და მემკვიბე პაივისის საბოლოოლო საკანი, კომრის განზრუ-კოლორატული სამიტიტონ და პოლონური სცენები, მეფე ბორისის სასახლე და პოარათა სათაბინო, ვასილი ნეტარის ტაძარს მიდამოები და კრომების ტყის კორდის პიესიციც.

კონსტრუქციის ამგვარი უნივერსალბობა ბევრით არის დავლებული მიზეზი და გამოვლილი მხატვრის, რეჟისერული ჩანდერის თანავეტორის ნ. ზოლოტარიოვის მხატვრული გაფორმებასაგან. მან ტრადიციული თეატრალური დეკორაციების ნაცვლა სპექტაკლი ააგო მოძრავი ფერწერული პანოებთან. პანოებზე სურათგანის მოხატვლობის ცვალებადობით, განათება და შუქ-რდილობის ოსტატური გამოყენებით, კონსტრუქცია სცენურა მოქმედებისათვის საჭირო ადგილსამყოფელში გარდასახება. ოპერის თეითული სცენისათვის შექმნილი ისეთი ფერწერული სამოსელი, რომელც მისთვის შესაფერისად კარგობის უაღრესად კონკრეტულ ილუზიას ქმნის. მანამ მისალივლია და ზოლოტარიოვის მიერ სპექტაკლის პირობითად გაფორმებაშე გამათი გამოიწვია: მარტემა, მაგარს ორიენალურმა კონსტრუქციამ აზრთა სხვადასხვაობა, დიალექტრულად საპირსაპირო შეხებლებში წარმომევა. დიმიად კონა: მისამემუნილია თუ არა ასეთ „შემეგდობებულ“ კონსტრუქციას მუსორგსკის განადიოხული სახალხო პანონანის წარმოსახვა? დაამეთითიბი ამტკიცებდნენ შესაბამობას სცენას სამოქმედო ტერიტორიას და განრის მასმტებებს შორის. ითქვა ისიც, თითქმის არ დანადგარბა გამერული საუ მასეა მუსორგსკის მონუმენტურ მუსიკალურ დრამას. კამათის საყად ზოლოტარიოვის მხატვრულიც იქცა. კვლავ წამოიჭრა კითხვა დაამეშენია თუ არა კლასიკური საოპერო ნაწარმოების და ისეთ მუსორგსკის თეალისტური მუსიკალური დრამას წარმოსახვა დეკორატიული მხატვრობის პირობით ხერხებით?

მარამ, დადგმის ავტორთა მიხინამ არ იყო „პორის გო-დუნოვის“ გასცენრება ილუსტრატიული მეთოდით. მათ მიზანად დაისახეს შექმნილი ფართოდ გასზოგადებულ რეჟისერული ტილო, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა მათი თავისებურება მოხაზვა, მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების გამოქვება და ამ მოვლენებთან ურთიერთკავშირში გზართა მხატვრული სახეების გამოვლენა. ამ რომელი ამოცანების გადასწყვეტად კი მან სხვადასხვაგვარ გამომსახველობით საშუალებებს მიმართეს. არსებიადა, რეჟისეროსა და მხატვრობისთვის პირობითად თეითმზნას კი არ წარმოდგენდა, არამედ ამ გამომსახველობით ხერხის, რომლითაც მთელი რიგი კონკრეტული იდეურ-მხატვრული საკითხების გადაჭრა ურთოდროულად მოხერხდა. ამასთან, მიხაილივის რეჟისერული ხელწერულიდან (რომელსაც ჩვენი მუსიკალური საზოგადოებრიობა გაუფიქრო ჯერ „სემიონ კოტკოს“, ხოლო შემდეგ „პორის კოლონიას“ დადგმებით) ვკითხულობთ, რომ იგი რუსული კლასიკური თეატრალური ხელწერების თვალსაჩინო მინდევარია, რომ მისი მხატვრული რეალისტური აზროვნებისათვის გადასწყვეტია ოპერის მუსიკალური მიზანრის, ძირითადია იდეურ-მხატვრული კონცეფცია. ნაწარმოებს ფორმა არ არის რეჟისერული ფუნქციის გამომსახველი საშუალება, ან კიდევ ხდებოდა შთაბეჭდილების თემქმნელი ფუნქცია. რეჟისეროსათვის ნაწარმოების მიზანური მხატვრული საწყისების წარმოსახვა პირველადა ამოცანაა, მხოლოდ შემდეგ იმადება ამ საწყისების გამომსახველი გამომსახველობითი საშუალებანი. ამ გზით რეჟისერი ამყოფებს წონასწორობას სპექტაკლს იდეურ-მინარსსა და მის მხატვრულ ფორმას შორის. ამვე მოხიციებდნენ მიუცვა მიხაილივის სასცენო დანადგარსაც, კონსტრუქცია ისეთ გამომსახველობით საშუალებად აქცია, რომლითაც კონსტრუქციის ოპერის რამდენიმე საწყისი წარმოსახა: „პორის კოლონიები“ სახალხო დრამაა. ჯერ კიდევ პუბლიკის ერთ-ერთ წერილში ნახვამდით აღნიშნავდა, რომ „Драматическое искусство родилось на площади, для народного увеселения“... სცენაზე მოთავსებული კონსტრუქცია სწორედ ამ მოვლენას განასახიერებს, მის ხალხური დრამის, ანუ მოედნის თეატრის საწყისების მივყავართ. ამ მოედანზე რეჟისერობა მეფე ბორისის დრამის ინსცენირება მოაწყო, ხალხი თეით დასამეზო თეათი დროის დიდ წარმოდგენას. ამით მან ოპერის ძირითად პერსონაჟს — ხალხს ორმავე ფუნქცია დაავიხრა: ერთის მხრივ იგი მხრუნელოვანი ეპოკალური მოვლენების ექტურეი მონაწილეა, ხოლო მეორეს მხრივ ამ მოვლენების მაცურებელ-შემფასებელაქცია. ხალხურ სახანობათა ამ ელემენტის (მოედნის) გამოყენებით, მიხაილივმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი პუბლიკის და მუსორგსკის დრამის ხალხურ საწყისებს.

ნიშანდობლივია ისიც, რომ კონსტრუქციის გამომსახველობით ფუნქციის საშუალებით, მიხაილივმა ბორისის დრამიდელი რუსების სოციალური თუანასწრობის სურათი დახატა. აღნამსულ მოედანზე მან სამეფო ტახტი წარმოადგინა, ხოლო ხალხი მოათავსა ქვევით, სცენაზე. ამ ხერხით მან სპექტურულად მოათავსა ის წოდებულები კიბე, რომლის მაღალ საფეხურზე დგას მონარქი, მომდევნოზე — პოარათის, ხოლო ქვედა საფეხურზე — ხალხი. აღსანიშნავია, რომ იმ სცენებზე, სადაც ბორისი, მოარები და ხალხი ერთმანეთს ხედება, წოდებრივი დისტანციის გამომსახველი სპექტურა მკაცრად არას დაველი.

გარდა ამისა, კონსტრუქცია ხელს უწყობს სცენური მოქმედების დინამიკას. იგი თითქმის არ დანადგარბა საფეხურებით უკავშირდება სცენას. მოქმედ პირობა მიმოსვლა სცენიდან კონსტრუქციასზე (და პირიქით) ამ მისადგომებით წარმოებს. თეითულ სცენაში რეჟისერო იძლევა ამ მხარეებისა თუ მისადგომის გამოყენების ახალ-ახალ ვარიანტებს. ზოგჯერ კონსტრუქციასზე ახლა-ჩამოსვლისას მხახიბები მხოლოდ ერთი მისადგომით სარგებლობენ, ზოგჯერ მეფეურებიან სხვადასხვა:



მხრიდან ერთდროულად, ზოგჯერ კი ყველა მისადგომია გა-  
მოყენებული. ამგვარი კომბინაციებით რეჟისორი დინამიკურს  
ღდას მოქმედებას, მოძრაობით აყვებს სცენას და, რაც მთავა-  
რია, დეკორაციის გათამაშების საინტერესო მაგალითს გვა-  
ვაზიანებს.

მაგრამ მართო ამით როდი ამოიწურება კონსტრუქციის  
ფუნქცია. მას ნიშნებელთაგან როლი განხვედრება დადგმის  
არქიტექტონიკაში. სპექტაკლი გამოირჩევა სცენური ნახაზის  
(კომპოზიციური განლაგება, მიზანსწეობა, აქტიურობა სცენ-  
ური პოზიციებით) შრავალსახეობით. დანაშინსავია, რომ სპექ-  
ტაკლის მსვლელობის მახინულ სცენურ ნახაზს განმარტ-  
ვის შემთხვევებს არ ვხედავთ, რაც თავის მხრივ განაპირობა  
კონსტრუქციის ტერიტორიის ნაკლიანობად და რაც აწინააღ-  
რად გაახვარებამ. ნიშანდობლივია, რომ რეჟისორს კონსტ-  
რუქციულ თითოეული წერტილაც კი გამოიზნული აქვს, რის  
გამოც იგი ყოველთვის ახალი კუთხით არის დანახული და  
დაქმული მაყურებლის მიერ. ამრიგად, კონსტრუქციის გაახ-  
ვარებების საფუძველზე სპექტაკლში უსაჩუქრად იქმნება ახა-  
ლი და მეტყველი სცენური ნახაზი. ეს მით უფრო მნიშვნელო-  
ვანია, რომ ამ ნახაზს ცვლა კინემატოგრაფიული სისწრაფით  
ხდება. ანავე ანალოგიით მივლი წარმოდგება შეიძლება ზახვი-  
ნილობა, როგორც მუსიკალურ-სცენური „კადრების“ მიზანდ-  
ეობა, რომელიც თვითიველი სცენური „კადრი“ ოპერის მუსიკა-  
ლური მდინარების ახალ ტალღას ემთხვევა და მუდამ შესა-  
ტყვის სცენურ ვითარებასა თუ განწყობილებას ბადებს. ამ  
გზით მიხაილოვმა მოახდინა მუსიკალური დანების ინტენსი-  
ვობის ფიქსირება სცენაზე. მუსიკალური „კადრების“ სიხში-  
რემ და თვითიველი „კადრის“ შემქმნელი სცენური ნახაზის გა-  
ნუშვორებლობამ წარმოშვა საოპერო სცენისათვის უწყველო,  
მაგრამ საოპერო პარტიტურად გამოშდინარე დინამიკურობა,  
სიტუაციათა სიმრავლე, მრავალსურათოვნება და შიშობობა.  
მიხაილოვმა მუსორგსკის მუსიკალური აზროვნების ათვისებით  
მიაგნო საოპერო შტამპისა და სტატუკის ჩინიდად გამოსავალს.  
ამიტომაც, სპექტაკლის ცხოველმყოფელობა, თეატრალიზა და  
სიხალცე კი, არსებითად, თვით ოპერის ღარსებებია, რომელიც  
მიხაილოვმა გამოაღვინა კომპოზიტორის მხატვრული პრინ-  
ციპების ათვისებასა და შემქმნების გზით. აქვე დაუვამატებ  
მიხაილოვის ხელწერისათვის დამახასიათებელ კიდევ ერთ  
მნიშვნელოვან თვისებას: სპექტაკლის დინამიკაში და სცენური  
ნახაზის შრავალსახეობაში რეჟისორი ყოველთვის ვარაუდობს  
სიმღერის რთულ პროცესს, მას აქტიურობათვის კონსტრუქ-  
ციასზე მონახული აქვს ისეთი სცენური პოზიციც, რომელიც  
ხელს უწყობს ვოკალური აპარატის თავისუფალ მართვას, გა-  
თვალისწინებული აქვს დირიჟორისა და მესწრულებელთა  
აუცილებელი შემოქმედებითი კონტაქტი. სწორედ ამანა ჩანს

მუსიკოს-რეჟისორის უაღრესად პროფესიული და ამასთან ახ-  
ლებური მიდგომა მუსიკალური თეატრის სპექტაკლისთვის.  
ასეთივე აზრობითი დატვირთვა აქვს სპექტაკლში „სილი-  
ტარიოვის მხატვრულ კაზოვსაც. პუშკინი თავის დრამაში  
ფინატიკურად რელიგიური რუსეთის სურათს ხატავს. მართ-  
ლაც, საუკუნეთა სახინულე სასურმურობა სახელმთიფობივი  
იდეოლოგიის საყრდენი იყო. დრამის თითქმის ყოველ სტროფ-  
ში მკაფიოდ ჩანს მართლმადიდებლობის ძალა, ნაზვასულები  
მისი დიდი შემოქმედება ხალხზე, ისმის რელიგიის გაად-  
რება. ეს მომხეტე დაუცლია არა მარტო მუსორგსკის ოპერის  
ტექსტში, არამედ გამაწივლებელა კიდევ მუსიკალურ პარ-  
ტიტურაში რუსული საცვლელთა მუსიკის ირთხაბებით. გუნ-  
დების ტორალური ელერადობით. დადგმის ავტოროვამა ეს მე-  
ტად მანშენელოვანი იდგური ფაქტორი კონკრეტული და ორი-  
გინალური ხერხით გამომატეს: სპექტაკლის მუდმივ დეკორა-  
ციულ ფონად გამოიყენეს ეკლესიებითა და გუმბათებით მო-  
ხატული ფარდა. ვფიქრობ, ეს ფერწერული ტილო სიმბო-  
ლიურად ანსახიერებს იმდროინდელი რუსეთის რელიგიურ  
ატიმოდეროს. ამავე მომენტზე ამახივლებს მაყურებლის ფე-  
რადლებს ავანსცენის მეტად საინტერესო ფარდაც, დადგმაში  
არაერთგზის გამოყენებული რუსული ხატები და, რაც მთავა-  
რია, პანოებზე ეროვნული ფრესკული მანერით მოხატული  
წმინდანებასა და ქრისტეს სახეები, თუნცა ეს უკანასკლვი  
სპექტაკლში კიდევ სხვა მნიშვნელობითაც მოხაწილობს:  
ქრისტეს გამოსახულებით (რომელიც პოლონურ სცენაშიც  
ჩნდება) დამდგმულებმა აღნიშნეს ის რელიგიური კონტაქტი,  
რომელიც ორ მუსორგულ ქვეყანას — რუსეთსა და პოლონეთს  
აქავშირებდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ პოლონურ სცე-  
ნებში ვვარძმული ქრისტეს ფიგურა რენესანსის ეპოქის  
ოსტატათა ნახატს ჰგავს. როგორც ჩანს, სპექტაკლის ავტო-  
რებს ამ ხაილისტური გამომახველობითი შტრიხით და საე-  
რთოდ განსხვავებული ფერწერული მანერით, სლავური რე-  
სითისა და ევროპული პოლონეთის კულტურების შორის არსე-  
ბული სხვაობის ჩვენება ჰქონდათ განზრახული, მაგრამ მართო  
ამით როდი დაკმაყოფილდნენ: ქრისტეს გამომახველება ყო-  
ველთვის ჩნდება იმ სცენებში, რომლებიც უუალოდ დაკავ-  
შირებულა ბოროლის სახესთან, მის დრამასთან. დამთითა ის  
უსწრაფეს მსაჯული, რომლის ყოვლისმომცველი თვითთახედ-  
ვის მიმართ თყვანისცემა და შიში თვით თვალს „იროდს“  
სინდისის ქმნების ტრადევიამდ მიავყვანს.

ზოლოტაროვის მხატვრობა, ისევე როგორც რეჟისორული  
ხელწერა, ღრმად რეალისტურია. მის მიერ მოხატული პანი-  
ები შეიძლება განვიხილოთ, როგორც მაღალმხატვრული ფერ-  
ტილობები. ნიშნულად მოვიყვანო პიმენის საკნის პოეტურ-  
ასვეტურ გაფორმებას, კორჩინის სამიკიტონში ხალხური სახ-

ლევ. მოხაილოვი



ნიკოლოზ ზოლოტაროვი



კანსელ კახიძე



ერთ ხელოვნების ეროვნულ მოტივებზე აგებულ კოლორი-  
ტულ პანს, ან კიდევ მარინა მინიშვილის ბუდეარის სალონური  
კომპლენის მსგავს მოხატულობას და სხვ. აღსანიშნავია, რომ  
ფერწერული პანსებით შექმნილი კონკრეტული ადგილმდებ-  
რებია თითქოს უნისონშია ამ სიტუაციაში მოქმედი გმირის  
სულიერ სამყაროსთან. ამიტომაც, ზოლოტარიძის მხატვრობ-  
ა ესაყვარა რა უწინდა დეკორატიულ ფუნქციას, მხატვრულ სა-  
1928 წელს ლ. ისეციის შესთავაზეს საგასტროლო კონტრაქტი სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, მაგრამ უარს ამბობს და ამავე წელს თბილისში ბრუნდება. სულ მალე იგი წარმაცლებით გამოვიდა საანგარიშო სპექტაკლებით, რომელსაც ჩვენი საზოგადოებრიობა მთავომენლად ელოდა.

1928 წლის 3 აპრილს გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“ წერდა: კიდევ ერთი მომღერალი დაგვიბრუნდა. ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან ბანი ისეცი, იგი გამოვიდა მეფისტოფელის პარტიით ოპერა „ფაუსტში“.

ლ. ისეციმ დაგვანაზა იტალიური გადმოცემა, ხმის ლამაზი შეკუმშვა, რთოვ ხასიათდება იტალიური სკოლა. ხლო მომღერალს დავუარგავს ის ლითონისებური ტემბრი, რომელიც მას ჰქონდა აქედან გამგზავრებამდე“. თუმცა იქვე დასძენს რეცენზენტი, რომ „ისეციმ ძალიან კარგად ჩაატარა სცენა საყდარში და მეოთხე სურათის სერენადა“.

უდაოა რეცენზენტი ზედმეტად კრიტიკულად აფასებს მომღერლის ხმის ტემბრულ ცვლილებებს. იმ პერიოდის სხვა

ლ. ისეცი — საშო (სწენარი დონი)





რეცენზიები მომღერლის დიდ გამარჯვებას ერთხმად აღნიშნავენ.

ლ. ისეცი დაუფლებული იყო გრიმის ხელოვნებას, იგი სპექტაკლის დაწყებამდე ვინც იცის ძერამდნედ იცლიდა გრიმს. ყოველთვის საკუთარი ხელით მერწყავდა ამა თუ იმ გმირის გარეგნულ შტრიხებს... არ ყოფილა შემთხვევა ერთი და იგივე შტრიხებით წარმოედგინა სახე. ყოველთვის ძიებაში იყო, ყოველთვის რაღაც დეტალს ეძებდა და მაყურებლის წინაშე თავისებური სიახლოე წარდგებდა ხოლმე? — ასე დაახასიათა ლ. ისეცი ჩვენთან საუბარში მერი ნაკაშიძემ. „გრიმი საშუალებას მძილევს გარდავისახსო გარეგნულად იმ მოქმედ პირად, რომელსაც ვასახიერებ. ეს კი თავისთავად ხელს მიწყობს ჩავეწვედ მის ღრმა სულიერ სამყაროს“. — აჲ ესმოდა გრიმის დანიშნულება ლ. ისეცის.

1933 წელს საქართველოს საზოგადოებრიობამ აღნიშნა ლეონ ისეცის სასწაულო მოღვაწეობის 20 წელი. საღამოზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ამ ზეიმს ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო ზ. ფალიაშვილი. „დიდად ვეწუხარ, რომ ავადმყოფობის გამო, ვერ ვესწრები შენი არტიკული მოღვაწეობის 20 წლისთავის ზეიმს. ევეჯარ სიხიანი და ვერ ვებედავ სახლიდან გამოსვლას, მთელი ჩემი გულწრფელობით ვისურვებ ჯანმრთელობასა და სიძლიერეს ჩვენი ძვირფასი ხელოვნების საკეთილდღეოდ. ვისურვებდი სულ მალე ჩვენ ყველანი გაემხდაროყავით არა მარტო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდებისა, არამედ სახალხო არტისტისა და შემდგომში კი შრომის გმირის წოდების მინიჭების მოწმენი“.

კოტე მარჯანიშვილის ბარათში კი ეწერა:  
„ძვირფასო იუბილარო ლეონ!  
არსებულ მდგომარეობის გამო, ვერ გცემთ ისეთ პატივს, როგორის ღირსაც შენა ხარ. მიიღე ჩემი მგობრული, მურყავალე საღამო და მადლობა იმ შესანიშნავი მოღვაწეობის გამო, რომელიც შენ გაატარე ამ 20 წლის მანძილზე — პატივისცემით კოტე მარჯანიშვილი“ (ორივე ხელნაწერი ინახება ლ. ისეცის არქივში).

ლეონ ისეცის საიუბილეო ზეიმი მარტო ქართველი საზოგადოების ზეიმი როდი იყო. ეს იყო ქართველი და სომეხი ხალხის მეგობრობის დემონსტრაცია. 1934 წელს საქართველოს დამსახურებულ არტისტს ლ. ისეცის მიენიჭა სომხეთის დამსახურებული არტისტის წოდება.

1929-1931 წლებში ლ. ისეციმ იმოგზაურა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში. მღეროდა საარატოვის, სვერდლოვსკისა და აზვ თეატრების სცენაზე. ეწეოდა დიდ სამეფო და საზოგადოებრივ მუშაობას, არჩეული იყო ურალის ხელოვნების მუშაობა კავშირის პრეზიდიუმის წევრად, ემსახურებოდა სამხედრო ნაწილებს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ლ. ისეცის მრავალწლოვანი საზოგადოებრივი მოღვაწეობაც. მისი ინიციატივით, 1917 წელს დაარსდა თბილისის სცენის მოყვარულთა კავშირი, შემდეგ ხელოვნების მუშაობა სახლი. იგი იყო ამ ორგანიზაციების პირველი თავმჯდომარე.

ლ. ისეცი დაუცნობელი ენერჯის ადამიანი იყო. მან დააარსა საქართველოს მონადირეთა ამხანაგობის საზოგადოება. ძლიერ უყვარდა ნადირობა. ვანო სარაჯიშვილითან ერთად ხშირად დიარბებოდა სანადიროდ.

1923 წელს მადლიერმა საზოგადოებამ ვანო სარაჯიშვილს იუბილე გადაუხადა. მომღერალმა და საქ. მონადირეთა კავშირის თავმჯდომარემ ლ. ისეციმ თავისებური ნობთა მიაჩნოთა საყვარელ მეგობარს — ძვირფასი სანადირო თოფი და ნადირივე. ლ. ისეცი ვ. სარაჯიშვილს უწოდებდა „დიდი, ნათული სულის მქონე, არა ამქვეყნიურ ადამიანს, რომელშიც განსახიერებელი იყო ქართული კეთილშობილება“.

გადის წლები... ლ. ისეცი მაღალი კულტურული ხელოვანის „ფუნჯით“ ძერწყას საოპერო გმირთა ახალ-ახალ სახეებს. ზორცს ასხამს სომეხი უროვნული ოპერის — სენდიაროვის „ალმასტის“ — ერთ-ერთ მთავარ გმირს ხანი ალაფის მუსიკალურ სახეს. გასტროლებს მართავს სომხეთში და ორი ხალხის მეგობრობას განამტკიცებს.

სომხეთის პრესა მაღალ შეფასებას აძლევს ნიჭიერ მომღერალს: „...ლ. ისეცის ხმა არის იშვიათი, ძლიერი, შვერვლი, კეთილშობილური ტემპებით, საოცრად ფართო დიაპაზონით. ამ ყოველივე ის თვისებებით, რომლითაც იგი გამოიყოფა სხვა ბანებისაგან. ასეთი ღირსებებით დაჯილდოებული იყო თ. შალიაპინი, ლეონ ისეცი კი სომეხი შალიაპინია, რომელიც უნდა გვიყვარდეს და ვუფრთხილდებოდეთ“. იქნებ ასეთი შეფასება გასუადებულად ეწვეოს მკითხველს, მაგრამ ერთი რამ ნათელია: ლეონ ისეცის სახით ქართულ საოპერო ხელოვნებას ჰყავდა მაღალი ვოკალური კლასის ოსტატი.

საქართველოს სახალხო არტისტი ლეონ ისეცი დაჯილდოებული იყო შრომის წიგნული დროშის ორდენით. 1939 წელს არჩეულ იქნა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად და ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. გარდაიცვალა ლეონ ისეცი 1946 წლის 12 მაისს.

გამორჩეულმა მომღერალმა და მსახიობმა, სამაგალითო ადამიანმა და საზოგადოებრივ მოღვაწემ ლ. ისეციმ თვალსაჩინო ადგილი დაიკვიდრა ჩვენი ეროვნული საოპერო ხელოვნების ისტორიის ფურცლებზე.

ავტორი დიდ მადლობას უცხადებს ლ. ისეცის ძალიან ღირსეულ და სასიყვარულო მოღვაწეობის დროს მასალების შეგროვებასა და დახმარებისთვის.



პატარავში ცხოვრობს მხატვარი ანდრო ბახტაძე. მისი ბინის კედლები დაფარულია ფერწერული სურათებითა და ეტიკეტებით, ფანქრით ჩანახატებით, პორტრეტებით... ოთახის კუთხეში შეამჩნევთ მიყუდებულ მრავალ ნამუშევარს. მალე ეს ნამუშევრები დამთვალეობიერდება ფართო სასაყაროზე გამოვა. მხატვარი ემზადება პერსონალური გამოფენისათვის, რომელიც მომავალ ზაფხულს სოჭეში გაიმართება.

ანდრო ბახტაძის ბინა-სახელოსნის ხშირი სტუმრები არიან ხელოვნების მოყვარულნი თუ პროფესიონ-



ინესა საცერაო ქუდით



ალექსანდრა თოძიძე

## ანდრო

## ბახტაძის

## ნამუშევრები

ანდრო ბახტაძეს თეატრის მხატვრობაშიც უცდია თავისი ფუნჯი. რამდენიმე სეზონის მანძილზე კოტე მარჯანიშვილიდან მუშაობდა, აფორმებდა სპექტაკლებს რაიონულ თეატრებში.

ბევრს და ინტენსიურად მუშაობს მხატვარი. შესანიშნავია მისი პორტრეტული ნაწარმოებები, რომლებშიც

იგი აღწევს ადამიანთა ფაქიზ გარეგნულ და შინაგან დახასიათებას. ანდრო ბახტაძე ძლიერად და თავისუფლად ფლობს ნახატს, გამომხატვის ტექნიკური ზერხებს, გამოირჩევა ინდივიდუალური ხედვით და მოკლენათა აღქმის თავისებურებებით.

ნიმუში № ჩაჩავა


ნალები. განსაკუთრებით ზაფხულში, როცა საკურორტო სეზონი იწყება, მას უმჯობესად მოინახულებენ ხოლმე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მეგობრები, მისი ხელოვნების დამფასებლები.

ანდრო ბახტაძემ თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა. ახლავარდა შემოქმედის კარგ მომავალს მოწოდება მისი სადიპლომო ნაშრომი, რომელმაც მასინ მხატვრული საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. აკადემიაში ანდროს ასწავლიდნენ ცნობილი მხატვრები და პედაგოგები — ვეგენი ლანსერე, დავით კაკაბაძე, იოსებ შარლემანი.

არისტო კუმბაძე



ზაზა ამირეიძი





კირა კვიციანი



ილი ცაცხვის ძირში თავშეყრილ მუხურელ ახალგაზრდებს ბევრჯერ უნახავთ პატარა კაპიტონი მამამისის — მღვდელ მელქისედეკის ანაფორაში მორთული, სიმინდის ქუჩაში წვერდამშვენებული და მურით სახე მოხატული, სანახაობებს რომ მართავდა. ზოგჯერ ისეთ საოხურჯო დიალოგებსაც შეთხზავდა, რომ თანასოფლელებს ერთ კვირას ყოფნიდათ გასართობად. ბიჭუნამ ზეპირად იცოდა და მშვენივრად კითხულობდა ბევრ ადგილს „ვეფხისტყაოსნიდან“, ბარათაშვილის, გურამიშვილის, ვაგას, ილიასა და აკაკის ლექსებს.

მაღე აბესაძეების ოჯახი ქუთაისში გადავიდა საცხოვრებლად. აქ ვერ კიდევ ბობოქრობდა რევოლუციის ჭარიშხალი. ლადო მესხიშვილის ბარაკადები ისევ უყარა „წითელ ხიდთან“, როცა პატარა კაპიტონი მამამ სასულიერო სასწავლებელში მიიბარა სასწავლებლად. ბევრი რამ უამბო მელქისედეკმა შვილს სახელგანთქმული მსახიობის ლადო მესხიშვილის შესახებ, ქუჩაშიც დაიანახა სილამაზით განთქმული ლადო. თეატრზე მეოცნებე ჭაბუკს იმედი დაეკარგა: თუ მსახიობი ასეთი ლამაზი უნდა იყოს, მე ვინ მადიდებო შეატყობს. და როცა ლადოს „ურიელი“ ნახა თეატრში, დიდხანს არ დაუძინია, თავის თავზე „ორგება“ ხან ერთ, ხან მეორე როლს. რას იფიქრებდა დაუღვარავი ყმაწვილი, რომ იმავე თეატრის სცენაზე ოცდაათი წლის შემდეგ მოუწევდა ბავშვობაში თავისთვის „გადანახული“ როლის — ბენ-აკიბას შესრულება.

კლასიკურ გიმნაზიაში გადასვლის შემდეგ კაპიტონი სცენისმოყვარეთა წრეში ჩაება. ეს უკვე აღარ გვავა ფუჭო ცნობებს. თეატრი იყო მისთვის ერთადერთი მიზანი, მომავალი ცხოვრების სარბიელი.

გიმნაზიის სრული კურსის დასრულებისთანავე, ოცი წლის კაბა (როგორც მას ეძახდნენ და დღემდეც შერჩა ეს სახელი) ქუთაისის რკინიგზის კლუბში სცენისმოყვარედ იწვევს მუშაობას.

მომავალმა მსახიობმა თითქოს პირველივე როლიდან ჩამოყალიბდა თავისი ამბულა. კლდიაშვილის მდიდარმა შემოქმედებამ, მახვილმა იუმორმა შეაყვარა ახალგაზრდა მსახიობს იმერულ აზნაურთა საინტერესო სახეები. იმერეთში გაზრდილი კაბა ბავშვობიდანვე კარგად იცნობდა კლდიაშვილისებულ გმირებს და ამდენად, მისთვის აბლობელი სახეების განსახიერება კიდევ უფრო საინტერესო იყო. დიდი ყურადღებით და დაკვირვებით მოჰყიდა ახალბედა მსახიობი როლზე

მუშაობას. კლდიაშვილის შრომებზე სოფელ სიმონეთშიაც კი გაემგზავრა და რამდენიმე დღე დაყო იქ. იქნება ამიტომაც აბესაძემ „ირინეს ბედნიერებაში“ ფილიპეს როლის შესრულებით ყველა აღტაცებაში მოიყვანა. შეითვისა, შეისისხლხორცა და, როგორც ამბობენ, „მობიგო“ კაპიტონმა ფილიპეს ხასიათი და ბუნება. პირველ გამარჯვებას მოჰყვა ნიკოლოზ ატაკუდს კოლორიტული სახე ტ. რამიშვილის „სტუმარ-მასპინძლობაში“. საზოგადოებრიობამ სულ მალე აღიარა კ. აბესაძის ნიჭიერება. მის მიერ განსახიერებული ნიკოლოზ ფართო პოპულარობით სარგებლობდა მთავრებულში და დიდხანს არ ჩამოსულა სცენიდან.

ექვსი წელი გამოდიოდა კ. აბესაძე რკინიგზის კლუბში. 1925 წელს იგი ქუთაისის სახელმწიფო თეატრის დასში ჩარიცხეს. იმერელ აზნაურთა ხასიათების გამოკვეთის ოსტატს, სოლომან მორხედიძის როლის შესრულება მოიწოდეს. დიდი კლდიაშვილის გმირთა შორის სოლომან მორხედიძე, შეიძლება ითქვას, უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა, სრულყოფილად გამოხატავს ავტორის ჩანადვირს — გამოაბეგარავს მე-19 საუკუნის მიწურულის იმერელი აზნაურის დაქინებულ, რეალურ ცხოვრებას მოწყვეტილი, სოციალურად ძირმომპალი და მარტოოდენ გვარჰერჩენილი, წარსულზე მოტრიაბავს კაცის ცხოვრება. მახვილი დეტალებით, გულწრფელად და უაღრესად ბუნებრივად გააცოცხლა კ. აბესაძემ სოლომანი და თავის სცენურ გმირებს კიდევ ერთი საინტერესო სახე შემატა.

ერთი წლის შემდეგ კ. აბესაძე თბილისის მუშათა თეატრმა მიიწვია. მდიდარი გამოხსახველობითი საშუალებებით ახალგაზრდა მსახიობს აღტაცებაში მოჰყავდა ე. წ. „წითელი თეატრის“ რეჟისორები — გ. სულიაშვილი, მ. ჭიაურელი, დ. ანთაძე, გ. ჯაოშვილი. მალე კ. აბესაძეს თბილისის მოზრდადმავრებელთა თეატრი იწვევდა. მკვირცხელი და მხიარული გმირების განსახიერებით მსახიობმა მოზარდთა თეატრის მთელი კოლექტივთან და ფართო საზოგადოებრიობის სიყვარული დაიმსახურა.

1929 წლის გაზაფხულზე მოზარდმავრებელთა თეატრში კ. აბესაძის სახელზე კოტე მარჯანიშვილის დეკამე მოვიდა. სახელგანთქმული რეჟისორი ახალგაზრდა მსახიობს ქუთაისის თეატრში იწვევდა. კ. მარჯანიშვილთან მუშაობა ხომ ყველა ჭარბველი მსახიობის ოცნება იყო. აბესაძე დღესაც უდიდესი სიყვარულით იცნობს მარჯანიშვილთან გატარებულ, შემოქმედებითად დაძაბულსა და ნაყოფიერ წლებს.

წირდ ამ წლებში მოხდა კ. აბესაძის, როგორც მსახიობის დონატება. „თუკი რამ კარგი და მოსაწონი გამაჩნია, — ამბობს კ. აბესაძე, — მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ითხი წელის განმავლობაში კოტე შეგირდით მოწვრიდები, მაყლებდა, მაკაყებდა“.

მარჯანიშვილის თეატრი ყველა ახალგაზრდა ხელოვანი-სათვის იყო სკოლა, აკადემია, კერძობრივი შემოქმედებითი სი-ცოცხლე, ანთება და წვა, სიხარული და საკუთარი უნარის, შესაძლებლობის შეცნობა, აქტიურულ ასპარეზზე ფრთების შეხმა. კოტემ ადვილად შენიშნა ახალგაზრდა კაპიტან აბე-საძის აქტიორული მონაცემები და შემდგომში სწორი მი-ზართულება მისცა მის განვითარებას.

ქუთაისის თეატრში ნიჭიერი და ძლიერი შემოქმედებითი კოლექტივი დაუხვდა კ. აბესაძეს. მესხინვილის მიერ გამოწ-რობილი და კოტე მარჯანიშვილთან დავაგაყავებულ ანდრო ჭურჭიძესთან, შალვა ზონელიან და ვარლამ ჩხიკვაძესთან ერთად შესანიშნავი ოთხეული გაიჩინა თეატრმა კ. აბესაძის მემკვიდრით.

სასაიათო როლების განსახიერება დაებედა კ. აბესაძეს. მშობლურ ქალაქში ჩამობრუნებულმა ი. ვაკელის „აბრაკანზე კიბჭიშელში“ კიციტია ჩანჩიბაძის სახით შეახსენა თავი თა-ნამეშამულებს და გაასარა, რომ დედაქალაქში რამდენიმე წლის შემუშობას უგვალოდ არ ჩაუვლია. ეს სპექტაკლი დადავა მისი ახალგაზრდა რეჟისორმა არჩ. ჩხარტიშვილმა. კ. აბესა-ძემ კიციტია ჩანჩიბაძე შესაფერი პორტრეტული გამომსახვე-ლობით გამოძიწა, მთელი სისრულით გახსნა ოზურგეთიდან გადმოხვეწილი ყოფილი კულაკის, გაქნილი, გაიძვირა და გადაგვარებული ადამიანის სახე. კ. აბესაძის კიციტია ერთხელ კიდევ მოწმობდა მსახიობის მდიდარ აქტიორულ შესაძლებ-ლობებს.


კ. აბესაძის შემოქმედებას მუდამ ახასიათებდა უბრალო-ება, გულწრფელობა, მსახიობი უშუალოდ შეისისხლობებ-და ზოლმე გმირის ხასიათებს, იყენებდა მართალ ფერებს, სასაიათო ნიუანსებსა და შტრიხებს. ამიტომაც მისი გმირე-ბი ყოველთვის დამაჯერებელი, ცხოვრებისეული არიან. ვინ, რა ჯურის, რამდენნაირი ხასიათის, თვისებების, ზნეწვეულებ-ის ადამიანი არ წარმოუხსნავს მას სცენაზე, თავისი ხალი აქტიორული ფანტაზიით არაერთგზის განუწყვიტა მაყურე-ბელი აქტიორული ხელოვნებისდმი პატივისცემით. ასე განა-სახარა მან მოსამართლე ვ. კარაშინის პიესაში „მუწუბი ალაკაქანენა“, მაკარე — გ. კულიშის „კომუნა ველზე“, თილვა ჰამეტის პიესაში „გულადი ჯარისკაცი შვეიცია“.

მსახიობი კ. აბესაძე ციხულკას როლი შეუდარებელია. ზედ-მიწევთი შესლოდ მან ბილწი სამედიცინოების მონაგანი ბუ-ნისის გადმოცემა, — წურდა 1932 წელს ქუთაისის გაზეთი.

იგი ათეული წელია ქუთაისის თეატრის სცენიდან არ ჩა-მოხდა პ. კაკაბაძის უკვდავი „ყვარყვარე თუთაბერი“, რო-ზილზე ბრწყინვალე სახები შექმნეს: კ. აბესაძემ (ყვარყვა-რე), იმ. ხვიჩიამ (ქურასა) და ვ. გვერცემამ (კაკუტა).


სამოწმებით იგონებს კ. აბესაძე შესანიშნავ რეჟისორთან და საუკეთესო პედაგოგთან გრ. სულიაშვილთან მუშაობის პე-რიოდს: „მისი რეპერტორი — ეს იყო აღზრდისა და შემოქ-მედების სკოლა“, — ამბობს იგი.

კ. აბესაძე —  
გიორგი  
(კოლექტის  
ციხარია“)



მსახიობის შემოქმედების გვირგვინს წარმოადგენს და მის სცენურ გმირთა გალერეაში უპირველეს ადგილს იჭერს ყვარ-ყვარეს სახე პ. კაკაბაძის კომედიაში „ყვარყვარე თუთაბერი“. მსახიობმა რელიეფურად გამოკვეთა გმირის ბუნება, თითქოს სავსებით ამოსწორა ავტორის ჩანაფიქრი. მისი ყვარყვარე ოსტატურად ნამუშევარი პორტრეტია, მკაფიო საღებავებით შეზავებული. მსახიობი მსუბუქად, უშუალოდ, ზომიერად აყა-ლიბებს გმირის სახეს და ნელ-ნელა აცნობს მაყურებელს მის ხასიათს, ჩვევებს, მიდრეკილებას, ზრუნვას პირადი ინტერე-სებისათვის. მსახიობის ქუსტების სიძუნწე გონივრულად ერ-წყმის მისსავე მრავალფეროვან გამომსახველ მიმიკას. ამავე დროს მკაფიოდ, მეტყველად მოქმედებს, იგრძნობა მსახიობის ინდივიდუალური სტილი. გმირის ხასიათთან კარგად აქვს შე-ხამებული დიქცია, აზრს ფუჭად როდი აფრქვეს. მსახიობი ცდილობს სრულყოფილად გახსნას ყვარყვარეს სულიერი სამე-ყარო და ამას მეტად ფრთხილად, კონკრეტული საშუალებე-ბით ახერხებს. არასდ. თვით უკიდურესი გაჭირვების დრო-საც კი არ კარგავს კ. აბესაძისეული ყვარყვარე ნაცარქექია-სებურ იმედსა და რწმენას. ზოგჯერ მეტად გამჭრიახა ზოგ-ჯერ გულმზილი და მკაცრიც, მისთვის სულიერია გმირად გამოაცხადებენ თუ ნაცარქექიად, ოღონდაც უდრტინეული იყოს მისი ცხოვრება. მსახიობი თავიდანვე მისწრაფვის წინ წამოსწიოს მის ცალკეული შტრიხები, რომელსაც თვლის უცი-ლობლად და ნიშნულწოდებულ როლის ჩამოყალიბებისა და სა-ხის ახლებურად წარმოსახვისათვის.

აბესაძის შემოქმედებაში განსაკუთრებით გამოიყოფა რამ-



კ. აბესაძე —  
წიგნის  
შეკრეპლული  
(დაწვევებული  
საქმრო)



კიტა — მ. ჯაფარიძის „ქამბაბერის ასულზე“ მისევე შექმნილია — პატარაიას „სანაპიროზე“, ილარიონისა და სხვ.

კ. ს. სტანისლავეკი შენიშნავდა: „ამოღებს თუ არა დამატურე ყველაფერს, რაც ესაჭიროება მსახიობს? შეიძლება თუ არა რამდენიმე გვერდზე გადაშლის დრამატურგმა ყველა მოქმედი პირის ცხოვრება? თუ ბევრი რამ დარჩება უთქმელი? ... არა, ყველაფერი ეს თვით მსახიობმა უნდა შეაფასოს, გააღრმავოს“. აი, სწორედ ამ უთქმელს ავსებს და აღრმავებს სწორად კ. აბესაძე. საილუსტრაციოდ გამოდგებოდა დიდა სითბოთი გამოძრწოვნილი ბესო — სუმბათაშვილის „ლალატში“ და გიორგი — კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარში“. ორი მოხუცი, განსხვავებული აზრების, მისწრაფებების, სურვილების, სხვადასხვა ჩვევების ადამიანებია. კ. აბესაძე ცოცხალ, დასამახსოვრებელ გმირად აქცევს ბესოს, მახვილშტრიხებით ძერწავს მას, სიმაართლით აყალიბებს მოხუცი მამულიშვილის პორტრეტს.

ფრთხილი და ზომიერი ხალხეუბანი გამოქვნიდა კ. აბესაძემ გიორგის სახის გამოსაკეთად სპექტაკლი „კოლხეთის ცისკარი“, რომლის დადგმა განაზოცილა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა აკაკი ვასაძემ. ღირიბი გლეხი გიორგი მერყეობს, ვერ გადაუწყვეტია ახლადნამოყალიბებულ კოლექტივში შეგვლა. კ. აბესაძის ხმა, შეწუებული სახე, დინჯი და მოზომილი მოძრაობა, ფიჭვი იმაზე, რომ გადადგას თუ არა ეს ნაბიჯი, თუცა თუ არა მომდევნო სიტყვა, გამომავლენის თუ არა საკუთარი ჩანაფიჭვი, გიორგის ხასიათიდანაა გამოძინარე.

რეჟისორმა დლორ ანთაძემ 1949 წელს აღადგინა მარჯანიშვილისეული დადგმა „ურიულ აკოსტა“, რომელშიაც ბენ-აკიბას როლი კ. აბესაძეს დაეკისრა. ქუთაისელ მაყურებელს კარგად ახსოვდა რესპუბლიკის სახალხო არტისტის ა. გორქოლიანის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული ბენ-აკიბა. ეს ერთგვარად „სამიშვიც“ იყო მსახიობისათვის. საჭირო იყო ახალი ნიუანსი, ახალი შტრიხი. ანსამდლონი შეთანხმებულობით, როლის ახლებურად გახსნილი კ. აბესაძის ბენ-აკიბა საუცხოო აღმოჩნდა და დღემდე დამახსოვრდა მაყურებელს.

კ. აბესაძეს გარკვეული დღეწლი მიუძღვის ქართულ კინოში. კინომაყურებელს კარგად ახსოვს მის მიერ ოსტატურად განხორციელებული იმერული აზნაური ფილმი „დაკარგული სამოთხე“, ფოსტალიონის კოლორიტული სახე „სამუდარულ ტაბუში“, ზესარიონ საქარაძე კინოფილმი „კარდაკარ“.

კაპიტონ აბესაძე შესანიშნავი მოქალაქე და ჩუმი, მაგრამ თავისთვის მიმართ მომთხონი შემოქმედი. 1946 წელს მას მიენიჭა საკართველოს სსრ დამახსოვრებელი არტისტის საპატიო წოდება. მიღებული აქვს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელიც, ნედლები და მადლობები. ქუთაისელმა მსაჯურებელმა მსახიობი ბევრჯერ აირჩია დეპუტატად დამით ნიდაბ და პატივისცემა გამოხატა ქართული სცენის დაუცხრომელი მუშაკის მიმართ.

დენიზე როლი. ეს არის მანუჩარი პ. კაკაბაძის პიესაში „კოლმურწის კორწინება“. ცხოველი კომიზმი, ურატობა და უშუალობა, აი, რა იგრძობა მანუჩარში და რატომ დამახსოვრდა ეს როლი მაყურებელს. მსახიობის ხანგრძლივმა შრომამ, გამოცდილებამ და საქმის სიყვარულმა მოუტანა კ. აბესაძეს ესოდენ დიდი წარმატება.

ახალი ცხოვრების სიომ ჩაფურცლა და ნაცრად აქცია თავადნაურთა სამყარო. სიამაყე, გვარი, დარდიმანდობა და კვიმატი ენდა შერჩა მანუჩარს; მსახიობმა წინ წამოსწია და ხაზი გაუსვა მანუჩარის თავმოყვარეობას, თუმცა ამჯერად უკვე ნიადაგ გამოცილილს, ჰაერში დაკიდებულს. ყოველივე ეს საუცხოოდ გამოიხატა მანუჩარისა და ხაზულის ცნობილ დიალოგში, რომელსაც კ. აბესაძე ხაზულის ერთ-ერთ შესანიშნავ შემსრულებელთან ვარლამ ჩხიკვაძესთან ერთად დიდი ოსტატობით ატარებდა. სიამაყესთან ერთად კ. აბესაძის მანუჩარს ეშმაკობაც ახლავს. მან იცის სად და ვისთან რა თქვას, რა სჭირდება, რა მოუხდება მის მდგომარეობას, როგორ გამოიყენოს დრო და ადამიანები. კ. აბესაძის მანუჩარს დღემდე არ დაუკარგავს კოლორიტული ელფერი და დამაჯერებლობა.

დამახსოვრებულია კ. აბესაძე ეპიზოდურ როლებშიც: ბენ-აკიბა — გუცოკოვის პიესაში „ურიულ აკოსტა“, სიცოცხლით საცხე ბესო — სუმბათაშვილის ლეგენდა-დრამაში „ლალატი“, მეტელა — შ. დადიანის პიესაში „ნაპერწყლიდან“, დარაჯი — „კაკალ გულში“, კირილე — გ. ჭილაჭიანის „ხმა გულისაში“, ლიაკინ-ტიაკინი — გოგოლის „რევიზორში“, კირ-



შემდგომში ირკვევა, რომ იგი მწერალი-რეჟისორია და თავის ნაწარმოებისათვის გმირებს დაეძებს...

— ვიწყებთ შორეულ რეპეტიციას! — რეპროდუქტორიდან გაისმის რეჟისორის ხმა, — ყველანი ადგილებზე!

ავანსცენაზე ვხედავთ „შემოქმედის“ მიერ ხალხიდან შერჩეულ პერსონაჟებს, რომელთაც რეჟისორი ასე მიმართავს:

— თქვენ ჩემი ნაწარმოების გმირები ხართ და უნდა მოიქცეთ არა ისე, როგორც თქვენ გსურთ, არამედ ისე, როგორც მე მინდა, ამ სპექტაკლის ავტორსა და რეჟისორს!

და, აი, აქედან იწყება მთელი შეხლა-შემოსლა მოქმედ პირებსა და განგზავმულადულ რეჟისორს შორის, რომელიც ცდილობს სპექტაკლი ძველი თაყვანებისათვის დამახასიათებელ გაცვეთილ სიუჟეტზე ააგოს და აიძულოს ცოცხალი პერსონაჟები უარყოფითი და დადებითი გმირების ტრაფარეტულ ჩარჩოებში მოექცნენ.

პირველი შეხვედრით თითქოს გაუგებარი და არაბუნებრივია, თუ რამ აიძულა ცოცხალი ადამიანები თავისი ნებით ჩავარდნილიყვნენ ყალბი „შემოქმედის“ ტყვეობაში, მაგრამ სპექტაკლის მსვლელობაში თანდათან ვგრძნობთ, რომ პაროდის ავტორი — დრამატურგი ლევან ჭუბაბია სწორედ ამ პირობითი ხერხით აღწევს თავისი აზრის სცენურად ამტკველებას და ნაწარმოების იდეის შესატყვის თეატრალურ ფორმას პოულობს. ცხოვრებისეული სინამდვილისა და სიყალბის შეკახება სწორედ ამ საკვანძო მომენტებში ხდება და სპექტაკლში ყველაზე უფრო ეს მომენტები აღვლევს მაყურებელს; ნაწარმოების ძირითადი სატირული იარაღი ამ მომენტებისკენაა მიმართული, რის გამოც მაყურებელი ივიწყებს პირობითობას, ავტორთან ერთად განიცდის მოქმედ პირთა ბედს და ინთება პრაქტიკის გრძნობით ცხოვრებაზე შაბლონური წარმოდგენის წინააღმდეგ.

მთელი მოქმედების მანძილზე სწარმოებს ბრძოლა ნამდვილსა და ყალბ სიუჟეტებს შორის. სპექტაკლში მოქმედი რეჟისორ-ავტორის პოზიცია ყალბია და მოკლებული ცხოვრებისეულ სიმართლეს. მას სწამს, რომ მუსიკალური კომედია უნდა იყოს მუსიკალური ნიშნებით შეფერილი ვოდვეილურ გაუგებრობათა ხლართი. იდეური საყრდენი დადებით გმირთა მალაფარდოვანი და რეზონანსული ქადაგებით უნდა შემოიფარგლოს. უარყოფითი ტიპის ახალგაზრდებს აუცილებლად ახალ მოღაუბრე უნდა ვცვათ და ჯაზური მუსიკა იტაკებდეთ. დადებითი ტიპის ყმაწვილები ქუჩაშიაც წიგნებით უნდა დადიოდნენ თავაწეულნი და „იდეურ სიტყვებს“ ლაპარაკობდნენ, ხილო ქალ-ვაგის სიყვარული მხოლოდ: „იდეოლოგიურ“ ნიადაგზე უნდა იყოს აღმოცენებული და სხვა...

ცხოვრების სწორედ ასეთ ყალბ გაგებას დასცინის მუსიკალური პაროდია „მიყვარს ჩემი ქუჩა“, რომლის ავტორებმა — კომპოზიტორმა ვიოლრა ცაბაძემ და დრამატურგმა ლევან ჭუბაბიამ ამ სრულიად ახალი, ორიგინალური და მეტად თანამედროვე ნაწარმოებით სერიოზული განაცხადი გააკეთეს იმაზე, რომ მუსიკალური კომედიის თეატრის ამჟამად გაცილებით მეტი მოუთხოვება, ვიდრე ოდესმე, და რომ დღეს თეატრალური შემოქმედების ეს განრი მალალი ზელოვნებისკენ მიიღტვის.

# „მიყვარს

# ჩემი ქუჩა“


მუსიკალური კომედიის თეატრის ახალი სპექტაკლი

ეთურ მითაიშვილი

სინათლე ჩატარა. ნაირფერად განათდა ოქროს წვიმასათვის ჩამოღერილი თოვებიანი ფარდა, რომლის წინ მდგარი პროექტორების შუქი მაყურებელთა თვების დაივლიდა. ორკესტრმა მუსიკის რამდენიმე ტაქტი ააღწერა და უეცრად, ყოველი მხრიდან — სცენიდან, დარბაზიდან, სცენაზე ასასვლელი კიბეებიდან გაისმა მელოდური და გულში ჩამწვდომი სიმღერა: „მიყვარს ჩემი ქუჩა“. ახალგაზრდები მშობლიური ქალაქის სილამაზეს უმღერიან. მათ შორის დადის პროვინციული ხელოვანის მსგავსად თმაპოჩრდი კაცი, ხელში ფოტოაპარატი აქვს მომარჯვებული და რუკა-ჯუჯუადა მდგარ ახალგაზრდებს აკვირდება.



# ქართული ხალხური თავისუფლება



საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორიაში უკრავდა სიმღერის მოქმედი გერბოიანებული კოლექტივი თინჯინ ჩხეიძის ხელმძღვანელობით, ორკესტრის ხელმძღვანელი — ვასილი კახაკივი

13350 რესპუბლიკა აქამდამდეც არცაა დაიდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ამ წლისათვისათვის. სახალხო მუშაობის ვედა დაჩვიეს. კულტურის ავღია სფეროს მუშაკებს თავის წვლელ შედეგად საიფხულეო უარყოფის დარსტელად შეხედრის საშაღისში. ცნობა კონფერენციები, გამოცემები, კონკრეტული ფესტივალები, დავალიერებები, რომელთა მიზანია გამოაღილის საუფფესიო ზირის საუფფესიო, ავღლისნიო ვახდის სახეობა საქაროველის მიღწევებს ამ წლის მანძილზე.

ამის წინათ თბილისს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრში გაიმართა საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფესიონალის მხატვრული თვითმოქმედების პირველი რესპუბლიკური დავალიერება მიმდინარე დაიდა ოქტომბრის საიფხილეო თარიღისადმი.

დავალიერებაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, სოხუმის, ქუთაისის, რუზაიას, ზესტაფონის, წყალტუბოს სახედიციო დარსტელულებათა და სახედიციო სასწავლებლის თვითმოქმედმა კოლექტივებმა. დავალიერებამ ბევრი მხატვრული კოლექტივი — მომღერალთა გუნდი, საესტრადო ორკესტრი, აღმოსავლური საქარათა ჯგუფი, ქორეოგრაფიული ანსამბლი და უმარავი ინდივიდუალური მუშარულებელი გაიცინეს საზოგადოებრიობას.

დავალიერებამ ნათელი ვახადა, რომ მედიცინის, ამ აველაზე მუშაობის და სასახეობისგებელი დარსტელ მუშაკები თვითნაბირათადი საქმიანობის გვერდით ენაშუასშით და სიყვარულით ეყოფებთან მხატვრულ თვითმოქმედებს.

მსმენელთა წინაშე პირველი წარსდა თბილისის რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მომღერალთა გუნდი ექიმ ვახაან კერცხლიძის ხელმძღვანელობით. გუნდმა პროფესიულ დონეზე შეასრულა ქართული ხალხური და კომპოზიტორების, მირიანაშვილისა და გ. ცაიძის სიმღერები.

დიდი მოწონება დაიმსახურა სახედიციო ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრმა ოთარ კიკნაძის ხელმძღვანელობით. განსაკუთრებული



ცეცხა ოქროული, მარ. ლიპა მოქმედივიძე და მხევილ კაკიძე

თბილისის ბავშვთა ინფექციური საავადმყოფო. «ცელა», ცხელა-მუს. შ. დავითაშვილისა. იზრეატის ასრულუმს ექობანი ცალა ლევევი



ელი ურადღება ზედა აღისა ბოლღა-სუღს, რომელმაც შესრული ზღაპარი „ბო-რის რაიკოვი“. ქარგი შთაბეჭდილება მოახ-ღისა მყურებულზე და დოჟაღობრების ეო-ურზე მედიცინის შუშაჟია პროფესორის ა. ჰაჟეჟაძის სახელობის კულტურის სახ-ლის ქორეოგრაფიულმა კოლექტივმა სა-საქოჟელისა და ჩრდილო ოსეთის ზელეჟ-ების დამსახურებული მოღვაწის რიგში აქონილიის ზელმძღვანელობით.

წამატებით ზაიარა ზეტაფონის მედი-ცინის შუშაჟია პროფესორის მომღერალ ჯალა გენდის გამოსვლამ ზაალ ლილის ზელმძღვანელობით.

განსაკუთრებული შორწონება ზედა თბი-ლისის ზავშუთა ინჟექტორი საჟადგუჟოვის ინსტრუმენტული გჟუფის სოლისტის ცალა ლეჟას შირი შესრულებულ სიმღერას „კომპოზიტორ შირი დეჟოთაშვილის „ცხე-ლა, ცხელა“.

შეჟოლორეჟიანი პროგრამით წარსდგა დოჟაღობრებზე ქუთაისის კომუნისტური შობის კლასიკური რესპუბლიკური სა-ჟადგუჟოვის საესტრადო ორკესტრი კ. ფა-რულეს ზელმძღვანელობით. წარმტეგება ზედა ორკესტრის სოლისტებს ო. ელენტს, ს. ქირიქსს, შ. შაგომედოჟას, ნ. დოღობერი-ტს და სხვ.

სოხუმის მედიცინის შუშაჟია პროფესო-რის გაეროიანებული მხატვრული თჟიო-სიქელების კოლექტივის (მხატვრული ზელმძღვანელი თ. ჩხეიძე) გამოსვლას სა-ჟირო შორწონება ზედა. განსაკუთრებით ეს ოჟმის ჯალთა სასულე ორკესტრზე (ზელ-მძღვანელი ვ. კახაოვი), რომელმაც შეს-რულა ლეჟინის სიმღერა „სალამი მოსკოვს“.

კინეკრტში მონაწილეობდა და შჟეურე-ჟელთა შორწონება დომსახურა აგუჟოჟე-ჟი რესოჟიანის ჩანწრთელის განუოჟიღების ჰიღერალთა გენდმა ქ. სახჟაძის ზელმძღვ-ანელობით, წუღებოის კომუნისტური შრო-ის სანატორიუმ „შახტიორას“ ქორეოგრა-ფიულმა კოლექტივმა ო. ჩიქვილიის ზელ-მძღვანელობით, თბილისის მე-17 პოლიტე-ხნიკის აღმსაჟღერ საჟრათა გჟუფში, IV სემესტრო სასწაჟებლის მომღერალთა ენდმა და სხვ.

სასაქოჟელის მედიცინის შუშაჟია პროფ-ესორის მხატვრული თჟიოთმოქმედების საჟილი რესპუბლიკური დოჟაღობრება სასა მონაწილე კოლექტივის შჟმდგომი წამატებების საწინდარია.



ზეტაფონის მომღერალ ჯალთა გენდი ზაალ ლილის ზელმძღვანელობით.

ჯალთა ლირიკული ცეკვა თბილისის ილია ჰაჟეჟეჟაძის სახელობის კულტურის სახლი



თბილისის საჟადგუ-ჟორო ინსტიტუტის ზღაპარი — „ბორის რაიკოვი“ ასრულებს ალისა ბოლღაშვილი





სასცენო ხელოვნების რომელ განრმაც არ უნდა გამოვ-  
ლინდეს ნაწარმოების შინაარსის შესაბამისი ფორმის სიახ-  
ლეს ყოველთვის იწვევს მკურნალობის ინტეგრალს და სექ-  
ტაკლიკისათვის კეთილგანწყობას. თუ სპექტაკლის დასრული  
პრობლემა ახალია და პრინციპული, თუ ახალია სახეები და  
მათი ურთიერთდამოკიდებულება, თუ ფორმა და თეატრალუ-  
რი ხერხები თვითმიზნური არ არის (რაც სამშვენივრად ხში-  
რად გვხვდება ხოლმე ზოგიერთ ე. წ. თანამედროვე სექ-  
ტაკლიკაში), მაშინ უფლებამ გვეძლევა ვთქვათ, რომ წარმოდ-  
გენა ტექნარტიკად ახალია და თანადროული. რა უკუთო, რომ  
სარეცენზო ნაწარმოებში ყველაფერი არა დგას სათანადო სი-  
მაღლეზე, ზოგიერთ ადგილს აცალი დახვეწა და რელიეფუ-  
რობა, ზოგი რამ ზედმეტია და გაუგებარი! მთავარია ის, რომ  
სპექტაკლი ემოციურ ზემოქმედებას ახდენს მკურნალებლზე.

დრამატურგ ლევან ჭუმბარიას უთოოდ დიდი დავალი მი-  
უძღვის თანამედროვე, ქართული მუსიკალური კომედიების  
შექმნაში. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ლე-  
ვან ჭუმბარია ერთ-ერთი პირველია, რომელმაც ეს პოპულა-  
რული განრი არზობრივი საყრდენით გააანგრა და იგი ნამ-  
დვილი მხატვრული შემოქმედების დონემდე აიყვანა. დრამა-  
ტურგს სწამს, რომ სხვა თეატრების მსგავსად, მუსიკალური  
კომედიის თეატრის სცენაზე უნდა გახდეს ტრიბუნა ახალი აზ-  
რების, ახალი იდეების, ახალი მხატვრული ფორმების გადმო-  
საცემად. დრამატურგი დაუსრულებლად ეძებს ახალ სცენი-  
ურ ხერხებსა და ფორმებს მოქალაქობრივი მრწამსიდან გა-  
მომდინარე იდეების ასამეცველობლად. მისი არცერთი პიე-  
სა ერთმანეთს არა ჰკავებს და სწორედ ამანია დრამატურგის  
დამსახურება. ლევან ჭუმბარიას შემოქმედება ყოველთვის  
მდიდარ მასალას აღლევს კომპოზიტორის კარგი მუსიკალური  
ნაწარმოების შესაქმნელად; და მართლაც, თუ გადავხედვთ  
თეატრის წარსულს, ამ მიმდინარე რეპერტუარს, სწორედ იმ  
კომპოზიტორებს ხვდათ გამარჯვება წილად, რომელთაც  
ჭუმბარისათან თანაავტორობით უშუალოდ. ამიტომ არა-  
სწორად მიგვაჩინია ის აზრი, რომ კარგ მუსიკას ან კიდევ  
ბრწყინვალე რეჟისორულ დადგმას შეუძლია „გაათრის“  
სუსტი ლიტერატურული მასალა. დრამატურგის როლი თა-  
ნამედროვე მუსიკალურ კომედიამი იგვიყა, რაც კომპოზიტო-  
რის და ამიტომ ორივე ერთნაირი საავტორო უფლებით სარ-  
გებლობს.

ახლაც ასე მოხდა. ნიჭიერმა კომპოზიტორმა, ხელოვნების  
დამსახურებულმა მოღვაწემ გიორგი ცაბაძემ კარგ ლიტერა-  
ტურულ მასალას მუსიკალურად ადგენილი ფორმა გამო-  
ყვედა; მან შეიკრიმთ ნაწარმოების შინაარსი დინება, გან-  
წყობილება, აზრი და მუსიკის ენაზე აამეტყველა. ამიტომ  
არის, რომ ასე ორგანულად არის შერწყმული პიესა და მუ-  
სიკა, რაც კომპოზიტორის დიდი დამსახურებაა. გიორგი ცა-  
ბაძის ნათელი მულოდებო ყოველთვის ხიბლავდა მსმენელს.  
ამ მუსიკალური ნაწარმოების შექმნით კი მან დამატყდა, რომ  
მისი შემოქმედება უფრო ფართო დაბაზონის გახდა, გამდიდ-  
რდა ტექნიკური აქუსუარებით, თანამედროვე პარმონით, იმ  
მუსიკალური ხერხებით, რომელთა ოსტატური გამოყენება  
ქმნის მუსიკალური დრამატურგის სასურველ ქსოვილს.

გამჭვირვალე ფერებით, შესატყვისი რიტმითა და კოლო-

რიტით არის აღსავსე „სიმღერა საყვარელ ქუჩაზე“. ქალი-  
შვილების ანსამბლი, თამილასა და ჯანსი <sup>ქალი-შვილების</sup>  
ართოზ, დღის „ნანა“, პარიმხებების სიმღერა და სხვა.  
მელოდური ხასიათის ვოკალურ ნიმუშებთან ერთად კომპო-  
ზიტორი იყენებს მუსიკალური გროტესკის რთულ ხერხებს,  
რაც ყველაზე უფრო რელიეფურად მოსჩანს პირველი აქტის  
საფინალო სცენაში (რეჟისორ-ავტორისა და მისი ასისტან-  
ტის დღეები) და მეორე აქტის დასაწყისში, როცა რეჟისორი  
იძულებით ტრაგედიას უქმნის თამილას და ქოროს ფონზე  
ყალიბს დრამატუიზმით აღსავსე არიას ამღერებს. ასევე პარო-  
დიულად ეღვრს პირველი სურათის ფინალი.

ორკესტრის პარტიკული ფერადობენია და ვოკალურ ნიმ-  
რებთან შეხმაცკბილებული. ორკესტრის სუფთა ელენადობა-  
მი უთოოდ დიდი როლი თამაშს ხელოვნების დამსახურე-  
ბული მოღვაწის, თეატრის მთავარი დირიჟორის თეიმურაზ  
კობახიძის ოსტატობამ და დაუღალავმა შრომამ. და თუ  
სპექტაკლის ფორმა სახეებით შესატყვისი გახდა ნაწარმოე-  
ბის შინაარსისა, ეს პირველ რიგში სპექტაკლის დამდგმელის,  
თეატრის მთავარი რეჟისორის, ხელოვნების დამსახურებულ  
მოღვაწის შოთა მესხისა და მხატვარ შოთა ყავლაშვილის  
დამსახურებაა. სპექტაკლი გადაწყვეტილია მუსიკალური რე-  
ვიუს სპით. რეჟისორი და მხატვარი საწახაობით ელემენ-  
ტების ოსტატური გამოყენებით აძლიერებენ ემოციურ ზემოქ-  
მედებას მკურნალებლზე. მოჩვენებითი „ტრაგედიიდან“ ან გაყ-  
ვეთილი ოპერეტული ფორმიდან უკვარი გადასვლა რევეს  
ფორმაში აძლიერებს პაროდულ მომენტებს და ნაწარმოების  
აზრს. სასცენო განათების მოხერხებული გამოყენება, სადა  
და თანამედროვე კომპოზიციები როგორც მსახიობთა, ისე დე-  
კორაციული ელემენტების განლაგებაში, კარგ შთაბეჭდილებას  
სტოვებს. უცმყოფილებას იწვევს სპექტაკლის სუსტი ქორე-  
ოგრაფიული ნაშეფერი. დროა, თეატრმა გაამახვილოს ფე-  
რადლება მუსიკალური კომედიის ამ ერთ-ერთი მნიშვნელოვ-  
ანი კომპონენტის მიმართ.

აქ არ შევედგებით მსახიობთა თამაშისა და ვოკალური  
მონაცემების დეტალურ განხილვას, ვინაიდან ეს არის ჭუმბა-  
რიკლად ანსამბლური სპექტაკლი, სადა ყოველი პერსონაჟის  
მხატვრული სახე, როგორც აქტიორულად, ისე მუსიკალურად  
შთამბეჭდავად არის გამოკვეთილი და დამუშავებული. დამ-  
სახურებელი არტისტიები: თ. მერკვილაძე, ვ. გურამილი, ი.  
ქუთალიაძე, თ. ბახტაძე, თ. ხელაშვილი, შ. კახიანი, რეს-  
პუბლიკის სახალხო არტისტები: ე. ჩოხელი და ვ. სალარიძე.  
მსახიობები: ნ. პიპინაშვილი, ი. ვასაძე, ა. ნებიერიძე, ა. დამ-  
ნიანი, ნ. პეტრიაშვილი, თ. სურგულაძე, დ. მაჭავარიანი, უ.  
სუხიშვილი და სხვები ქმნიან დასამახორებელ სახეებს და  
სპექტაკლის წარმტებაში გარკვეული წვლილი შეაკეთ. გან-  
საკუთრებით გვიდად მივიხსენიოთ ამ თეატრის ახლავარდ-  
ის მსახიობები: ბ. მეგალიშვილი და ლ. ჩიხალაშვილი, რომელ-  
თაც მხატვრული უშუალობითა და სცენური მომზიბელო-  
ბით მკურნალობის საფთო მოწონება დამსახურებს. და თუ მუ-  
სიკალური პაროდია: „მეყავარს ჩემი ქუჩა“ საბაბს იძლევა  
პოლემიკისათვის, ეს იმ შემოქმედებით გაბედულებით უნდა  
აიხსნას, რომლის გარტეშე წარმოუდგენელია ახალი მხატვრუ-  
ლი ნაწარმოების შექმნა.



ძალიან ადრე, შესაძლებელია ერთდროულად, ან კიდევ მის ერთდროულად პოემის ხელნაწერთა გამოჩენასთან ერთად, გაჩნდა მისი ილუსტრაციებიც, მაგრამ ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ XVI საუკუნის ხელნაწერთა ილუსტრაციებმა.

განსხვავებით „ვეფხისტყაოსნის“ წინამორბედი ილუსტრატორებიდან, რომელთა შემოქმედებაში სპარსული სტილის გავლენა იგრძნობა, XVII საუკუნის ოსტატი მამუკა თავაქასრავილი თავის ნამუშევრებში პირველი ისრაფელის ასახვის პართული ზნე-ჩვეულებანი, გახსნას გმირთა ეროვნული ხასიათები და თავისებურებანი.

XIX საუკუნეში, როცა აღმავლობის გზას დაადგა როგორც რუსული, ისე ქართული გრაფიკა, მრავლდება „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულად გამოხორმბეულთა რიცხვიც. აღსანიშნავია გრიგოლ ტატიშვილის ნამუშევრები. მხატვარმა ფართოდ გამოიყენა ძველი ქართული მონუმენტური ძეგლების ორნამენტები. მის განსაკუთრებულ დამსახურებას შეადგენს რუსთაველის იმ პორტრეტის პოპულარიზაცია, რომელიც პოემის ერთ-ერთ უძველეს ხელნაწერს შემოიჩინა. ცნობილია აგრეთვე თუ როგორი ფართო აღიარება ხვდა „ვეფხისტყაოსნის“ ზინისეულ ილუსტრაციებს.

საბჭოთა პერიოდში არნახულად იზრდება ინტერესი რუსთაველისა და მისი პოემისადმი, რომლის შესწავლა ღრმა მეცნიერულ ხასიათს იძენს. ეს ინტერესი განსაკუთრებით გამოვლინდა „ვეფხისტყაოსნის“ დაწერისა და 750 წლისთავის ზეიმთან დაკავშირებით 1937 წელს. ამ დიდ იუბილეს მიეძღვნა პოემის მრავალი გამოცემა ქართულ და რუსულ ენებზე. გამოცემათა ილუსტრაციების ავტორები არიან ცნობილი ქართველი მხატვრები; ლადო გუდიაშვილი, სერგო ჭოხულაძე, თამარ აბაკელია, ირაკლი თოიძე.

ლადო გუდიაშვილი რუსთაველის პოემის პირველი საბჭოთა ილუსტრატორია. მისი ნაწარმოებები ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ მათში რუსთაველი პირველადაა დანახული საბჭოთა შემოქმედის თვალთ.

გუდიაშვილი არა მარტო დამსურათებელია რუსთაველის პოემისა, თვით რუსთაველი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემა მხატვრის შემოქმედებაში. ხელოვანი მეცნიერ-ისტორიკოსის სიბევითი სწავლობს პოეტის ეპოქას, მატანებს, არქიტექტურას, ლიტერატურას... გუდიაშვილი ერთს მხრივ ქმნის თვით რუსთაველის სახეს მიღო რიც ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებში, მეორეს მხრივ ღრმად წვდება „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ სიმდიდრეს და პოემის სხვადასხვა გამოცემისათვის ასრულებს ილუსტრაციების რამდენიმე ციკლს. პოემის დასურათებაზე მუშაობის დროს მხატვარი ახლს ეცნობა პერსონაჟებს, მათ სულისკვეთებას და სწორედ ამის შედეგად ყალიბდება მის წარმოსახვაში თვით რუსთაველის სახე.

პირველი ილუსტრაციები „ვეფხისტყაოსნისათვის“ ლ. გუდიაშვილმა 1934 წლის ქართული გამოცემისათვის შეასრულა. მან დასურათების ძალზე თავისებური და ორიგინალური გზა აირჩია. პერსონაჟთა დახასიათებისა და თვით მწერის მხრივ იგი სრულიად ასაღ სიტყვას წარმოადგენდა. მიზანი ზინის ტრადიციულ, აკადემიურ ილუსტრაციებთან შედარებით გუდიაშვილისეული ნამუშევრები თვალისათვის უჩვეული

# ლალო გუდიაშვილის

## „რუსთაველიანა“

ლიდია ზლატკევიჩი

(ლენინგრადი)

რუსთაველის გენიალური პოემის ღრმა ფილოსოფიური აზრი, ენის ნათელი საზოგანოება, ლექსის დახვეწილი ფორმა, ამაღლებული ადამიანური ხასიათები, მიმზიდველი სიუჟეტი არ შეიძლება ღრმა ინტერესის საგნად არ ქვეყნო მხატვრებისათვის, არ აღეძრა მათთვის სურვილი ხაზგება და ფერებში განისხეულებიათ ქართული და მთლიანი პოეზიის ამ მარგალიტის განუმეორებელი სურნელება.



ლადო გუდიაშვილი  
პოეტის შთავოენება



პერსონაჟებისა, მოცემულია ლაკონური ექსპრესიული ხას-  
ბით, მაგრამ ნაწევნებისა გმირის შინაგანი მდგომარეობის  
თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ნესტან-დარ-  
ჯანსუ დაფიქრებული ტარიელის გამოსახულება.

განსხვავებით სხვა ილუსტრატორებისგან, რომლებიც ტა-  
რიელის სახის შექმნისას ხას უსვამდნენ მის გარეგნულ თე-  
სებებს — ძალას, ატლექტრობას, გუდიაშვილს აქცენტები გა-  
რის ფსიქოლოგიურ სამყაროზე გადააქვს. ე. ი. მისდევს თვის  
რუსთაველის მიერ დახატული გმირის პლასტიკური ხორცმე-  
ხმის გასას; უკრძალვებს ამბვილებს მის ემოციურ განცდას;  
გადმოცემაზე, ამავე დროს წარმოგვისხავს მას, როგორც ძა-  
ლისა და სამართლიანობის განსახიერებას. ძალზე ექპრესი-  
ულია ხატკლებთან ბრძოლის სცენა, რომელშიც ტარიელის  
გარეგნულ და სულიერ სიღამაშესთან შეპირისპირებულია  
ხატკელთა სიგონჯე, შემწარაობა.

მომხიბვლელობითაა აღსაყვე ილუსტრაცია — ტარიელ  
მეფე ფარსადანს მიპყრის შემოვიღო რამაშს. ტარიელს  
თავგაყვებულებული სიმშვიდე, დატყვევებული რამაშის მორჩი-  
ლი იერი განსაკუთრებული ოსტატობითაა გადმოცემული რამ-  
დენიმე ხაზით.

ღრმად ექსპრესიულია ტარიელის ვეფხვთან შეხების სცე-  
ნა. მასში თითქოს ჩაქოვილია ის ქუმანური საწყისი, რომე-  
ლიც წითელ ზოლად გასდევს რუსთაველის მთელ პოემას:  
ადამიანის სულის სიღაძე, მისი უძლეველობა მოწინააღმდე-  
გე ძალებთან ბრძოლაში.

თუ ტარიელის სახეში რუსთაველმა ემოციური საწყისი  
განასახიერა, ავთანდილში ინტელექტური, ნებისყოფის და  
ქმედითი საწყისები ქარბობს. ეს ნიშნებია ხაზსაყვამული გუ-  
დაიშვილისეულ ავთანდილის სახეშიც, კერძოდ ტარიელთან  
მისი პირველი შეხვედრის სცენაში. ავთანდილის სხეულის  
ხაზები აქ არაჩვეულებრივად ენერგიულია, მასში იგრძნობა  
დიდი ფართობი ძალა. ტარიელის პოზა კი შინაგან დაღლი-  
ლობაზე მეტყველებს.

მიუხედავად ნესტან-დარჯანის და თინათინის სახეისა  
განსხვავებულობისა ფსიქოლოგიური ნახატის მხრივ, რუსთა-  
ველმა მათში საერთო ნიშნებიც ჩაატოვა: ტალური კვამბი-  
სილება და მომხიბვლელობა, ამასთან ნებისყოფა და მბრ-  
ნებლობა. ამ ნიშნებითაა აღჭურვილია გუდიაშვილისეულ  
პერსონაჟებზე, ღირსშემთაა გამსჭვალული ნესტან-დარჯან-  
ისისა და ტარიელის, თინათინის და ავთანდილის შეხვედრის  
სცენები.

ძალზე საინტერესოა თინათინის ქორწინების სცენა. მხატ-  
ვარი ზუსტად გადმოგვცემს ქართული საქორწინო რიტუალის  
სასიამოს. მიუხედავად ილუსტრაციის მცირე ზომისა, ერო-  
ნული იერი გამოვლენილია კომპოზიციის თვითველ აქსე-  
რში. თავსართები და ბოლოსართები გადაწყვეტილია ბუნ-  
ნად და ლაკონურად. შესრულების მანერით მისი ორგანუ-  
ლად უკავშირდება ილუსტრაციებს.

სხვა პრინციპი უდევს საუბრულად 1939 წლის რუსულ  
გამოცემის ილუსტრაციებს. აქ მხატვარი პოემის სიუჟეტს  
და სახეობრივ სიმდიდრეს გადმოსცემს არა ხაზის, არამე-  
ფერის საშუალებით. ამ ილუსტრაციათა ჩანაფიქრი არადა-  
ლებ რთულია, ვიდრე პირველისა. მათში იგრძნობა ძველ

იყო და ფართო შეითხველმა მაშინვე როდი იგრძნო მისი გა-  
ნუშვორებული მომხიბვლელობა.

როგორი სახეითი საშუალებების წყალობით ახერხებს  
მხატვარი ეპოქის სულის ასე სათუთად გადმოცემას, მკითხ-  
ველის შეყვანას პოემის ხელშეხებად ცოცხალ პერსონაჟთა  
შორის?

ამაზე პასუხს გვაძლევს თვით გუდიაშვილი: „ხალხიდან  
გამოვიდნენ უსახელო არქიტექტორები, ისეთ განადიოზულ  
ნაგებობათა ავტორები, როგორც არის, მაგალითად. ვარძია;  
უცნობი მხატვრები, ძველ ხელნაწერთა შემამკობლნი. ამი-  
ტომ, როცა რუსთაველისა და მისი გმირების გამოსახტავაზე  
ვიწყებ მუშაობას, უპირველეს ყოვლისა, მივმართავ ხალხურ  
წარმოდგენებს მათზე, ქართული სახეითი ხელოვნების იმ ის-  
ტორიულ ტრადიციას, რომლის წყაროსა ხალხური შემოქმედე-  
ბა. ხალხური შემოქმედება კი ღრმად რეალისტურია („ლიტერ-  
ატურული გახეითი“ 1937 წ. № 70).

სუპერ-უდა მკვეთრ, მგრწივინავ ტონებშია გადაწყვეტილი.  
მისთვის მხატვარმა პოემის ყველაზე დინამიკური მომენტები  
შეარჩია — ტარიელის შეხმა ვეფხვთან, ავთანდილის სიმღე-  
რა. ტექსტი ერთფერო ხაზობრივი ილუსტრაციებია, რომლე-  
რზეც ორგანულად შედის გვერდის კომპოზიციაში.

ლ. გუდიაშვილი დიდხანს მუშაობდა ძველი ქართული  
ხელნაწერების შესწავლაზე. ხალხური გენიის ამ საგანძური-  
დან მან ბევრი რამ შემოქმედებითად აითვისა, კერძოდ ხელნა-  
წერთა გაფორმების სტილისტური თავისებურებანი.

მიუხედავად სახეითი საშუალებების ტუნად გამოყენები-  
სა, მხატვარი ახერხებს პოემის გმირთა ემოციური სამყაროს  
ფაქტურად გადმოცემას. ასე მაგალითად, ტარიელის ღრმად  
ფილოსოფიური და რთული სახე, ისევე როგორც დანარჩენი

ქართული მინიატურის ხერხების და საშუალებების ათვისება, რაც გამოსატყულებას პოულობს სცენათა დეკორატიულ მონარჩევაში, პეიზაჟის რამდენადმე პირობით გადაწყვეტაში. პერსპექტივის გადმოცემა და ფიგურების პატარა მასშტაბში. ამ გამოცემაში მხოლოდ რვა ილუსტრაციაა, მაგრამ ისინი სიუჟეტის განვითარების საკანძო მომენტებს ასახავენ.

მრავალმხრივადაა ნაწვენები ტარიელის საქე. ემოციურადაა მოცემული ტარიელის ტირილის სცენა. მიუხედავად გმირის ფიგურის მცირე ზომისა, გუდაიშვილი აღწევს საერთო განწყობილების გახსნას. ტარიელის პოზა უკიდურეს სასო-წარკვეთას გამოხატავს. თითქოს პატრონის სულისკვეთებას ეზიზნებათ, თავგაჩინდრული დგას მისი მერანი. ილუსტრაცია განზოცილებულია მუქკაფისფერ ტონებში. პორიზონტზე მთების მთლურჯო-მომწვანო ფერი ხაზს უსვამს გამოქვაბულის მოღუშულ კოლორიტს.

სხვაგვარადაა ტარიელი ნაწვენები ხატალებთან ბრძოლაში. აქ იგი შეუდრეკელი რაინდია, მტერთან შერკინებით კატაქვული. მისი მონარინჯისფრო-ვარდისფერი საოსო თითქოს შუქს ასხივებსო. ლიაყვითელი ცა და მომწვანო კლდები პორიზონტზე აძლიერებს ამ შთაბეჭდილებას. ბორცვების განმასახიერებელი ხატალები უსახურ მასადაა მოცემული, მხოლოდ მათი ხელები და მეწამული ჯუბები გამოიყოფა.

სხვა იერი აქვს ტარიელს ნესტან-დარეჯანის სამყოფელში. მღიღრულად მორთული გარემო, გრძელი ცისფერი ფაქტა, რთული ლამაზად ამკობს ნესტანის ტანს, მთელი მისი მეფერი დიდებულება იპყრობს მაცურების თვალს. მუქ სა-ზომში დაბალ სკაზე ზის ტარიელი. მის პოზაში იგრძობა შეკვებული მღვღინარება და დიდი შინაგანი ძალა.


გესპრისითაა აღსავსე ვეფხვთან შეხების სცენა. რკინისგური მარჯვნივ უჭირავს ტარიელს მხევის სხეულში. მის ფეხითაა განთხმული ლომის მკვდარი სხეული. პეიზაჟის ღია მოტროსფერო-მომწვანო ტონები, მთის ჩანჩქერის ღურჯი დინება მაცურულ ქვრადობას აძლევს ამ სცენას, რომელიც ადამიანის სულის შეუდრეკელობის, ბუნების ძალეზე მისი ზემოს სიმბოლოდ იკითხება.

ათვანდელი მხოლოდ ერთ ილუსტრაციამაა ნაწვენები (ავთანდილის სიმღერა). რაზეც ამხედრებული იგი ქარივით მიჰქრის. მაღალი კლდეები, ფირუზი ცა და ღურჯი მთები, ზურბუტი მდელი და მუქმწვანე ხეები ბუნების მომიზიდავ სურათს წარმოგიცხასავს. მხეცები გამოსულან თვინათი ბუნაგებთან და გაოცებით შესცქერიან მხედარს.

ამ გამოცემის ბოლო ილუსტრაციაა სამ მეგობარს გამოსხატავს პაუტის ციხის წინ. მრისხანედ და მიუწვდომლად რომ მისიანს შორეთში. ინდოელი, არაბი და მულაზანსარელი მტრზე იერიშის გეგმას აწყობენ. მხედართა სხვადასხვაფერი საოსო მიუთითებს განსხვავებულ ეროვნებაზე. მათ მძლავრ, მოხდნულ ფიგურებში იგრძობა ყოვლისმძლვე, გოლიათური შემართება.

1963 წლის გამოცემისათვის მხატვარმა შეარჩია 1934 წლის ვეფხვზე საუკეთესო ილუსტრაციები. ეს არის შენანიშნავი გამოცემა, რომელიც დ. გუდაიშვილმა წიგნის მთელი

ლალო  
გუდაიშვილი  
რუსთაველი



გაფორმება თვითონ შესარულა (სუპერედა, თავსართები, ბოლოსართები). აღნიშნულ ადრინდელ გამოცემისთან შედარებით ილუსტრაციები შემცირებულია, მაგრამ ზუსტად ერთვის ტექსტს და პაროზიულადაა შერწყმული წიგნის ფორმისთან. გამოცემა მაღალი პოლიგრაფიული ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს.

„ვეფხისტყაოსნის“ გენიალური შემოქმედის საქე არანაკლებ აღლევებს დ. გუდაიშვილის და თავის ნაწარმოებებში მრავალჯის მიმართავს მას.

„რუსთაველი მე წარმომდგინა ადამიანად, რომელმაც პოემის დაწერის მომენტისათვის უკვე მიაღწია სიმწიფის ასაკს, როცა ენებათა ჭიდილი ყურდება. მან გაიარა მკაცრი ცხოვრებისეული სკოლა, მშვიდად შესცქერის წარსულის და აწმყოს, განმჭვრეტელ მზერა მიუყვანს მომავლისათვის. ამგვარი მსურველ გამოიწვება მე იგი ჩემს სურათებში... (როგორ წარმომიდგინა შოთა რუსთაველი და მისი გმირები“. „ლიტერატურული გაზეთი“, 1937, № 70).

რუსთაველის გუდაიშვილისეული პორტრეტები ასლავს „ვეფხისტყაოსნის“ როგორც ქართულ, ისე რუსულ გამოცემებს. 1934 წლის გამოცემაში პოეტის საქე გადაწყვეტილია ძალზე ლაკონურად, ხაზობრივი პრინციპით. ჩვენი აზრით, უფრო ღრმა და შინაარსიანი დახასიათება მოცემული პორტრეტში, რომელიც რუსულ გამოცემაში შევიდა. კომპოზიცია აქ იმგვარადაა — რუსთაველი გამოხატულია ფართო სამოსში, მაღალი ჭედილი. მის წინ გაშლილი გრავილი და მავიდაა სამეღლით. პორტრეტი ორნამენტირებულ ჩარჩოშია ჩასმული, ფონზე ფრესკა თამარ მეფის გამოსახულებით. ძალზე მეტყველია რუსთაველის — შთაგონებული შემოქ-



ლადო  
გუდიაშვილი  
ფრანგული  
სურათისა  
„ლირსული“  
პასუხი



მც ვრცელი და მღვდელმცემ ცხოვრების გზა განვლი, პორტრეტი განხორციელებულია რბილ, პასტელურ ტონებში. რბილად სათუთ ღირსიველ შეფერილობას აძლევს.

რუსთაველის 800 წლისთავის საიუბილეოდ გუდიაშვილი კვლავ მიმართავს წარმატებულ თემს, თუმცა ამჯერად სხვაგვარი პლანით. გუბით შესრულებული „არაჩვეულებრივი საჩუქარი“ გამოსატყვევებს ჯვრის მონასტრის კედელს, რომელზეც თამარ მეფის სახეა აღბეჭდილი. მისი დიდებული გამოსახულების წინ მდგარ რუსთაველს გაუვდილ ხელებში თავისი წიგნი უყარია. თამარის იდუმალი მზერა კი მიმართულია წიგნისა და მისი შემოქმედის მიმართ. პოეტის სახეში აქ ხაზგასმული ასპექტში, ყოველივე ამქვეყნიურისაგან განდგომა. იგი მხოლოდ შემოქმედებაში პოევეს სულიერ კმაყოფილებას.

თამარის სახე „მარადიული ქალურობის“, უმწვენიერესი იდეალის განსახიერებაა. იგი სილამაზის უკვდავების სიმბოლოა, სიბრძნისა და სილამაზისა, რომელიც საუკუნეების მანძილზე შთააგონებდა მხატვრებს.

„რუსთაველის ოცნება“ აგრძელებს შოთა რუსთაველის და თამარ მეფის თემის ფილოსოფიურ დამუშავებას. აქ ნაჩვენებია თამარის როლი პოეტის შემოქმედებით ფორმირებაში. ბრძენი და მწვენიერი ქვეყნის განამტკიცების სახე, პოეტის თავიანთსემა მისდამა — ყოველივე ეს, როგორც ყოველთვის, მაღალმხატვრულ, პლასტიკურად ორიგინალურ გადაწყვეტას იღებს გუდიაშვილის შემოქმედებაში.

პირველ პლანზე ყრმა შოთაა გამოხატული, აღსავსე იმედებითა და მომავლის რწმენით, იგი იწყებს ცხოვრების გზაზე გამოსვლას, ხილრემში კი ცხოვრების გამოცდილებით დაბრძნებული მოხუცის გამოსახულებაა. თამარი გამოსახულია შოთას ორ პორტრეტს შუა, ცოტა ზემოთ. პორტრეტის კომპოზიციური გადაწყვეტა ძალზე თავისებურია. ქვედა მარჯვენა კუთხიდან ვერტიკალურად აღინათება თამარის გამოსახულება, რომელიც გამოყოფილია არა მარტო თავისი მღვდელმარებით, არამედ ფერითაც. ვარდისფერ ბურუსში მოცმეში, იგი ვარსკვლავით ანათებს. შოთა გამოხატულია ხაზებით, ალაგ-ალაგ მოყვითალო ლაქებითა დადებული. ნასატი შესრულებულია აკვარელითა და ფანქრით, ადგილებში შტრიხები კალმითაა გაკეთებული.

პორტრეტი სახელწოდებით „ძვირფასი ტვირთით დაბრუნება“, რომელიც მხატვარმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადასცა სანერგად, ძალზე ორიგინალური მხატვრული მანერითაა განხორციელებული.

შოთას — ბრძენი მოხუცის სახე აქ ეხმარება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედლის მოხატულობას. პოეტს მონაღვა წიგნის სიმბოლოა. მას თაობებისათვის მიაქვს თავისი შრომის ნაყოფი.

მაგვით გრაფიკული ხაზითა მოცემული რუსთაველის მოხილი ფიგურა, წვერი და სამოსი რთული შერწყმული შტრიხებითაა შესრულებული. ფონზე ვხედავთ მხედრული შროფტით დაწერილ „ვეფხისტყაოსნის“ გვერდს. მხატვარი ამ პორტრეტში შერეულ, მტკადა თავისებურ ტექნიკას მიმართავს; იყენებს აკვარელს, ძირითადად იტალიურ ფანქარს და კალამს. პორტრეტში ჩაქოვილია ღრმა იდეა, რომელიც შეიძლება გამოიყენებოდეს ენობილი ლათინური ანდაზით — „ცხოვე-

მედებითი შრომით გატაცებული პოეტისა და მოაზროვნის სახე. პორტრეტს საფუძვლად უდევს ოქროსფერი გამა, მაგრამ მხატვარი გაბედულად მიმართავს წითელ, ლურჯ, იასამნისფერ ლაქებს რუსთაველის სამოსზე, რაც ფერთა მკაფიობისა და სიმსუყვის შთაბეჭდილებას ქმნის.

თუ პორტრეტებში პოემის გამოცემებისათვის გუდიაშვილი მიზნად ისახავს აჩვენოს რუსთაველი როგორც მოაზროვნე და პოეტი, სრულიად სხვა ამოცანა აქვს მას დასახული სურათში „ლირსული პასუხი“ (1945 წ.).

რუსთაველი აქ გამოსახულია კარის დიდებულთა შორის, რომლებიც თამარ მეფის ირგვლივ შემოკრებილან თურქეთის სულთანის რუენადინის ელჩის მიღების დროს. რუსთაველი აქ წარმოგვიდგება საზოგადოებაში გამორჩეულ ლამაზ ყმაწვილკაცად, ძალზე მეტყველი სახით. ხაზგასმულია მისი მოღვაწეობის მეორე მხარე — იგი არის თამარის კარზე მაღალი მდგომარეობის პირიყნება, მისი მეტურულთუხუცესი.

ბერტაშვილის წიგნისათვის „მოდერნება ადამიანის ბუნებაზე ძველს საჭარბელოში“ (IV-XIV სს) 1961 წელს ლ. გუდიაშვილმა შექმნა ქართულ მოღვაწეთა პორტრეტების სერია. მათ შორის ძალზე საინტერესოა შოთა რუსთაველის პორტრეტი როგორც სახის გადაწყვეტის, ისე ფერში განხორციელების მხრივ. პირველ პლანზე გამოხატულია ყმაწვილი შოთა, დაფიქრებული და მეოცნებე თვალებით, პირისაბის ნაზი მოხაზულობით. მის უკან, თითქმის ბურუსში, ისახება მეორე შოთას ხატება — ბერძენი თეორეტიკალი მოხუცის სახით, რომელ-

ჩუბა მოკლეა, ხელოვნება — მარადიული“.  
ასლებურად გადაწყვიტა გუდაიშვილმა რუსთაველის პორტრეტი, რომელიც „ფეხვისტაკისონის“ 1966 წლის საიპილოგო გამოცემის გარეკანზეა მოცემული.


ღია ლურჯ ფონზე გამოხატულია ოქროსფერი სამოსით მისილი რუსთაველის ფიგურა. მხოლოდ ხელნაწერის თვითი ნურცელი ელავს პოეტის მუსლებზე. მარცხენა ხელი ზემოთ აჭებს აწვეული. სახე გამოძერწილია ძალზე ლაკონურად, რამდენიმე შტრიხით. პორტრეტი უცვლელად დიდი ინტერესის აღმძვრელი თავისი ფერადოვანი გადაწყვეტით, განზოგადებული მონუმენტურობით. მხატვარი არ ისწრაფვის სახის დეტალური დამუშავებისაკენ. მის წინაშე სხვა ამოცანაა — მთლიანი, ზოგადი ფერადობის მიღწევა. ეს პორტრეტი, რომელიც მხატვარმა კ. კანკვეტაძემ დიდ ტილოზე გადაიტანა, დიდებულად გამოიყურებოდა რუსთაველის საიპილოგოდ გამართული გამოფენის უშველებელ დარბაზში.

ღადო გუდაიშვილი მრავალმხრივი შემოქმედია. მისმა შემოქმედებამ შეიწოვა ქართული მრავალსაუკუნოვანი სახვითი კულტურა და საკუთარ, წმინდა გუდაიშვილისეულ ხელოვნებად ჩამოყალიბდა.

მისი „რუსთაველიანა“ ყოველთვის საპატიო ადგილს დაიჭერს შოთასადმი მიძღვნილ ნაწარმოებებს შორის. იგი აღიჭვრება როგორც ძველი, აღმართული შესანიშნავი საბჭოთა მხატვრის, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატის მიერ დიდი პოეტისა და მოაზროვნისათვის.

ღადო გუდაიშვილი

ოცნება რუსთაველისა



## ხალხური სიძლიერის ოსტატები

ვალერიან გაბელაია

პირველი ხალხურ, ქალაქურ ხანებზე შექმნილი სიმღერები მედამ დიდამ პოპულარული იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც ამიტომ ზუნებარავი იყო, როცა ამ საბჭოთადად წილის წინ უცხოეთის ერთ-ერთ დიდიგაციასთან შეხვედრის დროს გამართულ კონცერტზე დიდი წარმატება ხვდა ოთხი ქართველი სახალხო მომღერლის: ნინო ტკიცინის, ქე-ოვან კახაიას, შალვა ბაღრაშვილისა და აკაკი დოცაიას კვარტეტს. არც ის იყო შე-

თხვევითი, როცა შეხვედრის შემდეგ ცნობილია ჩილილმა მომღერალმა ქალმა მარგა ვტ ლილიამ მოისურვა ფირფიტა, რომელზეც ჩაწერილი იყო სიმღერები ამ კვარტეტის შესრულებით. ამგვარი შეფასება და მოთხოვნები ზნორად სწვნიათ კვარტეტის წევრებს.

ჭერ კიდევ 1987 წელს კვარტეტის ახალგაზრდა წევრები ქართლ-კახური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ლტოლენენ (ანსამბლს ხელმძღვანელობდა გამოჩენილი ქართველი

ლოტბარი ხანდრო კაცასძე). რამდენიმე ხნის შემდეგ ცხოვრების სხვადასხვა მიზანსწრაფვამ ეს ოთხი მომღერალი ერთმანეთს დააშორა. ხოლო 1948 წელს კი სტენის მეგობრები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ტრამვაი-ტროლეიბუსის სამართავლოში, სადაც შექმნეს ვაკაუტური კვარტეტი. მომღერლები ნიწას და ძალიონს არ ზოგავდნენ, რათა ქართული მუსიკალური ფორმლორი კიდევ უფრო პოპულარული გაეხადათ. მას შემდეგ ბევრი დამტკბარა მათ მიერ შესრულებული ხალხური სიმღერებით: „სამოცნელო“, „სულის აღმასფოთებელი“, „ამბიარუნდი“ და სხვ.. ხალხურ სიმღერებთან ერთად კვარტეტი ასრულებს ჩვენი სახელოვანი კომპოზიტორების—არჩილ კერესელიძისა და ხანდრო მირიანაშვილის პოპულარულ სიმღერებს. შოგავნებით ასრულებს კვარტეტი „დიდოსის“, „საყვარელი სახდროს“, „პირველი სიყვარული“ და სხვ.. კვარტეტი მომსახურებას უწევს ტრასპოპულკოს ქალაქებსა და რაიონებს. მომღერლები ზნორად ხვდებიან გურჯაანს, უჯაროს, წითელწყაროს, გორის, ბორჯომის კლდეურ ნიწებს, ფაზივის მუშა-მოსამსახურებს...

ხოლო დროს საკავშირო მანსპობით გავრცელდა ფირფიტები მათი შესრულებით, ქართული კვარტეტის სიმღერები მოიხიზოვა მოსკოვის უცხოეთთან კავშირის ბიურომ სახლგარეეთ გასაგზავნად.



გამორჩენილი ქართველი მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი (1888—1958 წ. წ.) ცვათვიის ჩვენი ისტორიოგრაფიის ამ წარმომადგენელია რიცხვს, რომელიც კერ კიდევ გასული საუკუნის 80-90-იან წლებში, ცარხოზის ბატონობის მძიმე პერიოდში, ნაყოფიერი მუშაობა გააღებს ეროვნული ისტორიის მეცნიერული შესწავლისა და მისი გამოცემის ხაზი.

ექვთიმე თაყაიშვილმა ერთ-ერთმა პირველიდანვე შეკრიბა მდიდარი დოკუმენტური მასალა, ქართული ენოგრაფიკა, მანამდე კერ კიდევ შეუსწავლელი ზღაპრები, პატრიარქული ეკლესიის უცნობი წლები, რითაც მუარა ნიდაგი მოამზადა ქართული ისტორიული მეცნიერების შემდგომი აღმშენებლობისთვის. განსაკუთრებით უსადღაღებელია მეცნიერის ღვაწლი ქართველი ხალხის პატრიარქული თუ სულიერი ეკლესიის ძველად დაცვის საქმეში. სწორედ მისი ზრუნვის შედეგად გადარსა დაღუპვის საფრთხეში მყოფი ფაუნდამენტული საგანძურის ეროვნული კულტურისა. იგი იყო ზელინგების სამეცნიერო ნივთების თავგამოდებული ზედამხედველი და მფარველი.

როგორც ცნობილია, ქართული ზღაღუნების მრავალი ძეგრფასი ძველი, რომლებიც ამჟამად ზღაღუნების მუზეუმშია დაცული, კერ კიდევ 1921 წელს მეწვეიერობა მთავრობამ საზღვარგარეთ — საფრანგეთში გაიტანა. სამეცნიერო განძიდულობის შეთავაზებულად დაინიშნა ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც ერთი წუთით არ მოშორებია ამ ნივთებს. 1921 წლიდან მოყოლებული 1945 წლამდე, ვიღარ საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის მთავრობათა მოლაპარაკების შედეგად ეს ძეგრფასულობა საქართველოს არ დაბრუნდა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ზღაღუნთა ინსტიტუტში (ე. თაყაიშვილის პირადი სააქტივო ფონდი № 1157) დაცულია ე. თაყაიშვილის ზღაღუნები

სტატია სამეცნიერო ნივთების საზღვარგარეთ გატანისა და მათი უცხოეთში შენახვის თაობაზე. ეს წერილი სათაურით „განძიდულობის გატანა და შენახვა საფრანგეთში და მისი დაბრუნების ისტორია“ — დატულია სამ ეგზეპლარად. სამეცნიერო შედეგად წერილი ცალკეა დასაჯერებული. ასევე პუნქტუალის თაღ: საზრისით კერ კიდევ დასამუშავებელია საბალოდ. ამავე დროს ამ დოკუმენტის სხვადასხვა ცალკეი ერთმანეთისაგან ოღნა ტექსტურალურადაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

სტატია არ ახლავს დაწერის თარიღს. მაგრამ, უნდა ვთქვათ, რომ იგი შედეგად ექვთიმე თაყაიშვილის სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში, როცა, როგორც ცნობილია, ხანგრძლივი ემიგრაციიდან სამშობლოშია დაბრუნებული ისტორიკოსი ენერგულიად აწერს რიგებდა თავის მდიდარ საარქივო მასალას და კერ კიდევ გამოკვეთილებული მეცნიერული შრომებს.

ზღაღუნების შედარებით ყველაზე „თიკარ“ ვარაიანტს ახლავს ექვთიმე თაყაიშვილისაგან მინაწერი, რომელიც ირკვევა, რომ თავის დროზე ეს წერილი გადაცემული უოფთა გამოსაკვეთებლად. მაგრამ, რაღაც მიზეზების გამო, არ გამოკვეთილულა.

ამ სტატიის აღნიშნულია ბევრი ისეთი ფაქტი, რომელიც ამჟამად უკვე ცნობილია ექვთიმე თაყაიშვილის „მემორარბიოთა“ და აგრეთვე მისი ცხოვრებისა თუ მეცნიერული შემოქმედებისაზე მიძღვნილი სხვა გამოკვლევებით. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წერილი შეიცავს აგრეთვე სხვა წყაროებიდან უცნაო ბევრ დეტალსაც და ერთგვარად ავსებს ჩვენს ცოდნას ქართული საზღაღუნების ბედის შესახებ უცხოეთში, ამიტომაც, ჩვენე არაოღ, ქართული ზღაღუნების ისტორიით დაინტერესებულ პირებსა და საერთოდ ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ინტერესსმოუბლად არ იქნება ექვთიმე თაყაიშვილისეული ამ წერილის გაყნობა.

«1921 წელს ბოლშევიკების შემოსევის წინა, განძიდულობა წაღებული იყო ბათუმში. იმედი გვქონდა, რომ ბოლშევიკები და მენშევიკები შერიდდებიან და განძიდულობის წაღება აღარ იქნება საჭირო საზღვარგარეთ. სამწუხაროდ ეს შეთანხმება არ მოხდა და განძიდულობა წაღებული იქნა საფრანგეთში. დამფუძნებელმა კატობამ, რომელიც მაშინ იკრიბებოდა ბათუმში, მე დაინიშნა ამ განძიდულობის მეთვალყურედ. თავის მხრით მენშევიკებმა მთავრობამ მე გამაყოლა იოსებ ვილგელამშვილი, მათი ფინანსთა მინისტრის აშხანაგი. იმ დროს საფრანგეთის მთავრობის მიერ ამიერკავკასიაში სრულყოფილიან მინისტრად დანიშნული იყო მისივე შვილი. მისი განკარგულებით ეს განძიდულობა და მთელი რიგი მთავრობის ქონების მოთაღებული იყო საშენდრო გემზე „ერნესტ-

რენანზე“. მაგრამ მე და ვილგელამშვილი ამ გემზე არ მოგვათავსა. ვინაიდან მათის ცნობით, ეს გემი მოქმედებაში იყო შავ ზღაღზე, ამიტომ არა საშენდრო პირის აქ მოთავსება არ შეიძლებოდა. შევლივმ სიტყვა მოგვცა, როდესაც გემი გაემზავრებოდა კონსტანტინოპოლში, ჩვენ უსათუოდ მოგვათავსებდა „ერნესტრენანზე“. ეს დაპირება მან არ შესრულდა. დაინიშნულ დღეს ჩვენ ერთი საათით ადრე მივედით ნავოსადგურში, საიდანაც გემი უნდა დაძრულიყო; დავინახეთ, რომ კრეისერი გამზავრებული და საცმაოდ მოშორებული იყო ნავსადგურისაგან. ცდა, რომ პატარა კატერით დავეწყოდი, ამაო შეიქმნა. მეტი დონე არ იყო, პატარა კერძო გემით უნდა წავსულაყავით კონსტანტინოპოლში.

დარი ცუდი შეგვხვდა, იმდენად შეარყია გემი, რომ კაპიტანს გადაარჩინის

იმედი დაეკარგა. ყველას გამოვიცხადე: გადასარჩენი ფრთები წამოგვეხსა. საზეღდენიეროდ ორი საათის შემდეგ ამინდი შეიცვალა. საშუალებე მოგვეცა მივსულიყავით კონსტანტინოპოლში. იქვე დავგვერდნენინი“. გვევინა, რომ ჩვენი ნივთები და ჩვენე ამ კრეისერით მივიდოდით მარსელში, მაგრამ ეს არ მოხდა. განკარგულბე გამოსცეს, ნივთები გადაღებულა სტატანსპორტო დიდ დაძიდულებულ გემზე, რომელსაც ერქვა „ბიენ-ჰოა“ (Bien-Hoa). ამ გემის დაინიშნულება იყო, მოველო ყველა მცირე აზრის, ეგვიპტის და აფრიკის ნავოსადგურები, იქედან მივოდ დაჭირდებულ და ავადმყოფების საფრანგეთში წასაცვანად. ეს იყო ჩვენითვის არასასამომგონ აშხანა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო, უნდა მივევლო.



პარადად ჩვენ პატივით მიგვიღეს და კატანმა განავრცულა მისცეს, მასთან ერთად მივედო სასწრაფო მე და სპე შეუღლეს. ეს არარეველებრივი იყო ჩვენითვის, ვინაიდან კაპიტანთან სარგოს მიღება წესის და დისციპლინის დარღვევა იყო. საბედნიეროდ კაპიტანი დიდად პატიოსანი და თავაზიანი აღმოჩნდა. ყველა ქალაქებში, სადაც მოსუსტრებები, კატერებთ გადაგვსცა. ამინდი კარგი შეგვხვდა და ტუჩისამდე მივედი. აქ კაპიტანმა პაქარიძე ტელეგრაფით ბრძანება მიიღო, რომ კორსიკის კუნძულზე წასულიყო, ერთი გემის გადასარჩენად. ამ ამბავმა დიდად შეაწუხა ჩვენი კაპიტანი. მან კითხრა: კორსიკასთან ბევრი წყალტუბვაა კლდეებით. გამოსავალი არ იყო, გავეზარა. საბედნიეროდ ნახევარი საათის შემდეგ მეორე ტელეგრაფმა მიიღო, იმ გემს, რომელიც იღუპებოდა, უკვე უშვლესო.

ამრიგად, გემის შესახებ თეთი კაპიტანი ცუდი აზრის იყო, ის ამბობდა: ეს გემი შეტისშეტად დაძველებულია, ერთი-ორი რეისის შემდეგ ხმარებიდან გამოვალ. როგორც გასუთმი წაფიციობზე, მართლაც ასე მოხდა. ა. ჩხენკელს, რომელიც მენშევიეების მთავრობის წარმომადგენელი იყო პარიზში, მე ვთხოვე ტელეგრაფით, რომ მარსელში გამოყოფა-საგნა კომისია, რომელიც გამოყოფდა სამუშეოში ნივთებს, მთავრობის ნივთებისაგან. მთავრობას საკმარისად ჰქონდა წამოღებული სასაზინო ნივთები და ვერცხლულობა. ა. ჩხენკელმა გამოგზავნა პროფესორი ზურაბ ავალიშვილი, რომელიც იმ დროს საქმის მწარმოებელი იყო მენშევიეების მთავრობისა და აგრეთვე ანდრია დეკანოზიშვილი. ამრიგად კომისია შესდგა ოთხი კაცისაგან: მე, რომელიც ელიტუარული იყო, ზურაბ ავალიშვილი და ანდრია დეკანოზიშვილი.

მანამდე ჩვენ მივდიოდით მარსელში, კაპიტანმა მისწერა მარსელის მთავრობას, რომ დახვედრებინათ სამხედრო მცველები განძეულობის გადასატანად მარსელის ბანკში.

მთავრობამ დიდი სიფრთხილე მიიღო ამ განძეულობის გადატანაში. გამოიწერა სენეგალის პოლიცი, რომელიც ყველაზე უპატიოსანი პოლიცია იყო მინჯ-

ული საფრანგეთის მთავრობის მიერ. ფრანგები თავიანთი ქონების გადატანაში მხოლოდ მათ ენდობოდნენ. სენეგალის პოლიცია ნივთები გემიდან ალყაშემორტყმით გადაიტანა მარსელის ბანკში.

ამის შემდეგ დაიწყო კომისიამ მუშაობა, რომელმაც გასტანა ერთი თვე სამუშეოში ნივთები მოვათავსეთ 39 ყუთში, მივაბრათ შესაბამად მარსელის ბანკს ხელწერილით.

ამის შემდეგ მე და დეკანოზიშვილი დიდად უნდით პარიზში.

მთავრობამ თავის ნივთებს და ვერცხლულობას ლიკვიდაცია უყო. ამ ნივთების ლიკვიდაცია მიაღწო იოსებ ელიგულაშვილს და ზურაბ ავალიშვილს. შენახვისათვის ბანკმა მოითხოვა 2500 ფრანკი წელიწადში. ამრიგად სამუშეოში განძეულობა ხელშეზღუდა ინახებოდა მარსელის ბანკში, ხანამ საფრანგეთის მთავრობამ არ გააუქმა მენშევიეების მთავრობა.

ჩვენ განძეულობა ბევრი მტერმოყვარე და ცილისმწამებელი აღმოუჩნდა. მოყვრებდა თავი მოქონდათ მყიდველებს, რომელთაც უნდოდათ შევიძინათ იმეათი ნივთები ამ განძეულობისა. პირველყოლისა მოვიდა ნიუ-იორკის მუშეუების დირექტორი და დაიწყო მოლაპარაკება მენშევიეებთან, რომ მათ მივეყვინათ მისთვის მინანქრისანი ხატები და შედალიონები. ერთი დიდი კოლექცია მინანქრებისანი ნიუ-იორკის მუშეუებმა იყიდა ზენიგოროდსისაგან, რომელიც ჩინოფენკად იყო აღეჭმანდრე III-სთან. ერთ დროს ეგზარხოსის ნუბართითი საბინგუსმა მიიღო უფლება განახლებინა შექობილება საქართველოს ხატებზე. ამის მიხედვით ბევრი ძველი ხატები მისაბო და მათი მინანქრები შედალიონები გაყიდა. ცნობილია: მინანქრის ხელოვნება დიდად გაგრცელბული იყო საქართველოში და საქართველოს ხატებზე ხშირად იყო შედალიონები როგორც ბიზანტიური, ისე ქართული. თუმცა რეკლუპტი როგორც უნდა დაშეშავდეს მინანქრისანი ხატები და სხვა საეკლესიო განძეულობა ცნობილია, მაგრამ მის აღდგენას ეხლა ვეღარ ახერხებენ. ამიტომ მინანქრისანი ხატები და შედალიონები ფეხრად ფასიხობს. ზენიგოროდსკიმი ძვირად მიიღო

ნიუ-იორკიდან 200 000 მანეთი, იმ დროისთვის ერთობ დიდი თანხა. მუშეუებს და მის დირექტორს უნდოდათ უფრო მეტად შეესება ამ კოლექციისა.

დირექტორმა ჯერ კითხა მთავრობის თავმჯდომარეს „რითი ცხოვრობათ“. თავმჯდომარემ უპასუხა: აკვავს მოყვრები, რომელნიც გვეხმარებიან. მაგრამ რასაკვირველია, ეს არ კმარა და ხელმოკლედ ვართო“. მაშინ დირექტორმა უპასუხა: „ამ მდგომარეობას შევიმსუბუქებთ, თუ მინანქრების განძეულობას მოგვეყვინათ“.

ეს რომ ჩვენ ყურამდით მოვიდა, მე განუცხადე, როგორც თავმჯდომარეს, ისე ნიუ-იორკის მუშეუების დირექტორს, რომ გაყიდათ ლაპარაკი ყოვლად შეუძლებელია. ბევრი წუწუნის და ლაპარაკის შემდეგ მუშეუების დირექტორმა შემდეგი წინადადება მისცა მთავრობას: „მოგვეყვით პირობა, რომ თქვენ ამ განძეულობას არ გაყიდით და თუ გაყიდათ იქნება, რომ ჩვენ მოგვეყოფოთ, რათქმუნდა შესასწავლ ფასში. და ამ პირობის ძალით უხსნად კარგ თანხას მოგცემთო“. მთავრობას ეს თითქოს შეეწონა და მზად იყო მიეცა პირობა. მე რასაკვირველია უპირ ვთქვი: „რა პირობა უნდა მიგვეთ, ჩვენ კრიმინალურ საქციელს არ ჩაივდნულ და სხვის მიერ დასჯავად მიზარებულ ნივთებს არ გაყიდით. ყველა პატიოსანი ვას ელემენტარული პატიოსნება და სინდისიერება მოეთხოვება, მიზარებულნი ნივთი ხელშეზღუდად შეინახოს. ფულის აღება ადვილია, გადახდა კი ძნელია. ვინც მაგისთანა პირობას ვეთხოვს, მან კარგად იცის, რომ თქვენ აკვავს განხდა არ შეგიძლიათ. და ბოლოს და ბოლოს ამ ვალს არ შეგარჩენენ. რაკი მე ხელი არ მოვეუწყო, რა თქმა უნდა ეს კომბინაცია ჩაინაწლა“.

შემდეგ ბრიტანეთის მუშეუებმა დაიწყო მოლაპარაკება მთავრობასთან, რომ ქმნის განძეულობიდან, რომელიც ჩემს მიერ იყო შეკრებილი და შეძენილი მუშეუებისათვის, ერთი რომელიმე საეკლესიო ნივთი დაგვემოწო მათთვის, და გვპირდებოდა ფასის გაღების გარდა ჩვენი განძეულობა უფულოდ შეგნახაო ბრიტანეთის მუშეუებმა და მათი აღბრუნება გამოეთქვა. შუაგამად პროფესორი ზურაბ ავალიშვილი აირჩიეს. ზურაბი,





რა თქმა უნდა, ამ წინადადებით თითქოს თანახმა იყო ამ კომბინაციისა, მაგრამ მე უარი ვუთხარი, რადგანაც ეს ნივთები მუშუაის კუთვნილებად იყო გამოცხადებული. ამრიგად, საციხის ნივთების გაყიდვაზე თუ დამთხოვაზე მოსაზიბილი იქნა.

განძეულობას საფრანგეთშიც მტერი აღმოუჩნდა. იმ დროს იქ ცხოვრობდა გრაფ ობოლენსკის ქვრივი, უკანასკნელი სამეგრელოს მთავრის ნიკო დადიანის ასული. ამ ობოლენსკის ქვრივმა მოგვთხოვა დაგვეპრუნებინა მისთვის სამეგრელოს მთავრის ოჯახიდან წამოღებული ნივთები.

უნდა მოგახსენებთ, რომ მენშევიეების მთავრობამ გამოცემული დეკრეტის ძალით, მთელი ქონება სამეგრელოს მთავრისა გამოაცხადა საქართველოს კუთვნილებად. ჩვენ, რა თქმა უნდა, უარით ვუპასუხეთ. ობოლენსკიმ სასამართლოს მიმართა და დაიწყო ხანგრძლივი პროცესი, რომელიც გაგრძელდა 7 წელიწადს.

ობოლენსკისას აღმოუჩნდნენ ბევრი დამხმარე პრინციები და არისტოკრატები. შეიქმნა სპეკულაცია ამ საჩივრის ირგვლივ. ობოლენსკისამ გაბეჭრა სია წამოღებული ნივთებისა — დადასტურების ოჯახიდან. ასე გამოდიოდა, თითქოს ნახევარი იმ განძეულობისა, რაც ჩვენ წამოვიღეთ, სამეგრელოს მთავრის ქონება ყოფილიყო. საჩივრის მოტივი იყო, რომ საქართველოს მთავრობას არ ქონდა უფლება ჩამოერთმია დეკრეტის ძალით სამეგრელოს მთავრის ქონება, ვინაიდან სამეგრელოს მთავარი რუსეთის ქვეშევრდომი იყო და არა საქართველოს.

რა თქმა უნდა, ეს მოტივი სასამართლომ არ მიიღო, ვინაიდან საქართველო თავისუფალ სახელმწიფოდ იყო ცნობილი, თვით საფრანგეთის მთავრობის მიერ.

საკუვლანტებმა დიდი ფული დახარჯეს ობოლენსკის ქვრივის დასახმარებლად. იმ იმდით, რომ პროცესს მოიკებდნენ და ერთი ათად მეტ თანხას აიღებდნენ. ერთი მათგანი სიკვდილითაც იმუქრებოდა. პროცესის წაგების შემდეგ ობოლენსკის ქვრივი გერმანიაში გაიპარა. საკუვლანტები ხელცარიელი დასრულნენ.

ეს პროცესი სასამართლოში მაშინ გა-

თავდა, როდესაც მენშევიეების მთავრობა საფრანგეთის მიერ უარყოფილი იყო.

რედესაც სასამართლომ ობოლენსკის ქალს უარი უთხრა, ამასთანავე დაადგინა: ვინაიდან მენშევიეების მთავრობა აღარ არსებობს, საქართველოს განძეულობა პატრონოდ უნდა გამოცხადდესო და დასძინა: გადაეცეს იგი შესანახად მისივ ყოფნის, რომელსაც ებარა რუსეთის მიერ საფრანგეთში დატოვებული ქონება. რაკი მთავრობა გაუქმებულად გამოცხადდა და განძეულობის პატრონობა მას ჩამოერთვა, მენშევიეების მთავრობას განუცხადა, ამიერიდან ნულარ ერევიან განძეულობის საქმეში. მე გამოვიდვიარ საფრანგეთის მთავრობის წინაშე, როგორც მცველი და მეთვალყურე განძეულობის შესახებისა.

მთავრობას ეს მოეწონა, ვინაიდან მას პასუხისმგებლობა ამ განძეულობის დაცვის შესახებ ერთმოდოდა.

ისინი თითქმის დარწმუნებული იყვნენ: ამ განძეულობას საფრანგეთის მთავრობამ იქ ჩაჭიდა ხელი, რომ დაზარუნების იმედი დაკარგულია და მე გადმომივცეს დადგენილების ამონაწერი ამ საქმის შესახებ. ისინი მწერდნენ, რომ დაზარუნებულმა კრებამ და მუხუშების გამეგობებმა მე დამნიშნეს ამ განძეულობის მეთვალყურედ და მომეღელად. მე უფლება მაქვს ისე მოვიქცე, როგორც საჭიროდ დავინახავ, ხოლო პასუხისმგებელი მე ვიქნები როგორც მუხუშის, ისე საქართველოს წინაშე.

მე შევადგინე მოხსენება საფრანგეთის მთავრობისადმი, რომ სამუხუშეო განძეულობა, რომელიც სასამართლომ ცოცხლს ჩააბარა, არ ვუთვნივდა არც საქართველოს მთავრობას და არც მითუმეტეს რუსეთის ყოფილ მთავრობას. ესენი შეადგენდნენ კუთვნილებას კერძო დაწესებულებებისა, როგორიც იყო: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და მისი მუხუშები, აგრეთვე ჩემს მიერ დაარსებული საქართველოს საისტორიო და საენოგრაფიო საზოგადოება და შემდეგ საქართველოს სამღვდლოების საკვლესიო მუხუშეობა და კერძოდ დაარსებული სამხატვრო საზოგადოება.

ამ საზოგადოებებმა მოსაყვრლას მიაბარეს შესახად და მოსაყვრლად და ამიტომ მათ სახელზე იყო წესდანილი

მარსელის ბანკში. რადგანაც ეს მთავრობა ცნობილი იყო საფრანგეთის მიერ არსების მიერ, როგორც დამწიფებლად ანუ თვითმპყრობელი სახელმწიფო, ამიტომ ეს განძეულობა უნდა დაზარუნდეს თვითონ მუხუშეობებს. საფრანგეთის მთავრობამ ამ ჩემ განცხადებაზე პასუხი არ მომცა.

ჩვენი დამცველი მოსივ პომარე საფრანგეთის ქვემო პალატის დეპუტატი იყო. ის მარწმუნებდა, რომ მთავრობას არ შეუძლია ეს განძეულობა მიითვისოს, თუ კი დავამტკიცებთ, რომ ყველაფერი ეს ცუთვნივდა კერძო საზოგადოებებს.

ამ ჩემი მოხსენების ასლი გამოგვავენე საქართველოში ვუკოლ ბერიძესთან, რომ გადასცეს საქართველოს მთავრობას, რომ მთავრობამ დაზოგავდეს საფრანგეთში საბუთებით, რომელ დაწესებულებებს ეკუთვნიან ნივთები და საფრანგეთის მთავრობისაგან მიიღებოთ მათი აბარუნება.

რა თქმა უნდა ამ დეპუტაციას თან უნდა წამოეღო წესდებები და კატალოგები დაწესებულებათა. ამისათვის საჭირო იყო ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორებისაგან შემდგარი დეპუტაცია. საქართველოდან დეპუტაციის მაგიერ გამოგვავენეს ვიქტორ კვიტაშვილი, კარგი ადამიანი, მაგრამ განძეულობის საქმეში ნაკლებად ჩახედული. ზრუნვა განძეულობის დაბრუნების შესახებ მიანვეს მათ წარმომადგენელს საფრანგეთში პოტიომკინს და ამ კვიტაშვილს. ელმას გამოიმეზავნა თავიანი მდივანი და მთხოვა გამეცნო მათთვის და კვიტაშვილისათვის საქმის დეტალიზაცია.

მე წავედი პარიზში და იქ დავეწვი მუშუბას, გადავივი ჩემი რაპორტები ჩემი მოხსენებები საფრანგეთის მთავრობისადმი და სხვა მასალები. მუშუბას ვაგრძელებდა თითქმის ერთი თვე, მაგრამ ამ ცდისაგან არაფერი არ გამოვიდა. ამის შემდეგ მე ვაპირებდ სამიერის დაწვევას სასამართლოში, მაგრამ იმ დროს სოციალისტიკი ლონ ბლოუმი გახდა მთავრობის თავმჯდომარე. ლონ ბლოუმი დიდად დასალოვებული იყო მენშევიეების მთავრობისაგან და საქართველოში წამყოფი იყო მენშევიეთა მთავრობის წევრები ერთმანეთს ცოცხიდნენ საფრანგის დროს; ამ-



ტომ მე იმედო მომცა, რომ ის დაგვიბრუნებდა განძეულობას. მასაც გაგუგუნავს ჩემი რაპორტი და პირადე მოსალაპარაკებლად სოსიკო მდივანი ვაახლე, რომელიც თურქეთში იყო ელჩად გაგზავნილი მენურეკების მიერ. ბლიუმიშა უხარა — მას საქმეს განვიხილავო, მაგრამ არც განუხილავს და არც პასუხი მოუცია.

განძეულობის დაბრუნების საკითხი გადაწყვეტა საბჭოთა კავშირის უმაგბლოთი გამარჯვებამ, რის შედეგე გერმანელებმა მიატოვეს პარიზი და ფრანგებმა სუბი მოითქვეს.

ამ გამარჯვებამ დიდი სახელი გაუთქვა სტალინის საფრანგეთში. ფრანგები მასზე ლოყულობდნენ და ამბობდნენ, ჩვენ მას ოქროს ძეგლს დავუდგენთ.

ჩვენ ვეუბნებოდით, რომ სტალინი ჭრთველია ტომით, მაგრამ ამას ეჭვის თაველი უყურებდნენ. საქართველო პატარა ერია და ასეთ გენიოს ვერ წარმოშობაო.

ამ დროს მოვიდა პარიზში სსრკ-ის ელჩი ბოგომოლოვი. მამინვე ვაცნობე, რომ მისი ნახვა მიხდა და ვთხოვე დავენიშნა დრო ჩემთან შეყრისა. მან გამომიხსენა თავისი მანქანა. მე მუხუბრულა პირველად ამ მანქანის მოსვლა. ჩემს წასაცხანად მოვიდა ჩემთან პოლკოვნიკი ვანსაძე. მე მას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ გაგონილი მქონდა, რომ ის და მისი მეუღლე დიდად მოხერხებულნი იყვნენ და საეკულაციას ეწეოდნენ. გზაში მან მოხარა: მე ბოგომოლოვს დავპირდი ევეენი გემეკორისაც მოვიყვან თქვენთანო. მაგრამ გვემეკორისათვის ეს არც გამიმხელაო, ეინადან კარგად ვიცო, ასე ადვილად ჯერ იგი მას ვერ ინახულებსო. ამ განცხადებამ კიდევ უფრო დამარწმუნა ვანსაძის სიყალბეში. მივედი ბოგომოლოვთან. დიდად თავაზიანად მიმიღო. განვეუცხადე, რომ განძეულობის დაბრუნების შესახებ ვარ მოხელე. მან მიხარა, ჯერ ვისაუბროთ და შეიძლება ამ საუზნის დროს ვილაპარაკოთ, გინდა საუზნის შემდეგო. მე საუზნის დროს მოვახსენე ყველაფერი. მან მიხარა, მე ამ საქმეში ჩახედული არ ვარო, რასაც მეტყვიოთ, ყველაფერს ავიტრულებთო. ვანსაძე საუზნის დროს გვერდში ეყდა ბოგომოლოვს. საუზნის ბოლოს ამიიღო უბიდან და რადაც წერი-

ლი წაუკითხა. კარგად არ მესმოდა რაში იყო საქმე, მაგრამ ერთი გავიგე: ის თხოლობრდა 60.000 ფრანკს, რომელიც დასარცა განძეულობის საქმეში. ბოგომოლოვმა წერილი გამართვა და უბეტი ჩაიღო. აშკარა იყო, ის დაბლოყუებოდა ბოგომოლოვს რადაც მანქანებით. ბოგომოლოვი მას სიმპატიით ვეურობოდა. მე ბოგომოლოვს გარდა პირადი განცხადებისა წერილიც წარმოვეუდგინე: ვთხოვდი, აღეძრა საკითხი ამ საქმის შესახებ. ამ დროს საფრანგეთში მოხული იყო გენერალი დე-გოლო. ის იყო მთავრობის თავმჯდომარე. რა თქმა უნდა, ეს საქმე უნდა გადაეწყვიტა გენერალ დე-გოლოს. ბოგომოლოვმა მიხარა, მე არ შემიძლია პირადად მოვახსენო გარემოება, ამიტომ კარგი იქნება თქვენ მომეცმდეთ ჯეროვან მოხსენებას, სადაც საქმის ვითარება გამოჩეკული იქნებოა. მე, რა თქმა უნდა, მივეცი ვრცელი მოხსენება ბოგომოლოვს დე-გოლოს სახელზე, რომელიც ბოგომოლოვმა წარუდგინა წინა დღეს მას, როდესაც ის და ბოგომოლოვი მისიკოვი უნდა გაფრინელიყვნენ სტალინთან. ომი გათავებული არ იყო და საბოლოო შეთანხმება და ხსნა საფრანგეთისა სტალინზე იყო დამყარებული. რა თქმა უნდა, დე-გოლოს უარის თქმა საუფედლო და გასაც განკარგულება, დაუყოვნებლივ დაგვიბრუნდეს განძეულობა. ზრუნვა ამ განძეულობის მიღების შესახებ მე და მის საქმის მწარმოებელს არ რუსეთის კონსტის საფრანგეთში ა. ა. გუზოვსკის მოგვანდო ბოგომოლოვმა. მეორე დღეს გუზოვსკი მივიდა ჟოდონთან, რომელსაც ებარა განძეულობა და მოსთხოვა დაბრუნება. ჟოდონი ამ საქმემ შეაფიქოთა, მან განაცხადა: დე-გოლოს ამის უფლება არ ჰქონდაო. ეს საკითხი მინაგან მინისტრის უნდა გადაეწყვიტათ. გუზოვსკიმ უთხრა ჟოდონს: მინისტრი ხომ მთავრობის თავმჯდომარეს ექვემდებარებაო. რა ნება აქვს მის განკარგულების წინააღმდეგ წავიდესო. თუ ზვალ გადაჭრილი პასუხი არ მოგიცია ამის შესახებ, ტელეგრამას გაგუგუნავნი დე-გოლოს, რომ თქვენ არ ანართებთ მის ბრძანებას. რა თქმა უნდა, ჟოდონმა ამის შემდეგ ჩავაბარა მთელი განძეულობა, მე და გუზოვსკის თანხასწრებით ორი წერისა — მელაძის და კ. ნივარა-

ძის. გუზოვსკი დიდის ენერგიით მუშაობდა ამ განძეულობის საქმეში. თავედამპირველით თავიდანმთავრებულით სპეკულანტი ვანსაძე. გამორიკვა, რომ ვანსაძე დიდ სიყალბეს ჩადიოდა. მან დაარწმუნა ბოგომოლოვი, რომ განძეულობის დაცვის საქმეში დასარცა 50.000 ფრანკი, რომელიც მისცა დამცველს. ბოგომოლოვს, რასაკვირველია, ეგონა, ის ჩვენ საქმეს იცავდა ობოლენსის წინააღმდეგ, მაშინ, როდესაც მისი დამცველი ობოლენსკის პრეტენზიას იცავდა. და საქმე წაყო. დე-გოლო ვანსაძეს შენ ჩვენ წინააღმდეგ ვითარავებია დამცველი და რაკი საქმე წაავეთ, სასამართლოს ხარჯის ანახულებრება წავებულმა უნდა იკისრის და თქვენ ჩვენთან უმართებულად გინდათ მიიღოთ 50.000 ფრანკი თქო. ეს რომ გუზოვსკიმ გაიგო, მეტად გაკვირდა და მამინვე თავედან მოვიდა. აღმარაფერი პასუხი გასცა.


მივლი წილინი ქონება კარგად დაცული და მთლიანი აღმოჩნდა, ერთი ნემსიც არ დაგვეკლებია. მე შევეუდქე ნივთების ყუფთში ჩალაგებას. საქართველოში წამოსაღებად უკვე გააშავსადე 25 უთვი, მაგრამ შემდეგ ავად გახვდი და ნივთების ჩალაგება შევარჩე. ამ დროს მოვიდნენ პარიზში საქართველოდან გამოგზავნილი აკად. პ. შარია და პროფესორი შ. ამირანაშვილი.

შ. ამირანაშვილი ჩემი პროფესორობის დროს თბილისის უნივერსიტეტში სტუდენტიც იყო და, რა თქმა უნდა, კარგად მიცნობდა.

მან დაამთავრა ჩემთან დაწყებული განძეულობის ჩალაგება ყუფთებში. მოსკოვიდან მოვიდა ორი თვითმფრინავი, რომელზედაც მოთავსდა მივლი ჩვენი განძეულობა. ავიომარშრუტი ასეთი იყო: პარიზიდან მარსელში, მარსელდან რომში, რომიდან ბენჯაზში, ჩრდილო აფრიკაში, ბენჯაზიდან კაირში, ეგვიპტეში და კაირიდან თბილისში. პარიზიდან გამიყვდიოთ 5 აპრილს და თბილისში მოვიდით 11 აპრილს. თბილისში განძეულობის აღწერა ჩაბარდა აკად. ს. ჯანაშიას. ექსპონატები მოთავსდა საქართველოს მუზეუმში და სამხატვრო გალერეაში.»

ჩემი პუბლიცისტა

წილენის  
ეკლესიის  
დღევანდელი  
ხედი



# წილენის

## ტაქარი

წარმართული პერიოდის ახლად აღმოჩენილი  
არქიტექტურული ძეგლები

მიხეილ ჩხიკვაძე


**ხ**ერ კიდევ 1924 წლის შემოდგომაზე, სოფელ წილ-  
კანში არსებული ტაძრის დათვალიერებისას, ჩვენი  
ყურადღება მიიპყრო ერთმა გარემოებამ: ტაძრის  
შიდა არქიტექტურული ფორმების გადაწყვეტა არ  
შეესაბამებოდა მის გარე ფორმებს. გარდა ამისა, ძველის ქვე-  
და ნაწილები მკვეთრად გამოირჩევიან ზედა ნაწილებისაგან  
როგორც მასალით, ისე არქიტექტურული ფორმების გადა-  
წყვეტით და მათი შესრულებით.

მაშინვე იქნა გაზომილი ჩემს მიერ ტაძრის გეგმა და მისი  
იჩითადი სიმბოლოვანი ნაწილები, რათა გამორკვეულიყო  
აღნიშნულ შეუსაბამობათა მიზეზები. ანაზომების მიხედვით  
სათანადო ნახაზების შესრულების შედეგად სრული სიცხადით  
გამოირკვა, რომ ტაძრის პირვანდელი სახე ბ ა ზ ი ლ ი კ უ რ ი  
ყოფილა, მხოლოდ შემდგომ გადაუკეთებიათ გ უ მ ბ ა თ ო ვ ა ნ  
ეკლესიად. ამასთან ერთად გაირკვა სამხრეთის ფსაღზე შერ-  
ჩენილი უძველესი ნაწილების საკითხიც, რომელიც ქართული  
არქიტექტურისათვის ურვეულო ე. წ. „კ ა რ კ ა ს უ ლ ი“ სის-  
ტემით არის გადაწყვეტილი.

როგორც ცნობილია, არქიტექტურული ძეგლის მხატვრული  
ღირებულება და კონსტრუქციული გადაწყვეტა შეიძლება  
გადმოიცეს „კ ე დ ლ ის“ და „კ ა რ კ ა ს ი“ სისტემების  
საშუალებით.

კ ე დ ლ ის სისტემა ნიშნავს შენობის გაფორმებას მთლი-  
ანი გლუვი კედლების ამოყვანით, რომელზედაც დატანებუ-  
ლია ფანჯრების და კარების ზერელები. ასეთი სისტემის ტი-  
პურ მაგალითს წარმოადგენენ სვანური, ზვესურული და სხვა  
ქართული კოშკები, ამგვარი შენობები.

კ ა რ კ ა ს ი სისტემა გულისხმობს შენობის გაფორმებას  
ცალკე მდგარი სვეტების საშუალებით. კარკასული სისტემის



წილენის  
ბიჭა



კლასიკურ ნიმუშად შეიძლება ანტიკური ხანის ბერძნული არქიტექტურა დავასახელოთ.

ხანური კოშკი და პესტროვი, კედელი და კარკასი — არქიტექტურის ფორმების აღმის თვალსაზრისით პოლიუესებს წარმოადგენენ, რომელთა შორისაც არსებობს უპირავე შუალედი ვარსკარტი.

თუ ანტიკური ბერიოდის ბერძნული არქიტექტურა ძირითადად კარკასული სისტემით არის გადაწყვეტილი, ჭართული არქიტექტურა მთელი თავისი განვითარების მანძილზე კედლის სისტემის დამუშავებით არის ცნობილი. კედელი — მისი მატერიალი დამუშავება — ჭართული არქიტექტურების უსაყვარლესი თემაა. ისინი განსაკუთრებული ვირტუოზობით ჰქონიან კედლის სისტემის ნაირსახეობას და ამ მიმართულებით უმაღლეს დონეს მიაღწიეს: ჯვარი და სამწვერისი, ყრომი და სამთავისი, ოშკი და ურბნისი და მრავალი სხვა ცნობილი ძველი ქართული კულტურის საბაზის წარმოადგენს.

რაც შეეხება წილკანს, იქ გადარჩენილი უძველესი ნაწილების არქიტექტურული ფრაგმენტები კარკასული სისტემითაა გადაწყვეტილი. ქართული არქიტექტურის საერთო განვითარების ფონზე მათ პარალელები არ მოეპოვებათ და, რაც მთავარია, ეს თემა წილკანში დამუშავებულია მაღალ მხატვრულ დონეზე. ჩვენ არ გავგანია კარკასული სისტემის მაგალითები არც წილკანზე ადრე და არც მის შემდგომ აგებულ ქართულ ძეგლებში. ამის გამო ვფაგვართ დილემის წინაშე:

1. ეს თემა ნასესხებია ქართული არქიტექტურის მიერ, სხვა ქვეყანაში დამუშავებული და სათანადო მხატვრულ სიმაღლეზე აყვანილი არქიტექტურული ფორმებიდან;

2. ადგილობრივ არის დამუშავებული და ვინაიდან წილკანში უკვე მაღალ მხატვრულ დონეზეა შესრულებული, მისი წინამორბედი ძეგლები (რომლებშიც მოხდა ამ თემის დამუშავება) საქართველოში დაღუპულია.

საეთხის სათანადო შესწავლის შემდეგ იმავე 1924 წლის ბოლოს ჩვენ მიერ წაკითხული იქნა მოხსენება საქ. სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა სამეცნიერო წრეში, სადაც ზახვას-მული იყო მეორე ვარაუდის უპირატესობა, შემდეგი მოსაზრებების გამო:

1. „მოქცევაა ქართლისაა“—ს ცნობით წილკანი აგებულია ბაქარ-ბაყურ მირიანის-ძის მიერ, ე. ი. 330—350 წლებში.

2. წილკნის ტაძარი აგებულია ქართული არქიტექტურისათვის უჩვეულო ფორმებით, ჩვენი არქიტექტურის განვითარების საერთო ფონზე იგი გამოიკლის წარმოადგენს.

3. საფიქრებელია, რომ წილკნის ტაძრის არქიტექტურული თემა უცხოეთიდან არის შემოტანილი, მაგრამ ამგვარი ბაზილიკური შენობა არც ბიზანტიამ, არც ახლო აღმოსავლეთში, არც სირია-პალესტინაში და არც სომხეთში არ არის ცნობილი.

4. IV საუკუნის პირველ ნახევარში ქრისტიანობა ახლად აღიარებული რელიგია იყო იმდროინდელ ქრისტიანულ სამყაროში და ამიტომ იქ არც შეიძლებოდა ყოფილიყო რაიმე ჩამოყალიბებული მაგალითი ამ მიმართულებით.

5. ქრისტიანობა ქართლშიც ახლად მიღებული სარწმუნოება იყო და რადგანაც ახალი რელიგიისათვის საჭირო შენობა ვერ აიგებოდა ძველი — წარმართული რელიგიის ბო-

მონების და ბაგინების არქიტექტურული ფორმებით — არქიტექტურის თვითონ უნდა ეზრუნა ახალი რელიგიისათვის ახალი, მისთვის შესაბამისი არქიტექტურული ფორმების საქმნელად.

6. ახალი არქიტექტურული ფორმები უნდა ყოფილიყო ძველი რელიგიის არქიტექტურულ ფორმათა ანტიპოდი, მათზე უკეთესი, ყველასათვის მისაღები და უფრო მოწინავე.

7. ვინაიდან წილკნის არქიტექტორს არ ჰქონდა რაიმე მაგალითი ამ მიმართულებით, გარდა მცხეთის „ნუმი ცვლე სისისა“, მან თვითონ შექმნა ახალი ფორმები ახალ მოთხოვნილებათა შესაბამისად. ეს არის წარმელებული შენობა, რომლის ერთ მხარეს მიმდინარეობს რელიგიური რიტუალი, ხოლო მეორე მხარეს მლოცველი ხალხია თავმოყრილი.

8. რაც შეეხება ტაძრის არქიტექტურულ ფორმათა გადაწყვეტას, ისინი დამყარებული უნდა ყოფილიყო იმ დროს არსებულ ადგილობრივ აგებულ სავარსებო შენობებში, სადაც ზღვები და სხვა ამგვარი არქიტექტურის ფორმათა საფუძველზე.

9. თუ ჩვენამდე არ მოაღწია წილკნის წინამორბედი ძეგლებმა, ეს აიხსნება მხოლოდ იმ გარემოებით, რომ იმ დროინდელა საერო ხასიათის არქიტექტურული ძეგლები განადგურდა.

10. რაც შეეხება წილკანში გამოყენებულ არქიტექტურული ფორმების შემდგომ განვითარებას, იგი, როგორც საერთო ხასიათის არქიტექტურის მაგალითი, დარდობილი იქნა ახალი, ქრისტიანული რელიგიის მიერ შექმნილი და დაკანონებული არქიტექტურული ფორმების მიერ.

წილკნის ტაძრის მხოლოდ ზოგიერთი არქიტექტურული დეტალი პოულობს შემდგომ გამოიხილს ქართულ არქიტექტურაში.

11. საჭიროა ძიების წარმოება უძველეს საერო ნაგებობათა გამოსავლიანებლად, მოსალოდნელია კარკასული თემის დამუშავების მაგალითების აღმოჩენა.

ახლა, როდესაც არქეოლოგმა ა. ე. ჯანაძემ აღმოაჩინა მცხეთაში აღმოაჩინა სახალის უძველესი ნან-

უძველესი ნაშენი წილკნის საყვარში





ვალსაზის ფრესკები



წილკნის რელიეფები



გრევეები, რომლის არქიტექტურული გადაწყვეტა კარგას ული სისტემით არის შესრულებული. წილკნის ქველს გამოიჩინდა შესანიშნავი წინამორბედი ან მისი პარალელი.

ამის გამო, ჩვენ ხელახლად გადავხინჯეთ წილკნის ტაძრის უძველესი ნაწილები და მცირე ზონდაუს ჩატარების შედეგად აღმოჩნდა შესანიშნავი არქიტექტურული ფრაგმენტები, რომლის მსგავსიც ჯერ არსად არ არის ცნობილი არა თუ საქართველოში, არამედ სხვაგანაც. ჯერჯერობით აღმოჩენილია 8 ფრაგმენტი, მოსალოდნელია, რომ გამოვლინდება კიდევ 30-ზე მეტი. ყველა ისინი ხასიათდებიან არქაულდობით. იქ არის გამოსახულება პოსტამენტზე აღმართული ლაბარუმებისა, რომელთაც გაშლილი ლენტები ამშვენებენ. იქვე არის აღმართული საწიმიო ლიტორები, რომელთა შორისაც ვერვინია ამოსახული. ლიტორები ლენტების სალტეებით არიან შევრულები, არის მცენარეთა ჩუქურთმები და სხვ. ყველა ეს ფრაგმენტი შორეულად მოგვაგონებს უძველეს ქართულ არქიტექტურულ ფორმებს, რომლებსაც ბოლნისში, ხაშში, სვეტიცხოველში და სხვაგან ვხვდებით. ისინი ერთგვარ პარალელებს პოულობენ აგრეთვე ადრინდელ სასანურ ხელოვნებაში.

ამჟამად ნახაზების და ნახატების სახით წარმოდგენილია აღმოჩენილი ფრაგმენტების რამოდენიმე ნიმუში, აქვეა წარმოდგენილი წილკნის ტაძრის არსებული გეგმა, რომელზედაც აღდგენილი სახით დატანებულია ძველის უძველესი ნაწილები. ამათგან ზოგი მოსაბიძგია ცალკისაზე გუმბათის დადგობის დროს, ზოგიც შერწყმულია ძველის საერთო მოხაზულობაში.

როგორც ირკვევა, წილკანი აგებული ყოფილა იმავე მეთოდით და იმავე მოდულის სისტემით, როგორც მირიან მეფის მიერ „ხუმი ცკლესიად“ წოდებული ახლანდელი სამთავროს ტაძარი, რომლის უძველესი ნაწილებიც გადაკეთებული და შენიღბულია შემდგომი რესტავრაციების დროს, მაგრამ მისი აღდგენა შესაძლებელი ხდება.

ამით ერთხელ კიდევ მტკიცდება ის დებულება, რომ წილკნის ტაძრის სახით ჩვენამდის მოუღწევია IV საუკუნის ადრე ქრისტიანული ხანის ძველს, რომელიც საფუძვლად დაედო ქართული არქიტექტურის შემდგომ განვითარებას.

წილკნის, ამ უაღრესად საყურადღებო ძველის შესწავლის მიზნით ჩვენს მიერ ჩატარებულმა წინასწარმა ზონდაემა დაგვანახა, თუ რაოდენ შესანიშნავ ნაგებობას წარმოადგენს წილკნის ცკლესიის ქვედა ნაწილები. ჩვენ განზრახული გვაქვს მისი დეტალური შესწავლა, გამოკვლევა, გაწმენდა და გათხრების წარმოება. ეს კი მოგვეცემს საშუალებას გაირკვეს ქართული არქიტექტურის რიგი ბუნდოვანი საკითხები. ამას გარდა ტაძრის განსაკუთრებულ ადგილებში მოსალოდნელია წარწერების არსებობაც, რომელთა აღმოჩენაც ესოდენ დიდი მნიშვნელობის იქნება ქართული დამწერლობის შესწავლის ისტორიისათვის.



ევენიო გარა



ნიკოლა პამბორა

# იტალიური ჰოქალური სკოლის ქირითაღი პოსტულატები

ნოდარ ანდლულაძე

**1** ელ კანტოს ეპოქის ხელოვნება და მეთოდოლოგია დიდი ხანია იზიდავს მუსიკალური საზოგადოებრიობის ყურადღებას. ეს გასაგებია. იტალიური სასიმღერო სკოლის ჩამოყალიბება და უმაღლესი მიღწევები სწორედ ბელ კანტოს საშემსრულებლო სტილთანაა დაკავშირებული. იტალიურმა სასიმღერო სკოლამ, როგორც ცნობილია, დიდი გავლენა მოახდინა სხვადასხვა ქვეყნების სასიმღერო სკოლების (ფრანგული, ავსტრიული, რუსული, გერმანული და სხვ.) ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.

ბელ კანტოს აყვავება მოიცავს თითქმის ორ საუკუნეს — XVII საუკუნის დასაწყისიდან XVIII საუკუნის ბოლომდე. ეს არის მომღერალ-ვირტუოზების განუყოფელი ბატონობის ხანა მსოფლიოს საოპერო სცენებზე. ამავე პერიოდში ყალიბდება ვირტუოზი მომღერლების აღზრდის ორი უმძლავრესი კერა — „ბოლონიის სკოლა“ პისტოციასა და ბერნაკის სამღვლებთან დაკავშირებული და „ნეაპოლის სკოლა“, რომლის აყვავება კომპოზიტორის, მომღერლისა და ვოკალური პედაგოგის — პორპორას მოღვაწეობის ხანას ემთხვევა.

საოპერო ხელოვნების შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით ბელ კანტოს საშემსრულებლო სტილშიც მოხდა საგრძნობი ცვლილებები. მაგრამ არსებითად ახალი იტალიური სასიმღერო ხელოვნება დაემყარა ბელ კანტოს სკოლის მონაპოვარს, განსაკუთრებით, ვოკალური მეთოდოლოგიის სფეროში. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ მანუელ გარსიას (შვილის) ტრაქტატი „სასიმღერო ხელოვნება“ ითვლება, ერთის მხრივ, ბელ კანტოს ეპოქის შემაჯამებელ გამოკვლევად, ხოლო მეორეს მხრივ, ახალი იტალიური სასიმღერო სკოლის პირველ და ფუძემდებელ ნაშრომად. გარსიას მეთოდზე აღიზარდა მომღერალთა და ვოკალურ პედაგოგთა თაობები. ამ ნაშრომს ჩვენს დროშიც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა,

მეტყ, მთელი რიგი ფუძემდებელი პრობლემის დასმა, საკითხების დამუშავების დონე და მათი გაშუქების მეთოდი დღესაც უაღრესად აქტუალურადაა მიჩნეული.

ამგვარად, ბელ კანტოს ხელოვნება ორგანული და ძირითადი შემადგენელი ნაწილია იტალიური სასიმღერო სკოლისა. მაგრამ იტალიური სასიმღერო სკოლა არ უდრის ბელ კანტოს. მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის ბოლოს და, განსაკუთრებით, XX საუკუნის ვოკალურ ხელოვნებაში ბევრი საგრძნობი ცვლილება მოხდა, ბელ კანტოს ცხოველყოფილ ტრადიციებს არ დაუკარგავს ძალა, მეტიც, ყველაფერი, რაც ნამდვილად ფასეულია თანამედროვე იტალიურ სასიმღერო ხელოვნებაში, უშუალოდ დაკავშირებულია კლასიკური ხანის ბელ კანტოს საუკუნოვან ტრადიციებთან, ბელ კანტოს ეპოქის საშემსრულებლო, მეთოდოლოგიურ და თეორიულ მონაპოვართან.

განსაკუთრებით აქტუალურია ამ თეორიულ და მეთოდოლოგიურ მემკვიდრეობაში გარკვევა დღეს, როდესაც დასავლეთის ბურჟუაზიულ მუსიკალურ სამყაროში ულტრათანამედროვე მიმდინარეობებმა დააკანინეს სასიმღერო ხელოვნება, როდესაც ავანგარდისტული მუსიკის წამლკეავ ნაკადს წინ აღუდგა საუკეთესო ვოკალური ტრადიციების დაცვის, აღორძინებისა და შემდგომი განვითარების ჯანსაღი ტენდენცია. ამას გარდა, ვოკალური თეორიული აზრის მსოფლიოს ცენტრებში გაღრმავებულ მეცნიერულ-ექსპერიმენტულ ძიებათა შედეგად თანამედროვე კვლევითი შეზღუდვისა და აპარატურის ფართო გამოყენებით შესაძლებელი გახდა აზღებურად მოეფინის შუქი წარსულის უდიდეს მომღერალთა და გამოჩენილი პედაგოგების შემოქმედებას, მათს ნააზრევს.

ბელ კანტოს ეპოქის სასიმღერო ხელოვნების შესწავლის ძირითადი წყაროებია, პირველ ყოვლისა, თვით ამ ეპოქის



ქალბატ პასტა




მარია კალასი



ფერინანდო დე ლუჩია

ვოკალური მუსიკა, XVII — XVIII საუკუნეების კომპოზიტორთა (რომლებიც შექმნილად ერთდროულად მომღერლებიც იყვნენ) შემოქმედება, აგრეთვე — ვოკალის თეორიული ტრაქტატები, რაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე ძალზე მცირე რაოდენობითაა მოღწეული. დავასახელებთ მხოლოდ ძირითადს: ტოზი — „შეხედულებანი ძველ და ახალ მომღერლებზე ანუ დაკვირვებანი ფიორიტურელ სიმღერაზე“ (1723 წ.); მანინი — „პრაქტიკული მოსაზრებანი ფიორიტურულ სიმღერაზე“ (1777 წ.); მარჩელი — „თანამედროვე თეატრი“ (1720); ე. წ. „პარიზის მუსიკალური კონსერვატორიის სასიმღერო მეთოდი“ (1803 წ., ავტორები — მენჯოლი, გარა და სხვ.); მანტუინი — „ბოლნეილი ბერნაკის დიდი სასიმღერო სკოლის სისტემა“ (1835 წ.); დიუბრეს, დეფე სედიეს, ლამპერტისა და სხვა ავტორთა შრომებშიც ასახულია ძველი იტალიურა სკოლის ტრადიციები. არგერისა და გოლდშმიდტის გამოკვლევები სპეციალურად ეთმობა აღნიშნული ეპოქის მეთოდოლოგიის შესწავლას. ცალკეულ საკითხების ანალიზს ვხვდებით რამულ მარალიანო მორის, ერისო, ლეინესის, გარას, სილვესტრინის, ლაური-ვოლპისა და სხვათა შრომებში. განსაკუთრებულ ინტერესს შეიცავს ლ. ბაგადუროვის ფუნდამენტური შრომა „საკვებები ვოკალური მეთოდოლოგიის ისტორიიდან“.

ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა ეუჯინო გარას ხელმძღვანელობით იტალიური პირველწყაროების საფუძველზე გავეცნობოდით თეორიული, მეთოდოლოგიური და ისტორიული ხასიათის პრობლემებს. ამის გარდა, მასტრო ჯენარო ბარასთან სისტემატური შეყადნივობის დროს ცამეტი თვის განმავლობაში ლა. სკალას სტაჟორად ყოფინისას 1961-62 წლებში ყველა საკვანძო საკითხის პრაქტიკულ-მეთოდოლოგიური დამუშავება მოვიხილეთ. აღსანიშნავია, რომ თვით ჯენარო ბარას სამუშაო მეთოდი ემყარება იმ პრინციპებს, რომლებიც



შემუშავებით ამ საუკუნის დასაწყისში ნეაპოლურ სკოლის ისეთ წარმომადგენელთა სასწავლებლებმა, რაფორტოც უყენებენ მასტრო ჯერჯინე და ცინილი ტენორი ფერინანდო დე ლუჩია.

ამის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ჩამოყალიბებული იტალიური სასიმღერო სკოლის ძირითადი პოსტულატები, რომელზედაც აგებულია ამ მომღერლების მთელი შენობა განსაკუთრებით, მომღერლის ტექნიკური სრულყოფის მეთოდოლოგია.

აი ეს პოსტულატები:  
I. Il canto è riflessivo — სიმღერა რეფლექსურია. სიმღერის პროცესს იტალიური სკოლა განიხილავს როგორც რეფლექსურ ბუნების პროცესს. იტალიური სკოლისათვის სიმღერა ემოციური და არა შემეცნებითი საწყისის ქვეყნობიერი, ინსტინქტური თუ იმპულსური გამოვლინებაა. სიმღერის შემოქმედებით ბუნება ემოციური და არა შემეცნებითი შინაარსისაა.

ამ დებულებას ემყარება მეთოდოლოგიურ წინამძღვართა მთელი სისტემა, რომელიც მოიცავს მომღერლის ფიზიკურ, ტექნიკურ და ემოციურ თვისებათა ჩამოყალიბების, აღზრდისა და განვითარების ყველა მხარეს.

„ფიზიკურის“ ქვეშ იგულისხმება სუნთქვის სისტემა, ხორხი და ყელი, რესონატორები. „ტექნიკური“ გულისხმობს ემისიის ხასიათს, რეგისტრების ფლობას, ნიუსანგების გამოყენებას, ფორირებას, კანტილენასა და მოძრაობას, ტემპრებისა და ეკლორიტის ცვალებადობის უზარს, დიაპაზონის სისრულეს და ბგერადობის მუდმივობას (ანუ რეგულარობას). „ემოციური“ თვისებები მოიცავს სასიმღერო ავტონებადობის კომპლექსს, რომელიც თავის მხრივ მოითხოვს შესაბამის ტექნიკურ მომზადებას, ტექნიკური ოსტატობის განუყოფელ დონეს. ამიტომ არის, რომ „ტექნიკა განუყოფელი ნაწილია სასიმღერო ხელოვნებისა“ — (la tecnica fa parte dall'arte). — ამბობს აურელიანო პერტოლე.

სიმღერის პროცესის გაგება როგორც რეფლექსური ბუნების პროცესისა, ხსნის სიმღერისადმი ჭერტებით ან ვოლუნტარისტული თვალსაზრისით მიდგომის შესაძლებლობას თეორიულადაც და მეთოდოლოგიურადაც. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ მომღერალი მღერის მისიმ გამოშუშავებულ და სასიმღერო რეფლექსების მიხედვით და არა თავისი შეხედულებისა ან ნება-სურვილის მიხედვით; მომღერალს არ შეუძლია ცვალოს თავისი სიმღერა, სიმღერის მანერა თავისი ნებით ან თავისი წარმოდგენის შესაბამისად. არსებითად აქ იგულისხმება არა საერთოდ სიმღერა, არამედ ბგერის ორგანიზაციის პროცესი. ეს რომ ხმე არ იყოს, ძალზე ადვილი იქნებოდა წინასწარ შემუშავებულ ჭარბაზე საკუთარი სასიმღერო მანერის გაწყობა.

ამავე პოსტულატთანაა უშუალოდ დაკავშირებული იტალიელებისათვის დამახასიათებელი სიმღერის თავისუფლება, (სპონტანურობა — la spontaneità — იტალიურა ტერმინოლოგიით) ორგანულობა და ემოციური შემოქმედების უდიდესი ძალა.

II. Si canta col meccanismo non colla voce — სიმღერა წარმოებს მექანიზმის საშუალებით და არა ხმით.



ენკია კარაბაზი



ალულონა პატი



ევროსია ბაკა



სასიმღერო ბეგრის გაგება, როგორც ვარკვეული მექანიზ-  
მით გაპირობებული მონაცემისა, იტალიური ვოკალური აზ-  
რის უდიდესი მონაპოვარია. ამ პოსტულატის ცხოველმყოფ-  
ფული მნიშვნელობა ცხადია როგორც სიმღერის სწავლები-  
სათვის, ასევე მომღერლის პროფესიული მუშაობისთვისაც.  
საუკეთესო იტალიურ სასწავლებლებში მუშაობა წარმო-  
ვებს არა ხმის ბუნებრივ რესურსების ექსპლოატაციის, არა-  
მედ მომღერალში შესაბამისი მექანიზმების გამოუმუშავების  
და ჩამოყალიბების გზით. ცნობილი ტენორი ლაური-ვოლპი  
ერთ-ერთ თავის წიგნში ასე სვამს კითხვას: „მამ, რა დანიშ-  
ნულება აქვს სკოლას?“ — და თვითონვე პასუხობს — „შექმ-  
ნას ინსტრუმენტის!“

ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშოთ, რომ საყოველ-  
თაო შობამუდღებლად, თითქოს იტალიელ მომღერლებს ერთ-  
ნაირი ხმები ჰქონდეთ, ეყვარება არა იმას, რომ ბუნებრივი  
ხმები, მართლაც, მსგავსია, არამედ სინამდვილეში სწორედ  
იმით არის შეპირობული, რომ იტალიური სკოლის საუკეთესო  
წარმომადგენლებს იდენტური სასიმღერო მექანიზმების და-  
სრულება უნებრდებოდა. თვით ხმები შეიძლება განსხვავებუ-  
ლიც იყოს (და არის კიდევაც!), მაგრამ მსგავსებას ქმნის  
სასიმღერო მექანიზმების ერთგვარი გაგება, მართვა და და-  
ფუძვლება. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია. პ. გუეტას შრო-  
მა „სიმღერა თავის მექანიზმში“ (მილანი, 1935, იტალიურ  
ენაზე).

სასიმღერო აპარტის მექანიზმად მიჩნევა სხვა სკოლე-  
ბისათვისაც არ არის უცხო, მაგრამ სიმღერის სწავლებისა და  
პროფესიული სასიმღერო მოღვაწეობის დროს სასიმღერო მე-  
ქანიზმის გამოუმუშავებას და მის უპირატეს მნიშვნელობას  
წარუდებ იტალიური სკოლა აქვეყნებს განსაკუთრებულ ყურად-  
ღებებს.

ამის გამოა, რომ იტალიურ სამემსრულებლო მანერას არ  
ახასიათებს ბეგრის ძალისმიერი ეფისია. ტონის ენერჯიასა და  
სიმძლავრის ქმნის არა ნებისმიერი კონტური სისტემა, არამედ  
აგტომატურად მოქმედი მექანიზმი. ასე, მაგალითად, თუ  
სხვა სკოლებისათვის ხმის დიაპაზონის ზედა ფენების მიღწევა  
ხერხდება ცენტრალურ რეგისტრზე ძალდატანებით (წვევის  
მექანიკური გაზრდა, პრესის გამძლეობა), იტალიური სკოლა  
აღწევს რეგისტრების მუშაობის მუშაობის შენაცვლებით მაღალი  
ტონებისათვის შესაბამისი რეგისტრში სიმღერას (ე. წ. რე-  
გისტრული გადართვა), არმივად, თავიდან აცილებულია  
ცენტრალური რეგისტრის ბეგრებასა და შესაბამისი მექანიზ-  
მების მათთვის უწყველო, მუშაობის ტესტირებაში გამოყენება,  
მუშაობა.

III. Il fiato nel canto è inversivo — სუნთქვა სიმღე-  
რაში ინვერსიულია.

მიუთითებს რა სუნთქვის ინვერსიულ, არაპირდაპირ, გარ-  
დაქვევით ბუნებაზე, იტალიური სკოლა მკვეთრად ხაზს უს-  
ვამს სასიმღერო პროცესში სუნთქვითი, რესპირატორული კომ-  
პონენტის ისეთ თვისებას, რომელიც განსხვავდება ჩვეულებ-  
რივი სასიცოცხლო სუნთქვისაგან.

სიმღერაში გამოსადეგია მხოლოდ ისეთი სახის სუნთქვა,  
რომელიც მთლიანად გადაიქცევა, ტრანსფორმირდება სასიმ-  
ღერო ბეგრად, მუსიკალურ ტონად. მეორე მხრივ, ჰემიშარტიად

ვოკალურ ტონად მხოლოდ ის შეიძ-  
ლება იქნეს მიჩნეული, რომელიც სა-  
კუთრივ რესპირატორული ორგანიზა-  
ციის შედეგად წარმოიშობება ყოველ-  
გვარი სხვა კუნთური, ძალისმიერი  
მიწარვევის გარეშე.

სასიმღერო სუნთქვის ამგვარი გა-  
გება სრულყოფილი ახსნას პოულობს  
ფიზიოლოგიური თვალსაზრისით რა-  
ბოტნოვის თეორიაში, რომელიც „პა-  
რადოქსული“ სუნთქვის თეორიის სა-  
ხელითაა ცნობილი (ლ. რაბოტნოვი,  
„სასიმღერო ხმის ფიზიოლოგია და  
პათოლოგია“, მოსკოვი, 1932 წ.  
რუს. ენაზე).

ცნობილია, რომ რაბოტნოვის თე-  
ორია ბევრ წინამდებეობას შეხვდა  
თავის დროზე. ბოლო ხანებში მას  
დღე უფრო მეტი მომხრე ურდებოდა  
(პ. ორგანოვი, ნ. ფომინევი, ნ. ჟინ-  
კინი, ვ. მოროზოვი, მ. ნოზაძე და  
სხვ.). ერცლად ამ საკითხზე აქ ვერ  
შეგვრდებოდა, მივუთითებთ მხოლოდ  
ორ მომხრეტზე.


ხმის მიოვლასტიური თეორიის  
ფარგლებში რაბოტნოვის თეორია,  
მართლაც, რომ „პარადოქსული“  
გამოიყურებოდა. საუკლისმია, რომ  
რაბოტნოვი თითქმის მივიდა სასიმ-  
ღერო მექანიზმის რაობის იმგვარ  
გაგებაზე, რომელიც შემდგომში  
შეიშუშავა ხმის ნეიროქრონოპასიულმა  
თეორიამ (იუსონი, 1950 წ.). ნეი-  
როქრონოპასიული თეორიის წიაღში  
რაბოტნოვისეული „პარადოქსული“  
სუნთქვის თეორია სრულ გამართლე-  
ბას პოულობს, ვრწყმის მას როგორც  
ორგანული შემადგენელი ნაწილი.

სასიმღერო პრაქტიკასა და ვოკა-  
ლურ მეოთხედილიანში კი რაბოტ-  
ნოვის თეორია მხოლოდ სუნთქვის  
„ინვერსიულიობაში“ პოულობს ადექ-  
ვატურ პრაქტიკულ გამოყენებას და  
ამავე დროს თავის მხრივ ფიზიო-  
ლოგიურ დადასტურებას უძენის  
მას.

IV. Chi sa cantare sul serio,  
sa portare la voce in testa —  
ნამდვილად მხოლოდ მან იცის სიმ-  
ღერა, ვინც იცის ხმის გადატანა  
თავში.

იტალიური სასიმღერო სკოლა  
ხმის რეგისტრებისად ე. წ. თავის





ანგელო სესტინი



ქოვანი ბატისტა რუზინი



მათეო ბატისტინი

რეგისტრს მიიჩნევს წამყვან რეგისტრად ხმის ორგანიზაციის თვალსაზრისით. მხოლოდ თავის რეგისტრის (la voce di tesla-b) სათანადო გამოყენებით ზღვრდება იმ ტემბრალური, კოლორისტული, პოზიციური და ტექნიკური თვისებების ბგერის შექმნა, რომლითაც განსხვავდება სხვა სკოლების ბგერათაგან იტალიური სასიმღერო სკოლისათვის დამახასიათებელი ბგერითი ეტალონი.

ასე, მაგალითად, ტემბრალური ერთგვარონობა მიიღება თავის რეგისტრის მონაწილეობით ხმის მთელს დიაპაზონზე ასევე, ბგერის მაღალი პოზიციის მუდმივობა პოტენციურად უზრუნველყოფილია, თუ სასიმღერო პროცესში მოქმედებს თავის რეგისტრის შექანიზმი (სპეციალური ტექნიკური ხერხების ცალკე დამუშავება მაღალი პოზიციის მისაღებად თავისთავად გამორიცხებული ხდება).

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ იტალიური ტრადიციისათვის თავის რეგისტრის რაობა არ ემთხვევა ფალცეტის გაგებას, რომელიც XIX და XX საუკუნეების თეორიულ ნაშრომებსა და ყოველდღიურ სამომღერლო პრაქტიკაში იყო და არის გაბატონებული.

აუკუსტიკურად და ფიზიოლოგიურად თავის რეგისტრის ბგერა სავსებით დამოუკიდებელი ტონისა და მექანიზმის მქონეა. თავის რეგისტრის არსის ზუსტი განსაზღვრა მოცემულია მხოლოდ ერთდროულ შრომებში (ტოზი, გარსია, ლიონენი), ხოლო ფაქტობრივ გვხვდება ზოგიერთი იტალიელი პედაგოგის პრაქტიკაში (ლომბარდი, ვენტური, ლობარდი, ბარა) <sup>1</sup>.

V. Il suono può essere orizzontale e verticale — ბგერა შეიძლება იყოს პორიზონტალური და ვერტიკალური. ბგერის ემისიის დაუფლების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს პორიზონტალური და ვერტიკალური ბგერითი პროექციის მკვეთრი დიფერენციაცია.

პორიზონტალური ბგერა გამომუშავდება მთელი რიგი ტექნიკური ხერხებით:

ა. ბაგეთა სპეციალური პოზიცია (ე. წ. პირის პორიზონტალური გახსნა, — გარსია, დიუპრე, ლაური-ვოლპა და სხვ.);  
ბ. უნის ძირისა და ხორხის ფიქსირებული მდგომარეობა (ტოტი დალ მონტე და სხვ.);

გ. თავის რეგისტრის მიღება პორიზონტალურ ტრილში; (ე. წ. ბგერის „დახურვა“ დიმილზე, ბგერის დამრგვალება ბრწყინვალე კოლორიტის შენარჩუნებით — გარსიასთან და „ტექნიკური დიმილი“ — sarriso tecnico ლაური-ვოლპისთან).

დ. ნათელი (chiaro) კოლორიტის გამომუშავება როგორც ემისიის სიმსუბუქის უპირატესი საშუალებისა;

ე. მუქ ტემბრზე გადასვლა მხოლოდ ნათელი კოლორიტის გამომუშავების შემდეგ.

ამის გამოა, რომ იტალიური სასიმღერო პრაქტიკა განახსნავებს „თავის მუქ ფერსა და მკერდის მუქ ფერს“ (Scuro di testa, scuro di petto) და რაღა თქმა უნდა, უპირატესობას ანიჭებს პირველს. ნათელი ფერის პოზიციამო გამოშვებული მუქი ტემბრი არ კარგავს სიმსუბუქეს და ამრიგად არ აფერხებს ხმის მოქნილობის გამომუშავებასაც, ამასთან ერთად უზრუნველყოფს კანტილენის მთლიანობას.

VI. Prima risonanza, dopo pronuncia — ჯერ რეზონანსი, შემდეგ პრონონსი (გამოთქმა).

სასიმღერო ბგერის მხოლოდ ზუსტი და მყარი სარეზონანტო ორგანიზაციის შემდეგ შესაძლებლად მიაჩნიათ იტალიური სკოლის თეორეტიკოსებსაც და პრაქტიკოსებსაც პრონონსის დაუფლებაზე გადასვლა.

ბერლიოზს უთქვამს: დრამაში ყოველი ჯობია, ოპერაში ლაპარაკი. მეტყველების ელემენტებზე ყურადღების გამახვილებას ყოველთვის მოსდევდა შედეგად საკუთრივ ვოკალის დაკნინება.

<sup>1</sup> ჩვენ ვყარაულობთ, ამ საკითხს დავუბრუნდეთ სპეციალურ გამოკვლევაში.

სარეზონანსორო ზონებიდან ძირითადია ფორნტალური რეზონანსისა და ლაბიალური რეზონანსის ზონები. ფორნტალური უფრო შეფერვება პირიზონტალურ ბეგრას, ხოლო ლაბიალური — ვერტიკალურს. თუმცა მუშავდება სხვადასხვა ვარიანტების მონაკვეთობა. როგორც რეზონანსის, ისე პროიქციის მხრივ ამგვარი მრავალფეროვნების დღის ემისიის მუდმივობა და სიმყარე განპირობებულია სუნქციის ინერციულობით და ხორხის ფიქსირებულობით მდგომარეობით (იხ. პოსტ. III და პოსტ. V პუნქტი ბ.).

ყველა ეს თეორიული მოსაზრება და ბევრი სხვაეც პრაქტიკულად მუშავდებოდა სკოლებსა და მუსიკალურ აკადემიებში, ორგანულად ერწყმოდა სასიმღერო პრაქტიკას. ვოკალური პედაგოგების გულისყური იქითგნ იყო მიზართული, რომ თავის აღზრდლებში ხორცშესხმულიყო ეს პრინციპები. დროთა განმავლობაში იტალიაში შემუშავდა სასწავლო-სამომღერალი პროცესის ერთგვარი თარგი, რომელსაც მეტნაკლები ცვლილებით იყენებდნენ სხვადასხვა სასწავლებლები იტალიაშიც და იტალიის გარეშაც (ვეყარებით ლაური-ვილპის ცნობას მიხი წიგნიდან — „პარალელური ხმები“, რომი, 1957, იტალ. ენაზე).

სასწავლო ციკლი ჩვეულებრივ 7 წელიწადს გრძელდებოდა. წლები ასე ნაწილდებოდა: 2 წელიწადი — ვოკალური ინსტრუმენტი (lo strumento vocale); 4 წელიწადი — ვოკალური ტექნიკა (la tecnica); 1 წელიწადი — ვოკალური სტილი (lo stile).

